

№15 (279)

ქართული სტრუქტურა

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც სომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავე, ქართულო სიტყვავე“
კვირული ჟურნალი

ფასი 1 ლარი

15 – 21 აპრილი 2015 წ.

ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა

რას მალავს „ოცნება“ – ლაფანჭურის სპეცოპერაციის დღემდე უცნობი დეტალები

**სისხლიანი ბარიგება,
რომელსაც „ნაცმოძრაობა“
აგვისტოს ომის დროს ჩიჩენ
საველე მეთაურებს
სთავაზობდა**

„უდესიანის ეს ჯგუფი, რომორც ვიცი, 7 ნოემბრამდე ჩამოყალიბდა და თავის დროზე ლესელიძის ქუჩის 4 ნომერში ოფისით არსებობდა, სადაც ვებარანები იკრიბებოდნენ. იმ გიგნი უბუღავა და გია უდესიანიც ხშირად მიდიოდნენ... უდესიანის თქმით, ამ ჯგუფს ინსტრუქტაჟს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო დაზვერვა აძლევდა, რომელსაც სწორედ ზემოხსენებული გია გაგუნი ხელმძღვანელობდა. ეს გაგუნი ვანო მერაბიშვილის მოადგილის, გია ლორთქიფანიძის ახლოგულია. ლორთქიფანიძე კი, ლაფანჭურის სპეცოპერაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო.“

»»» 89-2-3 გვ.



„ყოველი დღე უნდა გავატაროთ ისე, როგორც – უკანასკნელი!“

პატრიარქის სააღმოსაქმნო ეპისტოლე



»»» 89-4 გვ.

დღეობის საკანონი »»» 89-9 გვ.

„უბუღავა მიზან მიელი ხმით დედა აგინა!“



»»» 89-10-11 გვ.

ვასტანგ რჩეულიშვილი: „თუ კრიმინალი გამკვინვარდა, წავალ და ხმას მიზან მივცევი!“

„მოქალაქეები არჩევანის წინაშე მალე დამდგინან: ან ქარიზმატული მიზან სააკაშვილი, ან დემოკრატი ბიძინა ივანიშვილი, რომელიც გვეუბნება, თქვენია სასამართლო, არჩევანი და რაც გინდათ, ის აკეთეთო!“


ხარბაშული 89-11 »»» 89-13 გვ. კლასელმა 89-3 კლასელი ბიჭი გააუპატიურა?

„პოლიციაში დამიბარეს და მიტარეს, რომ ბავშვი ექსპერტიზაზე წამოყვანა... დანიკითხნენ ბავშვები, დამრიგებელი, აღზრდელი... ჩემი დისშვილი ქუთაისში წამოყვანეს. მეც წამოყვანი. იმ გვიან მოგვიხდა ჩასვლა და 3 დღის შემდეგ დავბრუნებარეს... პარასკევი იყო და მე არ მიცალა. ამიტომაც ბავშვი დედას წამოყვანა. უთხრეს, რომ 1 კვირაში იქნებოდა პასუხი და დავბრუნებოდა. მას შემდეგ არავინ დავგვეკვირებია... ვითხოვ, რომ საქმე არ მიუფუჩირონ გაირკვეს სიბრტელი და, გოლოს და გოლოს, ან დამეხიტი პასუხი გვიტარან, ან უარყოფითი!“

რას ჰყვებიან ბავშვის ბიძა, პედაგოგი და სასწავლებლის დირექტორი

უკანასკნელი ცნობები »»» 89-11 გვ. ოკუპირებული პერევიდან

ცხოვრება რუსული სამხედრო აკომპანიებით



„ლაპარაკია ვინმე უმარ იდიგოვმა, რომელიც ჯოხ-არ დუდავის ოჯახთანაა კავშირში, ანუ დუდავის ნათესავია. იდიგოვმა „ქართული ოცნების“ ლიდერებს იმის შესახებ, თუ რა მოხდა ლაფანურში, სრული ინფორმაცია გადასცა... იდიგოვის ინფორმაციით, ჩაჩანი ზოვიკიანი საპარტოვლოში ძალადობრივად შეიჭრა, კარძოდ, ბაჩო ახალაიას ხელმძღვანელობითა და მხარდაჭერით ავსტრიიდან ჩამოიყვანა“.

სისხლიანი გარიგება, რომელსაც „ნაცმოძრაობა“ აგვისტოს ომის დროს ჩაჩან სავლე მეთაურობს სთავაზობდა

რას მალავს „ოცნება“ – ლაფანურის სპეცოპერაციის დღემდე უცნობი დეტალები

ისეთი პირი უჩანს, რომ მოვლენების ეპიცენტრი შესაძლოა, პანკისი გახდეს. ყოველ შემთხვევაში, ხეობიდან სირიაში არასრულწლოვანთა წასვლამ უკვე ტენდენციის სახე მიიღო. არსებული ინფორმაციით, ბოლო დღეებში, სირიაში კიდევ ორი პანკისელი მონაფე ჩავიდა – 16 და 18 წლის ახალგაზრდები სწავლებას „ისლამური სახელმწიფოს“ ერთ-ერთ სანვრთელ ბაზაზე გადიან. „ტელეფონით დაგვიკავშირდნენ. გვითხრეს, რომ კარგად არიან. ჯერ ომი არ უნახავთ. სწავლებას გაგვივართ და არ ინერვიულოთ“, – განუცხადა ქართულ საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსს“ არასრულწლოვანი მონაფის ბებია, შიარათ კუშტანაშვილი... იმას, რომ პანკისელები სირიაში რადიკალი ისლამისტების, ე.წ. ვაჰაბიტების წაფითილებით მიდიან, უშიშროების თადარიგის პოლკოვნიკი, უსაფრთხოების ექსპერტი კონსტანტინე ფორჩხიძე დიდი ხანია, ამტკიცებს. „ქართული სიტყვის“ წინა ნომერში კი, ქართველმა სპეცსამსახურებმა ჩეჩენ-არაბი ისლამისტებისა და ქართული სპეცსამსახურების „შავ სექმაზე“ ისაუბრა. კონსტანტინე ფორჩხიძე „ჩეჩენურ თემაზე“ საუბარს „ქართული სიტყვის“ ექსკლუზიური ინტერვიუების ციკლში ისევ აგრძელებს და ამჯერად აქცენტს 2012 წლის აგვისტოს მიწურულს ჩატარებულ ე.წ. ლაფანურის სპეცოპერაციაზე აკეთებს. ფორჩხიძის თქმით, ამ სპეცოპერაციის დეტალები „ქართული ოცნების“ ლიდერებს „ლაფანურის საქმის“ ერთ-ერთმა ფიგურანტმა ჯერ კიდევ 2012 წლის პირველი ოქტომბრის არჩევნებამდე გააცნო, თუმცა მიუხედავად ამისა, „ლაფანურის საქმე“ დღემდე არ გახსნილა. მაინც, რა მოხდა ლაფანურში, როდის, სად და როგორ აღიარა მიხეილ სააკაშვილმა, რომ რუსებისთვის მუშაობს და რას მალავს „ოცნება“? – „ქართული სიტყვა“, კონსტანტინე ფორჩხიძეზე დაყრდნობით, ლაფანურის საიდუმლოს შიფრავს.

კონსტანტინე ფორჩხიძე: – 2012 წლის აგვისტოს მიწურულს, პრაქტიკულად, წინასწარჩვენო პერიოდში, ე.წ. ლაფანურის სპეცოპერაცია ტარდება, რომელმაც შეკითხვები მხოლოდ მაშინდელი ძალოვანი უწყებების კი არა, მთელი ხელისუფლების მისამართითაც გააჩინა. თუკი ფაქტებს გავყვებით, ეს „სპეცოპერაცია“ იმ სექტორში ჯდება, რომელზეც წინა ინტერვიუში ვისაუბრეთ, ანუ სპეცსამსახურებსა და ჩეჩენ თუ არაბ სავლე მეთაურებს შორის გარკვეული მერკანტილური ურთიერთობა არსებობდა, რომელიც პირდაპირ ზიანს მხოლოდ საქართველოს სახელმწიფოებრივ უსაფრთხოებას კი არა, ჩვენი სტრატეგიული მოკავშირის, აშშ-ის ინტერესებსაც აყენებდა. ჩვენი სპეცსამსახურები კორუფციაში მხოლოდ 2003 წლის ნოემბრის მოვლენებამდე კი არა, სააკაშვილის ხელისუფლების დროსაც იყვნენ ჩართულნი და მათი ერთ-ერთი მთავარი არაკანონიერი შემოსავლის წყარო გაცილებდა-გამოცილებდა და ჩეჩენთა ფულის გადატანა იყო. ამის თაობაზე ინფორმაცია, შემოჩეხებული აგენტურის საშუალებებით, რუსულ მხარესაც ჰქონდა და სიტუაციას, ბუნებრივია, რუსებიც აკონტროლებდნენ.

– ყველაფერ ამასთან ე.წ. ლაფანურის სპეცოპერაცია რა კავშირშია?
– აგვისტო, თუმცა ამ შეკითხვაზე პასუხი, ერთის მხრივ, იმ საზოგადოებრივ კომისიას უნდა გავცა, რომელიც სახალხო დამცველთან შეიქმნა, მეორეს მხრივ კი, – ძალოვან უწყებებს. სწორედ მათი პირდაპირი მოვალეობა იყო სპეცოპერაციის გამოძიება.
– „ოცნების“ ძალოვანებზე ამბობთ?
– დიახ. ორ წელზე მეტია, ხელისუფლება შეიცვალა, მაგრამ ამ საქმეზე სიახლე არაფერია. არ ვიცი, პროკურატურა რას იძიებს, მაგრამ ისიც საინტერესოა, ე.წ. ესპ-

ერტებისგან დაკომპლექტებულმა კომისიამ რა დასკვნა გამოიტანა?
– ბატონო კოტე, ჯერ ერთი, როგორც მასხვარს, ამ კომისიამ რაღაც განცხადება გაავრცელა, მეორეც, შესაძლოა, ვინმემ თქვენც ე.წ. ესპერტი გინოდოთ. ასე რომ, გირჩევთ, კოლეგებს არ დაუპირისპირდეთ!
– კი ბატონო, ჩემზეც თქვან, რომ ე.წ. ექსპერტი ვარ, მაგრამ როცა ადამიანი ამბობს, უსაფრთხოების ექსპერტი ვარო, უსაფრთხოების სისტემაში მუშაობის შესაბამისი ბეგრუნდები უნდა ჰქონდეს, თორემ თუ რაღაცებს გაზეთში ნაიკითხავ, ან ინტერნეტში ნახავ და შენს ვერსიებს იტყვი, რანაირი ექსპერტი ხარ? საერთოდ, უსაფრთხოების სისტემაში მუშაობის გამოცდილება თითო-ორიოდა ექსპერტს აქვს, თორემ ის შეკითხვები, რომლებსაც ახლა დავსვამ, ნებისმიერ შემთხვევაში უნდა გასჩენოდათ!
– მოდი, საქმეზე გადავიდეთ და მითხარით, თქვენი ინფორმაციით, 2012 წლის აგვისტოში, რეალურად, რა მოხდა და, საერთოდ, ე.წ. ლაფანურის სპეცოპერაციის მიზანი რა იყო?
– თავს არ ვდებ, რომ ეს ასპროცენტრული ინფორმაციაა, მაგრამ შეიძლება, საყურადღებო იყოს.
– თუკი ინფორმაციის სანდოობაში ეჭვი გეპარებათ, აბა, რატომღა ასაჯაროებთ ან, სულაც, ვინ მოგანოდათ?
– გითხარით, რომ ეს ინფორმაცია საყურადღებოა.
– რაღაცეა, ლაპარაკია ვინმე უმარ იდიგოვზე, რომელიც ჯოხარ დუდავის ოჯახთანაა კავშირში, ანუ დუდავის ნათესავია. იდიგოვმა „ქართული ოცნების“ ლიდერებს იმის შესახებ, თუ რა მოხდა ლაფანურში, სრული ინფორმაცია გადასცა.
– როდის?
– 2012 წლის არჩევნების წინ. იდიგოვის ინფორმაციით, ჩეჩენი ბოევიკები საქართვე-

ლოში ძალოვანი უწყებების, კერძოდ, ბაჩო ახალაიას ხელმძღვანელობითა და მხარდაჭერით ავსტრიიდან ჩამოიყვანეს.
– რა მიზნით?
– შეტაკება უნდა მომხდარიყო...
– ვისთან?
– აგვისტოში: თავის დროზე „ნაცმოძრაობამ“ ისე წარმოგვიდგინა, რომ ამ ჯგუფმა საქართველოს საზღვარი გადმოკვეთა, მძევლები აიყვანა და აქედან გასვლას ცდილობდა, მაგრამ სინამდვილეში, ასე არ ყოფილა.
– აბა, როგორ იყო?
– როგორც გითხარით, ეს ჯგუფი ავსტრიიდან ბაჩო ახალაიას ხელმძღვანელობით ჩამოვიდა და აქ შეიარაღებული წვრთნები გაიარა.
– კოტე ბატონო, ეს ცნობილია... ამისხენით, ჯგუფის ჩამოყვანის მიზანი რა იყო?
– წინასწარჩვენო პერიოდი იყო. სააკაშვილი გრძობდა, რომ ხელისუფლებას, პრაქტიკულად, კარგავდა და მისთვის ხელსაყრელი იქნებოდა, თუკი, მაგალითად, პანკისის ხეობაში ვითარება დაიძაბებოდა. ხელისუფლებამ შექმნილ დესტაბილიზაციის კერას სააკაშვილი როგორც გამოიყენებდა, კარგად ვიცით – მიზანობა პირის დიდოსტატია და დაინწყებდა, აი, რუსები ჩვენს წინააღმდეგ ომს გეგმავენ და ერთადერთი ძალა ვართ, რომელიც საქართველოს ამ შემოტევისგან დაიცავს, „ოცნება“ კი, პრორუსულია და ყველაფერი მისი ხელმძღვანელობით ხდება. ჩემი ინფორმაციით, სწორედ ასეთი სცენარი არსებობდა.
– ბოევიკებს, საქართველოში რომ ჩამოსულიყვნენ, ფული გადაუხადეს, ან მათთან მოლაპარაკებას უშუალოდ ბაჩო ახალაია აწარმოებდა?
– ასეთი დეტალები არ ვიცი, მაგრამ არაა გამორიცხული, ყველაფერ ამასში ის შავ-ბნელი წარსულის ხალხი ყოფილიყო ჩართული, რომელიც საქართველოში, წლების განმავლობაში, ჩეჩენი თუ არაბი ბოევიკების ე.წ. ტრანზიტს აწარმოებდა. სხვათა შორის, ამ ხალხიდან ზოგი დღეს არასამთავრობო სექტორშია.
– ვისზე ლაპარაკობთ?
– მაგალითად, ანტიტერორისტული ცენტრის ერთ-ერთ ყოფილ ხელმძღვანელ გია გაბუნიაზე, რომელიც ჯერ საგარეო დაზვერვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე გახდა, მერე – უფროსი, ბოლოს კი, სამხედრო დაზვერვა ჩააბარეს... ამ თემას მოგვიანებით კიდევ დავუბრუნებ და გეტყვით, ყველაფერი ეს ე.წ. უდესიანის თემას როგორ და რა კუთხით ებმევა...
– თქვენი ინფორმაციით, ქართული მხარე ბოევიკების იმ ჯგუფზე, რომელიც ავსტრიიდან ჩამოიყვანა, როგორ გავიდა?
– ძველი კავშირებით.
– იდიგოვი, რომელმაც, როგორც ამბობთ, „ოცნებას“ ლაფანურის სპეცოპერაციაზე ინფორმაცია მიაწოდა, დღესაც საქარ-

თველოშია?
– არ ვიცი...
– იდიგოვის ინფორმაცია სანდო რატომაა?
– სანდოა თუ არა, ეს სამართალდამცველებმა უნდა გარკვეონ.
– იქნებ, გარკვეეს?
– შეიძლება, იდიგოვი გამოკითხეს, მაგრამ ასე რომ იყოს, მაშინ იმის შესახებ, რაც თავის დროზე ლაფანურში მოხდა, სრული სურათი გვექნებოდა.
– ერთი სიტყვით, ამ ჯგუფს პანკისში არეულობის მოწყობა ევალებოდა?
– არა. ამ ჯგუფის, ასე ვთქვათ, მისია საზღვარზე გადასვლა იყო. ამ დროს სააკაშვილი, როგორც სჩვეოდა, რუსებთან „ჩაუშვებდა“ და შესთავაზებდა, სპეცოპერაცია ჩავატაროთ, რაც პანკისის მოსახლეობაში მღელვარებას გამოიწვევდა და უმართავი პროცესები დაიწყებოდა.
– თუკი ასეთი საიდუმლო გეგმა არსებობდა, ლაფანურის სპეცოპერაცია რატომღა ჩატარდა?
– ამ გეგმამ, როგორც ჩანს, ჩვენს სტრატეგიულ მოკავშირეებამდე გაჟონა. ყოველ შემთხვევაში, არსებობს პირველადი ინფორმაცია, რომ სააკაშვილი, ამერიკელების მკაცრი ზემოქმედებით, იძულებული გახდა, საიდუმლო გეგმაზე უარი ეთქვა.
– ეს ის პერიოდი, როცა ჰილარი კლინტონსა და ბიძინა ივანიშვილს შორის გარკვეული მიმონერა მიმდინარეობს?
– ამ მიმონერის არ მჯერა და სააკაშვილის შემოგდებული მგონია.
– სააკაშვილი რა შუაშია, როცა ამ მიმონერაზე ერთ-ერთ ამერიკულ გამოცემაში გამოქვეყნდა?
– შეიძლება, მაგრამ ყველაფერი ეს პირდაპირ ჰილარი კლინტონის საპრეზიდენტო სურვილთანაა დაკავშირებული და ის ძალა, რომელსაც კავშირი სააკაშვილთან აქვს, ცდილობს, კლინტონის საარჩევნო კამპანიას ზიანი მიაყენოს.
– იმით, რომ ბიძინა ივანიშვილთან მიმონერა ჰქონდა, ჰილარი კლინტონს ზიანი როგორ მიაღებდა?
– აშშ-ის კანონმდებლობით, მაღალჩინოსნებს, ოფიციალური არხების გარდა, სხვა ქვეყნის პოლიტიკურ ლიდერებთან ურთიერთობა ეკრძალებათ. ვიმეორებ: ყველაფერი ეს შემოგდებული მგონია და ჰილარი კლინტონს ვერაფერს დააკლებენ.
– ბატონო კოტე, რაღა დაგიმალოთ და, მეღიებოდა, რამეთუ თქვენი ლოგიკით, „ნაციონალები“ ჰილარი კლინტონს ებრძვიან. ეს ხომ, მინიმუმ, ფანტასტიკაა!
– „ნაციონალები“ ჰილარი კლინტონს ადრეც ებრძოდნენ და ახლაც ებრძვიან! „ნაციონალები“ მაკეინისა და, საერთოდ, „რუსობის“ მხარეზე „ნაციონალისტური“ უფროსის ხელისუფლების წინააღმდეგობის ნიშნად იყვნენ ჩართულნი და ამ იარაღით აშშ-ის დემო-

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხო შენით ითქვა; დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“

კარგო რა, ამ პატარა საქართველოს



საქართველოს პარლამენტი

საპარლამენტო მსჯელობები

მე-2 გვერდიდან

კრატული პარტიისთვის გარკვეული ზიანის მიყენებას ცდილობენ!

– კარგი, რა, ამ პატარა საქართველოს პლანეტის ღერძად ნუ წარმოვაჩენთ!

– საქართველოს სიპატარავე არაფერ შუაშია. არაერთხელ მითქვამს, რომ მიხეილ სააკაშვილი საერთაშორისო დანაშაულობებშია გარეული, მოვა დრო და ყველაფერი ეს დღის სინათლეს იხილავს!

– ისევე ლაფანყურის მოვლენებს დავუბრუნდეთ... ესე იგი, ამტკიცებთ, რომ „საიდუმლო გეგმის“ შესახებ ამერიკელების ყურამდე მიაღწია და სააკაშვილმა ავანტიურაზე ხელი სწორედ მათი ჩარევით აიღო. ასეა?

– არაფერს ვამტკიცებ, უბრალოდ, პირველად ინფორმაციებზე დაყრდნობით, გარკვეულ ვარაუდს გამოვთქვამ.

– კი ბატონო, იყოს ვარაუდი, მაგრამ სპეცოპერაცია რა საჭირო იყო? ხომ შეეძლოთ, ბოევიკები საქართველოდან ისევე უხმაურად გაეყვანათ, როგორც შემოიყვანეს?

– ობამა სააკაშვილს მხარს არ უჭერდა. მეტიც, თეთრ სახლში მას პირდაპირ უთხრეს, რომ ხელისუფლება უნდა გადაებარებინა და მისი გვარ-სახელიც დაუსახელეს, ვისთვისაც უნდა გადაებარებინა.

რაც შეეხება თქვენი შეკითხვას, ის, თუ ვის სჭირდებოდა ე.წ. სპეცოპერაცია, გამოძიებამ უნდა გაარკვიოს, მაგრამ არ ან ვერ არკვევს.

– რატომ?

– არ გამოვრიცხავ, ყველაფერ ამაში ისეთი ადამიანებიც იყვნენ ჩართულები, რომელთაც ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, „ქართულ ოცნებაში“ გარკვეული გავლენა ჰქონდათ, ანუ ეს ადამიანები ე.წ. ჩეჩნურ თემებში მხოლოდ „ნაცმოძრაობის“ დროს კი არა, „ვარდების რევოლუციამდე“ იყვნენ ჩართულნი.

– ეს ადამიანები დღეს სად არიან?

– შეიძლება, აქტიურ პოლიტიკაში აღარ ჩანან, მაგრამ კოალიციის გარკვეულ პოლიტიკურ შტოებთან კავშირი ისევე აქვთ, თუმცა არც იმას გამოვრიცხავ, რომ „ოცნების“ პირველმა პირებმა ამ ადამიანთა საქმიანობის შესახებ დეტალები არ იცოდნენ.

– ბატონო კონსტანტინე, ლაფანყურის სპეცოპერაცია, თქვენი აზრით, მაინც, რას უმსახურებოდა? სხვათა შორის, მხოლოდ ბოევიკები კი არა, ერთი სპეცრაზმელი და ექიმიც დაიღუპა...

– ექვსაც სწორედ ეს ბაღებს... იდიოკოვის ინფორმაციით, ბოევიკებს ქართველმა სპეცსამსახურებმა გამტკიცებლობად ოფიცერი და ექიმი გამოუყვეს. გამტკიცებლები, რომლებიც ყველაფერს ხედავდნენ და ბოევიკებთან ყოველწუთიერი კონტაქტი ჰქონდათ, ბუნებრივია, უდიდესი ინფორმაციის მატარებლები იყვნენ და მათ ცოცხლებს, ბუნებრივია, არ დატოვებდნენ.

– ოფიცერი გასაგებია, მაგრამ გამტკიცებლად ექიმი რატომ შეარჩიეს?

– დანამდვილებით ხომ არ ვიცით, ბოევიკთა ჯგუფს რა მისია ეკისრებოდა? გამოვრიცხული არაა, რუსეთის ტერიტორიაზე სადაზვერვო ოპერაცია უნდა ჩატარებინა, რის შემდეგაც საქართველოში დაბრუნდებოდა. ყველაფერ ამას კი, შესაძლოა, დევნის ოპერაცია მოჰყოლოდა, რა დროსაც თუ ვინმე დაიჭრებოდა, ექიმი დასჭირდებოდა.

– მაშასადამე, ბოევიკთა ჯგუფი საქართველო-რუსეთის ხელისუფლებების ფარული შეთანხმებით მოქმედებდა?

– არა, ამას არ ვამბობ.

– აბა, რას ამბობ?

– ყველაფერი საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების მიერ დაგეგმილი კომპანია იყო, რომლის მიზანიც პანკისის ხეობაში დესტაბილიზაციის კერის შექმნა გახლდათ.

– ეს პროვოკაცია რუსეთის წინააღმდეგ იყო მიმართული?

– რუსეთის წინააღმდეგ არ იყო მიმართული, არამედ, იმას ემსახურებოდა, რომ რუსეთს საქართველოს საზღვარი გადმოეღობა, ან გადმოეღობა მცდელობა ჰქონოდა.

– მძევლების აყვანაც გათვლილი იყო?

– არ მგონია... ჩემი ვარაუდით, მას შემდეგ, რაც მიხედნენ, რომ პოლიტიკური ჯგუფის ბრმა იარაღად იქცნენ, ბოევიკებმა ის ნაბიჯი გადადგეს, რაც გადადგეს, ანუ მძევლები აყვანა მათთვის ერთგვარად სიცოცხლის გარანტია იყო.

სხვათა შორის, თავის დროზე, როცა ტელეკომპანია „პიკ“-ი გაიხსნა, მიხეილ სააკაშვილმა სიტყვა-სიტყვით თქვა, რუსებს მივესმარე, რომ ჩეჩნეთის ომში გარდატეხა შეეტანათ და უნდა ითქვას, რომ შეცდომა დავეუწყო. საერთოდ, სააკაშვილს ასეთი „ნამოყვანტალები“ სჩვევია.

– სააკაშვილის „ნამოყვანტალებულ“ ამ ფრაზაში საგანგაშო რა არის?

– ამ ფრაზით სააკაშვილმა, პრაქტიკულად, დაადასტურა, რომ რუსებთან თანამშრომლობდა და ჩეჩნეთში, ასე ვთქვათ, პუტინის ურთიერთობებს ალაგებდა, ანუ სააკაშვილი კადიროვის მეკავშირე იყო.

– სხვათა შორის, „პიკ“-ი, როგორც ვიცით, კავკასიაში ძლიერი ანტირუსული კამპანიის სანარმოებლად შეიქმნა, თუმცა მერ, გეგმა შეიცვალა... ბატონო კოტე, გაუონა ინფორმაციამ, რომ ბესო ხარძიანის მკვლელობის შესახებ, ჩეჩნური წარმოშობის იყოს. ამასთან, გია უდესიანმა პრაქტიკულად, დაადასტურა, რომ თავდაცვის სამინისტროში საიდუმლო დაჯგუფებას, ანუ „ზონდერებს“ ხელმძღვანელობდა... უდესიანი ნელა თქვენც ახსენეთ...

– უდესიანის ეს ჯგუფი, როგორც ვიცით, 7 ნოემბრამდე ჩამოყალიბდა და თავის დროზე ლესელიძის ქუჩის 4 ნომერში ოფისიც არსებობდა, სადაც ვეტერანები იკრიბებოდნენ. იქ გიგა უგულავა და გია უდესიანიც ხშირად მიდიოდნენ. მაშინ მხოლოდ ეჭვი არსებობდა, რომ ყველაფერ ამას „ნაცმოძრაობა“ ლობიერებდა, ახლა კი, როგორი გასაკვირიც უნდა იყოს, უდესიანმა დაადასტურა, რომ საიდუმლო ბრძანებით, რაღაც ორგანიზებული შეიარაღებული ფორმირება მოქმედებდა. ისე, მეექვსეა, მსგავსი საიდუმლო ბრძანება თავდაცვის სამინისტროში არ უნახავს. უდესიანის თქმით, ამ ჯგუფს ინსტრუქტაჟს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო დაზვერვა აძლევდა, რომ ელსაც სწორედ შემოსხენებელი გია გაბუნია ხელმძღვანელობდა. სხვათა შორის, ეს გია გაბუნია ვანო მერაბიშვილის მოადგილის, გია ლორთქიფანიძის ახლობელია.

ლორთქიფანიძე კი, ლაფანყურის სპეცოპერაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო. მის ძმას, დათოს, რომელიც თავის დროზე ახმეტის პოლიციის უფროსი იყო, უვანის ახმადოვსა და სხვა ჩეჩენ საველე მეთაურებთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა.

მოკლედ, ყველაფერი ეს ერთი ჯაჭვის გარკვეული რგოლია, რომლის „ანყობაც“ იმ საერთო სურათთან მიგვიყვანს, რომელი სურათიც გვეტყვის, თუ რა მოხდა სინამდვილეში ლაფანყურში.

– და ეს „სურათი“ რას გვეუბნება? – რას და, – სახეზეა კიდევ ერთი სისტემური დანაშაული, რომელშიც ხელისუფლების უმაღლესი ეშელონები მერკანტილური ინტერესებით იყვნენ ჩართულნი, ანუ ეს, პრაქტიკულად, სახელმწიფო მავნე იყო, რომელიც ერთ სეგმენტს – იარაღით ვაჭრობას აკონტროლებდა.

– ამას რის საფუძველზე ამბობთ?

– ჩეჩენ და არაბ ისლამისტებთან, ბუნებრივია, იარაღით ვაჭრობა და ნარკოტრაფიკა დაკავშირებული. თუკი იმის კარგ ანალიზს გავაკეთებთ, რაც წლების განმავლობაში ხდებოდა, შევივლით, ვივარაუდოთ, როგორ განვითარდებოდა მოვლენები, თუკი ხალხის ასეთი კატეგორია, ან მისი კონტაქტები ისევე ძალიან უწყებებში იქნება დაბუდეებული.

– მაინც, რა შეიძლება მოხდეს?

– გამოვრიცხული არაა, ამ ხალხმა, თუკი ეს დალაგებული სქემა დარტყმის ქვეშ დადგება, პირდაპირი საბოტაჟი მოახდის. სხვათა შორის, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტს თავის ოფიციალურ ანგარიშში არაერთხელ აღუნიშნავს, რომ საქართველო იარაღით უკანონო ვაჭრობისა და ნარკოტრაფიკის ტრასადაა გადაქცეული. შესაძლოა, ისიც დავუშვათ, რომ ბოლოდროინდელი მკვლევარებზე სწორედ ამ ჯაჭვის ნაწილი იყოს, ანუ შეკვეთილი მკვლელობების შემსრულებლები ამ ჯაჭვიდან იყვნენ.

სხვათა შორის, 2008 წლის აგვისტოს ომამდე, როცა დაბაბულოვის ესკალაცია ხდებოდა, ის ჯგუფი, რომელიც სამხედრო დაზვერვის საფარქვეშ მოქმედებდა, ასევე, კონტრტერორისტული ცენტრი, ცდილობდნენ, რომ ჩეჩნეთისთვის იარაღი მიეცათ.

– რა მიზნით?

– თბილისის დასაცავად – თუკი რუსები თბილისზე წამოვიდოდნენ, ჩეჩნებს უნდა დაეცვათ.

– ეს ინფორმაცია საიდან გაქვთ?

– ეს არაოფიციალური ინფორმაციაა. ისიც ვიცით, რომ ჩეჩენმა საველე მეთაურებმა ამ გეგმაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს.

– თბილისის დაცვა ქართულ არმიას არ შეეძლო?

– მეც ეს მაინტერესებს, თუმცა ყველაფერი ეს, როგორც ჩანს, შორს გამიზნული გეგმა იყო.

– ანუ?

– როგორც ვიცი, თბილისში შეიარაღებული ჩეჩნები გამოჩნდებოდნენ, რუსები ახალგაზრდობა არ გაჩერდებოდნენ და დღეს თბილისი, უბრალოდ, აღარ იარსებებდა!

– ის, რომ თბილისი ჩეჩნებს დაეცვათ, ვისი იდეა იყო?

– როგორც ვიცით, კონტრტერორისტული ცენტრის.

– ამ ცენტრს ვინ ხელმძღვანელობდა?

– ცენტრი შსს-ს ექვემდებარება.

– ესე იგი, ვანო მერაბიშვილს?

– დიახ.

სხვათა შორის, ჩეჩნების მოზიდვაში ან-

ტიტერორისტული ცენტრის ყოფილი მალაჩინოსანი, სერგო ამირიძე იყო ჩართული. საერთოდ, ამირიძე ძალიან საინტერესო ფიგურაა, თუმცა არ ვიცი, დღეს რას საქმიანობს.

– ბატონო კოტე, ყველაფერზე, რასაც ამბობთ, ძალიან უწყებებს ოპერატიული ინფორმაცია აქვთ?

– ოპერატიული ინფორმაცია კი არა აქვთ, არამედ, ძალიანების გარკვეული შტოები ყველაფერ ამაში მონაწილეობდნენ.

– დღევანდელ ძალიანებზე გეკითხებით...

– ამ „ტიპებმა“ პორტირება განიცადეს, ზოგი ბიზნესში წავიდა, მაგრამ კავშირები ისევე აქვთ და ამ კავშირების შესახებ თუ არ იციან, ეს ძალიან უწყებების ხელმძღვანელთა მინუსია.

...დღეს პანკისში, პრაქტიკულად, რელიგიური დაპირისპირებაა – 16-17 წლის პანკისელი ბავშვები სირიაში იპარებიან, რასაც ტრადიციული ისლამის მიმდევრები აპროტესტებენ.

– ისე, ბატონო კოტე, როგორც ამ საქმის სპეციალისტს, როგორ წარმოგიდგინიათ, ბავშვი საზღვარზე ისე გადაიპარება, რომ მესაზღვრეებმა ვერ შეამჩნიონ?

– ყველაფერი შეიძლება, მაგრამ ისეთი მესაზღვრე, რომელიც საზღვარს ვერ აკონტროლებს, რად გინდა? კარგი, ვთქვათ, ჩვენს საზღვარზე გადაიპარა, მაგრამ მეორე მხარეს ხომ ვიღაც დახვდა? – ესე იგი, ეს აწყობილი „კანალია“, რომლის უკანაც გარკვეული დაინტერესებული ჯგუფები დგანან. ძალიანებმა სწორედ ეს ჯგუფები უნდა გამოავლინონ. ამ კუთხით თავად პანკისის მოსახლეობამაც უნდა იაქტიურდეს, რადგან ყველაფერ ამით ახალგაზრდობა ისპობა!

– ...ბატონო კოტე, კიდევ ერთი თემა, რომლის მიმართაც მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობს, პოლიციელების მკვლელობაში ბრალდებული შალვა აბულაძის დაჭერაა. თქვენი აზრით, აბულაძის ასაკვანდად სპეცოპერაცია რატომ მაშინ არ ჩატარდა, როცა, როგორც ამბობენ, ბორჯომში პირველი პოლიციელი მოკლა?

– მეც სწორედ ამას ვკითხულობ. საერთოდ, პოსტ-ფაქტუმ მუშაობა არ შეიძლება. პრევენციული ღონისძიებები თავის დროზე უნდა გატარებულიყო. შსს-ს ხელს რა უშლიდა, რომ აქტიური ოპერატიული და აგენტურული ნაბიჯები თავის დროზე გადაედგა? შე მამაცხონებული, რატომ ელოდები, რომ მეორე და მესამე პოლიციელი მოკლას? ბოლოს და ბოლოს, სპეცსამსახური ხარ და შეგიძლია, სიტუაცია ესკალაციამდე არ მიიყვანო!

– წინა ინტერვიუში აღნიშნეთ, რომ ვილაცა შიშის დანერგვის ცდილობს. პრევენციაც ვეგბ, ამიტომ არ ტარდება?

– დიახ, ვილაცა ცდილობს, რომ კრიმინალურმა ე.წ. თამასამ მალა აინოს.

– ეს „ვილაცა“ ვინ შეიძლება იყოს?

– ალბათ, რომელიმე პოლიტიკური ძალა...


– კოტე ბატონო, რა ამის პასუხია და, წლების მერე, როცა სხვა ხელისუფლება მოვა, ის სპეცრაზმელები, რომლებიც შალვა აბულაძის დაკავების სპეცოპერაციაში მონაწილეობდნენ, უნდა დასაჯოს?

– სპეცრაზმელი მანქანაა, რომელმაც თავისი ამოცანა იცის, მაგრამ არ იცის, ამ ამოცანის ობიექტი ვინ და რა არის. ვანო, როგორც მიხვდი, აქცენტს ზურა ვაზაგაშვილის საქმეზე დაჭირებულ სპეცრაზმელებზე აკეთებთ. ამ შემთხვევაში, სპეცრაზმელი კი არა, ბრძანების გამცემია დასასჯელი. ყველა კარგად იცის, რომ მაშინ ბრძანება შალვა ჯანაშვილმა გასცა, მაგრამ მას ბრალდება არ წაუყენეს. თუ სპეცრაზმელს იჭერ, მოად, ჯერ ის გაარკვიე, ბრძანება ვინ მისცა.

– დავალების შესრულებისას, კრიტიკული სიტუაცია რომ შეიქმნას, სპეცრაზმელს გადანყვეტილების ავტონომიურ რეჟიმში მიღების უფლება აქვს?

– სპეცრაზმელს მკაცრი ინსტრუქცია აქვს, ამა თუ იმ მომენტში როგორ უნდა იმოქმედოს და პასუხს ინსტრუქტაჟის დარღვევისთვის აგებს.

ესაუბრა ვანო აბოლიაშვილი (თემის გაგრძელება იქნება)



საქართველო
საგარეო საზღვარზე

„შენ — უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერება სომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელი — ქართული სიტყვავე, ქართული სიტყვავე“
კორნეე ლეონტი

სულიერება

„ყოველი დღე უნდა გავატაროთ ისე, როგორც — უკანასკნელი!“

პატრიარქის სააღმშენებლო ეპისტოლე

ყოველდღეა მღვდელმთავარნი, მოძღვარნი, დიაკონნი, ბერ-მონაზონნი, ყოველნი ერთგულნი და თავდადებულნი შვილნი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა, საქართველოს მკვიდრნი და დროებით სამშობლოს გარეთ მცხოვრებნი თანამემამულენო! „მაშ, ადიდეთ ღმერთი თქვენი სხეულით და სულით, რომელიც არიან ღმერთისა“ (კორინ. 6,20) „ლხენით ვილხენ უფალში და ხარობს ჩემი სული ჩემს ღმერთში, რადგან შემოსა ხსნის სამოსელით“ (ეს. 61,10) „დღეს აღდგომისა დღე არს, განვბრწყინდებოდეთ ან, ერნო...“ (ზატიკი). უფალი, „რომელიც მიეცა ჩვენი ცოდვებისათვის, აღსდგა ჩვენს განსამართლებლად. (რომ. 4.25) და სიკვდილიცა მოკლულ იქმნა მის მიერ (პარაკლ.)“ გიხაროდეთ!

ქრისტე აღდგა! სად არის სიკვდილო სანერტელი შენი? ქრისტე აღსდგა! სად არის ჯოჯოხეთო ძლევაი შენი?

„აღსდგა ქრისტე და დაირღვიე შენი; აღსდგა ქრისტე და დაეცნენ ეშმაკნი; აღსდგა ქრისტე და ცხოვრება მოქალაქობს“ (წმ. იოანე ოქროპირი).

როგორც პავლე მოციქული ამბობს, ცოტას თუ ვინმეს შეუძლია სიცოცხლის განიღვრა მართალთათვის, ქრისტემ კი, თავი დადო ჩვენთვის, რომელიც ვიყავით უცხონი, მტრები და მოწინააღმდეგეები მისთვის (შდრ. რომ. 5; 6-8).

— და რატომ ვიყავით მტრები და უცხონი?

ღმერთი სიყვარული არს და ამ გრნობით შექმნა და განმსჭვალა მან მთელი ხილული და უხილავი სამყარო.

ღვთაებრივი სიყვარული ვლინდება სხვისთვის მსახურებაში, სიკეთეში, სიმართლეში, მშვიდობაში, სინამდვილეში, მონყალეობაში, სიხარულში

ასეთი მადლით იყო მოცული ცოდვით და ცემამდე მთელი კოსმოსი, დედამინა და მკვიდრნი მას შინა.

როდესაც გველის ცდუნებით ადამამ და ევამ ღვთის მცნება დაარღვიეს, ამით შემომქმედდა და მისი მცნებებით ცხოვრებაზე თქვეს უარი. უარი თქვეს იმ სიყვარულზე, რომელიც სხვისთვის გასცემს ყველაფერს და არ ეძებს თავისას; მადლდაკარგულებს ამპარტყანების ვნება დაეუფლათ, ეგოისტური აზრები და თავის თავზე ორიენტირებული სიყვარული გაუჩნდათ.

ადამის მთელი მოდგმა ამ სენით დაავადდა და საღვთო დიდებისათვის განმზადებულმა თავი წარწყმედისთვის განიღრა.

ამიტომაც ვიყავით განშორებული ღვთისგან.

— როგორ გვიხსნა ქრისტემ და რას ვზეიმობთ მისი აღდგომით?

ყველა ადამიანის სული, ადამის ცოდვის გამო, გარდაცვალების შემდეგ ჯოჯოხეთს იმკვიდრებდა.

მაშა ღმერთმა ჩვენს გამოსახსნელად მოავლინა თვისი მხოლოდშობილი ძე, რომელმაც მიიღო სრული ადამიანური ბუნება და თავის ჰიპოსტასში განუყოფლად და შეურევლად შეუერთა საღვთო ბუნებას, რითაც განაღმრთო კაცობა.

იესო ქრისტემ ყოვლისმომცველი, მსხვერპლშენიერი სიყვარულის ძალით ბოროტების საკრველნი დაამსხვრია, დაამხო ეშმაკის მეუფება, მართალთა სულები გამოიხსნა და კაცობრიობისათვის ზეცის კარიბჭეები განახვანა.

დაიხ, ამიერიდან მართალთათვის გარდაცვალება იქცა არა წარწყმედის, არამედ, ცხოვრების, სიხარულისა და მარადიულ ნეტარებაში დამკვიდრების საშუალებად.

ამიტომაც წერია ფსალმუნში: „პატიოსანი არს წინაშე უფლისა სიკვდილი წმინდათა მისთა.“ ამიტომაც აღნიშნავს ეკლესია წმინდანთა გარდაცვალების დღეს ზეიმით.

უნდა ვიცოდეთ, რომ ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანი, რომელიც რწმენითა და სინანულით აღესრულება, უფლის მადლითა და მონყალეობით, წმინდათა შორის დაემკვიდრება (რა თქმა უნდა, თავისი ამქვეყნიური ღვანლის შესაბამისად, სხვადასხვა საკანში). ამიტომაც მოძღვარი წესის აგების ლოცვაში ასე ავედრებს უფალს გარდაცვლილს:

„წმიდათა თანა განუსვენე, ქრისტე, მონასა (ან მხვეალსა) შენსა...“



„ქართული სიტყვა“ უცვლელად გთავაზობთ უწინდესისა და უნეტარისის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის სააღმშენებლო ეპისტოლეს, რომელიც სვეტიცხოვლის ტაძარში წაიკითხეს.

სწორედ ეს აღთქმა, წმინდათა შორის მარადიული თანამყოფობისა, არის აღდგომის ზეიმის არსი, თითოეული ადამიანის იმედისა და სიხარულის საფუძველი.

წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველი წერს: უფლის ჯვარცმისას იხილეს მრავალი სასწაული: დაბნელებული და ხელახლა გაბრწყინებული მზე, განშობილი კრეტსაბმელი, მაცხოვრის გვერდიდან გადმოღვრილი სისხლი და წყალი, მინისძვრა, საფლავთაგან მკვდართა აღმოსვლა, სასწაული უფლის საფლავად დადების ჟამს... მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ შეედრება ჩემი ცხოვრების სასწაულს!

ხოლო ვისაც ეს არა აქვს გაცნობიერებული, ფუჭია მისი სარწმუნოება. აი, როგორ გვაფრთხილებს მოციქული:

„თუ მხოლოდ ამ ცხოვრებაში ვართ ქრისტეს მოსაყვანი, კაცთა შორის უსანყალობენი ვართ... ხოლო თუ ქრისტე არ აღმდგარა, ამაოა ჩვენი ქმედება და ამაოა თქვენი რწმენა“ (1. კორ. 15,14,19).

— თუ სიკვდილი განქარდა, რატომღაც კვდებიან ადამიანები, რატომ დარჩა გარდაცვალება ყველასათვის აუცილებელ მოვლენად?

სამოთხეში ადამს და ევას სხვაგვარი სხეული ჰქონდათ, შემდეგ კი, ხრწნადობა შეიმოსეს და მოკვდავნი გახდნენ. აქედან მოყოლებული ადამიანი ამ მოკვდავი სხეულისა და უკვდავი სულის ერთობას წარმოადგენს, რომელთა განცალკევებაც სიკვდილისთანავე ხდება.

მართალთა სულები ქრისტეს აღდგომის შემდეგ უფლის წიაღს იმკვიდრებენ, ცოდვით დამძიმებულთა კი, — კვლავ ბნელების ანგელოზთა დასს უერთდებიან. სხეული კი, იხრწნება და უერთდება მიწას, რომლისგანაც შეიქმნა. როგორც მარცვალი ხნულში ითესება და იხრწნება, რათა აღდგეს უხრწ-

„ადამიანი ყველაფერზე მაღლა იესო ქრისტემ დააყენა და იგი გახდა თავისი უდიდესი სიყვარულის ოზიანობი. ამასთან, მას უდიდესი ნიჭი — თავისუფლება უბოძა და მისცა არჩევანის საშუალება. თითოეული ჩვენგანი გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად დღესაც ყოველწუთს აკითხვს არჩევანს კეთილსა და ბოროტს, ღმერთსა და ეშმაკს შორის და ეს ჩვენი უფლებაა.“

ნელებით, ასევე, „ითესება სხეული მშვენიერი და აღდგება სხეული სულიერი, ითესება დამცირებაში და აღდგება დიდებაში“ (1. კორ. 15. 44, 45).

ეს მოხდება მკვრივ მოსვლის ჟამს. ყოველი გარდაცვლილის სული (ცოდვილთა თუ მართალთა) შეიერთებს თავის უხრწნელ სხეულს.

ღმერთმა ინებოს, რომ ჩვენი სული და სულიერი სხეული მარადიული ნეტარებისათვის აღდგეს და არა — მარადიული სატანჯველისა და გველისათვის.

ზოგიერთს სიკვდილისადმი აქვს ერთგვარი ზერეულე დამოკიდებულება, ზოგს კი — ავადმყოფური შიში. წმინდად ერთნიც და მეორენიც ამიტომ არ ფიქრობენ ამ საკითხზე, რაც არ არის სწორი.

ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ გარდაცვალება აუცილებლად გველის და ყოველი დღე უნდა გავატაროთ ისე, როგორც — უკანასკნელი. მაშინ მეტი დაკვირვება გვექნება საკუთარ თავზე, მეტი გულისყურით მოვეყრებით მოყვასს და ღვთის სათნოდ მოვიქცევით ამა თუ იმ ვითარებაში.

— როგორ მივხვდეთ, რა არის მართებული ქმედება?

მთავარი ორიენტირი ჩვენთვის უნდა იყოს მაცხოვარი, რომლის მიერაც განგვეცხადა ადამიანის სიღიადე; უნდა ვიცოდეთ ისიც, რომ შეგვიძლია, ზიარების მადლით, ძალისამებრ ჩვენისა დავიტიოთ იგი და შევეუერთდეთ მას, რათა განვიღმრთოთ და მივალნიოთ იმ სისრულეს, რისთვისაც ვართ მოწოდებულნი.

თუმცა, ეს შეერთება ვერ შედგება, თუ არ მოხდა პიროვნული შესხვედრა მაცხოვართან — შესხვედრა უციხალ ღმერთთან!

ეს არის ყველაზე დიდებული ჟამი ადამიანის ამქვეყნიურ ცხოვრებაში; ეს არის ჭეშმარიტ სიყვარულთან დაბრუნების და მისით აღსების საოცარი განცდა, რომელიც სრულიად გარდაქმნის ჩვენს შინაგან სამყაროს და მადლით ალავსებს სულს;

არის მადლი მომხმობი, მომწოდებელი, რომელიც კაცს განაცდევინებს სასუფევლის ნეტარებას და სინანულისთვის განაწყობს. მერე კი, იწყება გამოცდის ჟამი, ანუ ის ეტაპი, როდესაც შენ შენი შრომით, სინანულითა და ჭირთა დათმენით უნდა ააღორძინო და განამრავლო იგი.

ღმერთი ყველაზე სუფევს, მაგრამ ეკლესია სულიერი სხეული მისი, სადაც საღვთო სიღიადე სრულად ვლინდება კაცთა წინაშე. ეს არის ის სივრცე, სადაც აღესრულება საღვთო საიდუმლოებები, სადაც ყოველ წირვაზე უხილავად მყოფობს უფალი და წმინდა ზიარებით მასთან შეერთების საშუალებას გვაძლევს.

მაგრამ ღმერთთან კავშირი ორმხრივი მოვლენაა: შენ ვერ ჰპოვეს უფალს, თუ არ შეიცანი იგი, თუ არ აღიგეს ღვთისმსგავსი უმურველი სიყვარულით.

ასეთი სიყვარულის უნარი ადამიანს აქვს და იგი ვლინდება მავალითად, შეილებების, მშობლების, მეუღლის, დე-მამიშვილების, მეგობრებისა და ახლობლებისადმი უსაზღვრო სიყვარულსა და, საჭირო შემთხვევაში, თავგანწირვამდე.

ამგვარი სიყვარულით, პირველ რიგში, უნდა შევიყვაროთ იესო ქრისტე, რომლისგანაც მოგვეცა ყველაფერი, აბსოლუტურად ყველაფერი. ეს კი წინააღმდეგობაა, რომ მასზე წინ არ უნდა დავაყენოთ არავინ და არაფერი. ეს არის ყოველად აუცილებელი პირობა ჩვენი გადარჩენისა; წინააღმდეგ შემთხვევაში, დიდი შეცდომებისა და არასწორი აზროვნებისაგან არაფერი დაგვიცავს.

ხოლო ვისაც ამგვარი განცდა და ცოცხალი სარწმუნოება არა აქვს, მისთვის საეკლესიო მსახურება, უფლის სწავლანი და საიდუმლოებები გაუბრალოებულია, მხოლოდ რიტუალია და სიღრმისეული აზრს მოკლებული სიტყვები. ამ მდგომარეობაში შეიძლება იყოს როგორც მრევლის წევრი, ისე — სასულიერო პირი.

ამგვარი ადამიანის აღსარება და სინანული არაგულწრფელია, შედეგი — უღირსი ზიარება და სულის გაუხეშება. ეს არის ნელ-თბილი სარწმუნოება, რომელიც მეტად საშიშია და მიუღებელი ღვთისთვის.

სინანულს ბერძნულად „მეტანია“ ჰქვია,



საქრეპული
საქართველოს მთავრობის განცხადებით

„შენ – უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერებას ხომ შენით ითქვა;
დიდება შენა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“

კარგე ლინა

სწულიერება

მე-4 გვერდიდან

რაც სიტყვა-სიტყვით თარგმანში „გონების შეცვლას“ ნიშნავს. აი, ეს უნდა მოხდეს ჩვენში, მაგრამ ამას ვერ მივალწევთ, თუ მუდმივად არ ვაკვირდებით საკუთარ თავს, თუ აღსარებიდან აღსარებამდე ჩვენში უკეთესობისაკენ მცირედი ცვლილება მაინც არ ხდება, თუ ცოდვას არ ვუპირისპირდებით და არ ვებრძვით.

ეშმაკის გავლენით ზოგიერთი, პატივმოყვარეობის ან სირცხვილის გამო, ბოლომდე არ აღიარებს ცოდვას, ან შელამაზებული სახით ამბობს სათქმელს და ამით ხელს უშლის საკუთარ განმეცხვად.

ამ დროს პირიქითაა, მძიმე დანაშაულის ჩამდენის გულწრფელი სინანული სასულიერო პირის მისდამი თანალობით განაწყობს და სწორი რჩევის მიცემის საშუალებას აძლევს; ადამიანს კი, უფალი წყალობას მაშინვე ანიჭებს.

დიდ პრობლემას ქმნის ორიენტირების აღრევაც, – როდესაც ზოგიერთი საშუალებას მიზნად მიიჩნევს, მიზანს კი, – საშუალებად.

საერთოდაც, ბევრი რამ არის ჩვენს ყოფაში გაუკუღმართებული: ხშირად ადამიანის სიცოცხლეს იოლად ხელყოფენ, არადა, ადამიანის მკვლელობა უდიდესი ცოდვაა. უფლება არ გვაქვს, ღვთის მიერ ბოძებული სიცოცხლე წაგვართვათ ვინმეს.

ასევე, უმძიმესი და მკვლელობის ტოლფასი ცოდვაა აბორტი. ამ მომავლენიანი დანაშაულის ჩამდენი არა მხოლოდ მშობლები არიან, არამედ, – ისინი, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ ამ ქმედებაში.

დიდად ვნუხვართ თვითმკვლელობის რისკის ზრდის გამო. სიცოცხლე ღვთის უდიდესი წყალობაა და დაუშვებელია, ვინმემ თავისი ნებით მოისწრაფოს იგი. ამ ცოდვის ჩამდენთ ტყუილად ჰგონიათ, რომ სიკვდილით პრობლემებისგან გათავისუფლდებიან და ვერ აცნობიერებენ, რომ თავს მარადიული სატანჯველისთვის წირავენ.

შეიძლება ითქვას, რომ დღეს, ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილი შრომას გადაეჩენია. არადა, შრომა აუცილებელია როგორც ფიზიკური, ისე – გონებრივი და სულიერი. მშობლებმა ბავშვობიდანვე უნდა შეაყვარონ შვილებს ეს საქმე. ამასთან, უნდა აღზარდონ ისე, რომ ღვთის სიყვარულთან ერთად, სამშობლოს და მოყვასის სიყვარული ასწავლონ. ასწავლონ სირთულეების დაძლევა და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება.

ჩვენ დიდი იმედით ვუყურებთ ახალგაზრდებს; მართალია, მრავალი მათგანი სერიოზულ შეცდომებს უშვებს ემონება რა ნარკომანიას, ლოთობას, გარყვნილებას... მაგრამ გვეყრება, ღვთის მადლით, ისინი შეიცნობენ ამ ცოდვათა დამლუპველობას და ღმერთს დაუბრუნდებიან; მიხვდებიან, ცხოვრებისეული ჯვარი იმიტომ მოგვეცა, რომ იგი რწმენითა და სიყვარულით ღირსეულად ვატაროთ და ჩვენი ჯვარცმა – განსაცდელეები და პრობლემები, ჩვენს აღდგომად და ამაღლებად გადავაქციოთ.

არასწორმა ცხოვრების წესმა დაარღვია ტრადიციული ურთიერთობებიც. მაგალითად, ქართული სუფრა ყოველთვის იყო სამშობლოს, მეგობრობის, სიყვარულის, თანადგომის, ვაჟაკობის სადიდებელი, ჭირის სუფრა კი, – გარდაცვლილთა მოსაგონარი და შესანდობარი.

როგორც ერთი, ისე მეორე სერობა იწყებოდა და მთავრდებოდა ღვთის დიდებით. ახლა კი, ასეთი შეკრებები ხშირად დაუსრულებელ ქეიფად და ღრეობად იქცა, სადღეგრძელოები კი, – ფარისევლურ ქება-დიდებად, რაც უნდა გამოსწორდეს.

რაკი ღვთისა და, საერთოდ, პურობის საკითხს შევხვით, აღვნიშნავთ იმასაც, რომ საუკუნეების მანძილზე მევენახეობა და მე-

ხორბლეობა ჩვენი ყოფის განმსაზღვრველ ფაქტორს წარმოადგენდა. ქართველი კაცი მასში განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევდა და ზიარების საიდუმლოს აღსასრულებელ შესანიშნავ ალიქვამდა. ამიტომაც ამ კულტურებზე ზრუნვა საუფლო საქმედ მიიჩნეოდა.

ათეისტური რეჟიმის დროს ეს დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა – უნიკალური ქართული ხორბლისა და სავენახე ზოგი ჯიში მთლიანად განადგურდა და მათი ადგილი ჰიბრიდულმა, ნაკლებად შრომატევადმა ჯიშებმა დაიკავა. ამას დაემატა ღვთის შაქრით ფალსიფიცირება, რაც ადრე ყოველად წარმოუდგენელი რამ იყო. ასე შეიღობა და გაუბრალოვდა საკრალური დატირთვის მქონე ვენახისა და ხორბლის მნიშვნელობა.

მადლობა ღმერთს, დღეს მდგომარეობა უკეთესობისაკენ იცვლება და ამაში გულანთებული უანგარო ადამიანების დიდი ღვაწლია ჩადებული.

მინდა, ყურადღება გავამახვილო ცოდვისადმი ნელ-თბილი ადამიანის დამოკიდებულების კიდევ რამდენიმე გამოვლინებაზე: ვილაცას ჰგონია, რომ როცა სხვას შეურაცხყოფს, ან ცილს დასწამებს, უმიზეზოდ განურისხდება, ან ბილწსიტყვაობით აჯობებს, ეს დიდი ცოდვა არ არის, – მნარედ ცდებია.

თუ გავანალიზებთ, აღმოვაჩენთ, რომ მკვლელობებისა და თვითმკვლელობების ძირითადი მიზეზი არის ვილაცის გაბოროტებული სიტყვა. ხშირად ოჯახებზე შელაპარაკების ნიადაგზე ინგრევა; უნდა სიტყვის გამოყენების პრაქტიკამ ჩვეულებრივი ხასიათი მიიღო პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ურთიერთობებში, მასმედიაში...

სიტყვა უდიდესი ძალაა. ღმერთი არის სიტყვა; ავი სიტყვა კი, – ეშმაკისულია. თითოეული ჩვენი ნათქვამი ბუმერანგით დაგვიბრუნდება. შეგახსენებთ მაცხოვრის დარიგებას:

„მე გეუბნებით თქვენ: ვინც უმიზეზოდ ურისხდება თავის ძმას (ანუ მოყვასს), სამართალში უნდა მიეცეს, ხოლო ვინც ეტყვის თავის ძმას: რაკა (უგუნურო), სინედრონის (სამსჯავროს) უნდა წარუდგეს; და ვინც ეტყვის თავის ძმას: შლეგო (ცოფო, უსინდისო), ცეცხლის გენიაში უნდა ჩავარდეს (მათი. 5:22).

იაკობ მოციქული კი გვაფრთხილებს: „პატარა ცეცხლი რამხელა ტყეს ჰბუგავს, ენაც ცეცხლია, სიცრუის სამკაული. ენას ისეთი ადგილი უჭირავს ჩვენს ასოთა შორის, ბილწავს მთელ სხეულს და ცეცხლად აქცევს სიცოცხლის ჩარხს“ (იაკობ. 3, 5-6)

ამიტომაც, მეტყველებისას ყველას დიდი სიფრთხილე და დაკვირვება გემართება. შევეხები მეტად საშიშ და სერიოზულ პრობლემას – სათამაშო ბიზნესს. ეს საქმიანობა, მართალია, ბიუჯეტისთვის, ალბათ, მომგებიანია, მაგრამ იგი იმდენად უარყოფითი მოვლენაა, რომ ბევრ ქვეყანაში საერთოდ აკრძალულია. ჩვენთან კი, მას ბოლო დროს ინტერნეტ-საშორონეც (კაზინო) დაემატა.

თუ ჩვეულებრივ სამორინეში (კაზინოში) ასაკს ყურადღებას აქცევენ და გარკვეული თანხის ქონა აუცილებელია, ინტერნეტ-სივრცეში ეს შეზღუდვა არ არსებობს; ადამიანები, განსაკუთრებით ახალგაზრდები, რომელთაც ისედაც მცირე ფინანსები აქვთ, ცდუნებას ვერ უშეგებებიან და დიდ ვალში და დიდ პრობლემებში ვარდებიან.

კატასტროფულად იზრდება მათი რიცხვი, რომელნიც მიჯაჭვულნი გახდნენ ამ საცდურზე; ბევრმა ქონება დაკარგა, მრავალი ოჯახი დაინგრა, ზოგმა თავიც მოიკლა...

ვფიქრობთ, ხელისუფლებამ თავისი სი-

„ქართული სუფრა ყოველთვის იყო საგონებლო, მებრუნების, სიყვარულის, თანადგომის, ვაჟაკობის სადიდებელი, ჭირის სუფრა კი, – გარდაცვლილთა მოსაგონარი და შესანდობარი. როგორც ერთი, ისე მეორე სერობა იწყებოდა და მთავრდებოდა ღვთის დიდებით. ახლა კი, ასეთი შეკრებები ხშირად დაუსრულებელ ქეიფად და ღრეობად იქცა, სადღეგრძელოები კი, – ფარისევლურ ქება-დიდებად, რაც უნდა გამოსწორდეს“.

ტყვა უნდა იქცას ამ მიმართულებით, და შესაძლებლობისამებრ, დაიცვას ქვეყნის ანწყობა და მომავალი.

აქამდე იმით შესახებ ვისაუბრეთ, რომელთაც ღმერთის არსებობა სწამთ; რაც შეეხება ურწმუნოთ, ადრეც მოთქვამს და კვლავ გავიმეორებ, რომ მატერიალურ-ტექნიკურმა წინსვლამ და სულიერ განვითარებაზე ნაკლებმა ზრუნვამ დიდად შეუწყო ხელი ადამიანში ამპარტავნების აღზევებასა და ათეისტური ცნობიერების ჩამოყალიბებას, იმ აზრის განმტკიცებას, თითქოს მისთვის საიდუმლო აღარ არსებობს, რომ თვითონ შეუძლია ყველაფერი მართოს და განავსოს.

მაგრამ, უღმერთო კაცმა დღემდე ვერ იპოვა უმთავრესი – სიცოცხლის საზრისი და ვერც სიკვდილის საიდუმლო ამოხსნა. აქედან გამომდინარე, ცუდი და კარგი, ცოდვა და მადლი, მისთვის ფარდობითი და პირობითი ცნებები გახდა. ამიტომაც ასე მოაზროვნე საზოგადოება ადვილად მივიდა ცოდვის და გაუკუღმართებული ურთიერთობების დაკანონებამდე.

მართლაც, თუ არ არსებობს ღმერთი, რა თქმა უნდა, არ არსებობს არაფერი მიუღებელი, არ არსებობს არანაირი სულიერი მიზანი, რომლისკენაც იგი უნდა ისწრაფოდეს, ანუ სიცოცხლეს, ფაქტობრივად, არ აქვს აზრი.

რჩება მხოლოდ წარმავალი მიწიერი ყოფა და ამქვეყნიური ვნებები, სიმდიდრითა და პატივით მიღებული დროებითი სიამოვნება, რომლის შედეგი დასოწარკვეთა და დეგრადაციაა, დასასრული კი, – არარაობა.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ ქვეცნობიერად ყველამ, მორწმუნემაც და ურწმუნომაც, მეტ-ნაკლებად იცის, რომ სიკვდილის შემდეგ სიცოცხლე მაინც გრძელდება. ამას იგი გრძნობს იმ წარუშლელი ღვთიური ნაპერწკალით, რომელიც თითოეულ ჩვენგანშია ჩადებული შემომქმედისაგან და რომლის საშუალებითაც სიცოცხლის უკანასკნელ წამამდე რჩება შესაძლებლობა სინანულის, მოქცევისა და ღმერთთან შერიგებისა.

გავისხენოთ ავაზაკი, რომელმაც სულიერი ფერისცვალება სიკვდილის წინ, ჯვარზე გაკრულმა, განიცადა და მაშინვე ღირსი გახდა, პირველი შესულიყო სასუფეველში. ჩვენ ვცხოვრობთ რელიგიური აზროვნებისა და იდეოლოგიების ზეობის ეპოქაში; როგორც ერთ-ერთი ცნობილი თეოლოგი ამბობს, რელიგიასა და იდეოლოგიას შორის უდიდესი განსხვავება იმაშია, რომ რელიგია და რწმენა ყოველთვის ძალზედ

პირადულია და ღრმა შინაგანი გამოცდილებით მიიღწევა მაშინ, როცა ნებისმიერი იდეოლოგია ყოველგვარ პირადს, როგორც უსარგებლოს, უარყოფს.

ამიტომაც არის, რომ არც ძველი და არც რომელიმე თანამედროვე იდეოლოგია, პიროვნებას არ სცნობს.

ადამიანი ყველაფერზე მაღლა იესო ქრისტემ დააყენა და იგი გახდა თავისი უდიდესი სიყვარულის ობიექტი. ამასთან, მას უდიდესი ნიჭი – თავისუფლება უბოძა და მისცა არჩევანის საშუალება. თითოეული ჩვენგანი გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად დღესაც ყოველწუთს აკეთებს არჩევანს კეთილსა და ბოროტს, ღმერთსა და ეშმაკს შორის და ეს ჩვენი უფლებაა.

ჩვენი ნება ღვთის ნების შესაბამისი უნდა გახდეს, მაგრამ არა იმიტომ, რომ ასე ვინმემ გვიბრძანა, არამედ, იმიტომ და მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ჩვენს დიდ სურვილად და სწრაფვად უნდა იქცეს; იმიტომ, რომ ჩვენ მოვიწოდებთ, გავხდით ადამიანები, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

ჩემო საყვარელო სულიერო შვილებო: ქართველებო, აფხაზებო, ოსებო, ბერძნებო, რუსებო, უდიდებო, აზერბაიჯანელებო, სომეხნო, იეზიდებო, ქისტნო, ასირიელებო, სხვანო ყოველნო, ჩვენ ხატად და მსგავსად ღვთისა ვართ შექმნილნი და თითოეული ჩვენგანის სულშია ის ღვთაებრივი ნაპერწკალი, რომელიც დღეს ღალატებს, – ჭეშმარიტად აღსდგა ქრისტე!

მართლაც, ყველასთვის აღსდგა ქრისტე, ყველა ადამიანს შეუძლია შეცვლა და ფერისცვალება, რადგან, როგორც წმ. ირიხეოს ლიონელი ბრძანებს, ადამიანის სული ბუნებით ქრისტიანია.

„მაშ, ვმადლობდეთ უფალს, რომელიც სიხარულით შეგვიძლვა თავისი აღდგომის ნავთსაყუდელში, ვმადლობდეთ ყოველნი, რომელთაც კეთილად განვკლეთ სარბიელი მარხვისა; ვმადლობდეთ ისინიც, რომელნიც უძლურ ვიქმენით ამგვარი ღვაწლისა“ (სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი). ამერიდან ნულარავინ სძრწის და ეშინის, ჭეშმარიტი სიყვარული და მარადიული სიცოცხლე დაუბრუნდა კაცობრიობას; იხარებს ადამის მოდგმა და მთელი სამყარო!

ქრისტე აღსდგა! აღსდგეთ თქვენც და მასთან ერთად ევთო უკუნისამდე!

სიყვარულით თქვენთვის მლოცველი

ილია II
აღდგომა ქრისტესი
თბილისი, 2015 წელი

**დავით სერგაძის
საუბრის**

ვინც თავის გვარს
პატივსაცემს,
ვაშა, იმის მარჯვენას,
ვინც თავის გვარს
ულალატებს,
მე იმ კაცის არ მჯერა!
გვარგამოცვლილთ
რა ჩამოთვლის? –
არ ეყოფა რვა ტომი,
შენ კაცი ხარ,
სერგენეკო,
შენი გვარის პატრონი!
ჯანსუღ ჩარკვიანი



გამოვიდა ჟურნალ „ცისკარი 1852“-ის მეორე ნომერი

პოეზია, პროზა, ესეისტიკა, სამეცნიერო ნარკვევები, ახალი თარგმანები, რეცენზიები, კრიტიკა და ბევრი სხვა...
ჩაუჯექით განახლებულ „ცისკარს“ და ისიამოვნეთ!

„სინანულს ბერძნულად „მეტანია“ ჰქვია, რაც სიტყვა-სიტყვით თარგმანში „გონების შეცვლას“ ნიშნავს. აი, ეს უნდა მოხდეს ჩვენში, მაგრამ ამას ვერ მივალწევთ, თუ მუდმივად არ ვაკვირდებით საკუთარ თავს, თუ აღსარებიდან აღსარებამდე ჩვენში უკეთესობისაკენ მცირედი ცვლილება მაინც არ ხდება, თუ ცოდვას არ ვუპირისპირდებით და არ ვებრძობით“.

საქართველო
საქართველო

„შენ — უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელი — ქართული სიტყვავე, ქართული სიტყვავე!“
კონსტანტინე

პოეზია

მაგრამ თორნიკე უბასუხებს:
— „ნუ მამგუნებ, მეფევე ძღვენსო:
ვერ მივიღებ მე სიმდიდრეს,
ვერ ვიქმ საქმეს ღვთის საწყენსო!
ჯვარი და სახარება
მხოლოდ ბერის სიმდიდრეო;
ეს სიმდიდრე ქვეყნის არის
და თქვენც მისი მემკვიდრეო!“
ვერ შეთანხმდენ, თუმც სარდალი
ცრემლით სთხოვდა მუხლომყრილი,
და ლაშქარიც სარდლის თანხმად
მის წინ იდგა თავდახრილი.

III
ღრუბელზე მალა, ორბის საბუდარს,
არჩევ-ჯიხვების მალალ სამთავროს,
წმინდა მამებსა გამოუქვამავსთ
კლდეში სახლები ოდესმე, ერთ დროს.
აღარა სჩანან დღეს ის მამები,
ან აიაზმას ვერ გვახსურებენ,
და მალლობიდან ის სადგურებიც
ჩვენ შავ ბედს შავად გადმოჰყურებენ
ვერა ოთხფეხი, ვერა ფრინველი,
ვერ შედის, თუმც კი ღიაა კარი;
ვერც უწმინდური რამე ქვემძრომი:
იქ ბუდობს მხოლოდ წმინდა ფუტკარი;
და ისიც მისთვის, რომ ზეცის მუშა
ხატებს უმზადებს აქ წმინდა სათლებს,
თორემ სხვა გინდა კაციც შევიდეს,
რალაცა შიში ააკანკალებს.

ამგვარად ჰფიქრობს დაბალი ხალხი,
ცრუ-მორწმუნობით არის შემცდარი,
მაგრამ ამ გულწრფელ მათ შეცდომაში
მაინც სინამდვილე და მადლი არი.
თორნიკეს დროსაც ამგვარ მღვიმეში
ცხოვრობდა ერთი მოხუცი ბერი,
ძაძით მოსილსა და ფეხშიშველსა,
წელზე ეყარა თმები და წვერი.
ხშირად სოფელში ჩამოდიოდა,
არ ასვენებდა კაცთმოყვარება:
მუნჯად ვიდოდა, ხმას არვის სცემდა,
აღთქმული ჰქონდა მას მდუმარება.
მაგრამ შრომასა და შემწეობას
გაჭირვებულებს არ ამაღლიდა:
უყვარდა გლეხი, ქერივი, ობოლი,
მამაშვილურად ყველას უვლიდა.
თონხაში, მკაში, სხვლაში და ხვნაში
ის მუშა იყო ყველაში სრული,
მისის მარჯვენის მადლს ჰფიცულობდა
ყოველი გლეხი გაჭირვებული.
როცა სახადი გადამდებოდა რამ,
სადმე სოფელში მოედებოდა,
იმათ მომვლელად და საპატრონოდ
წმინდა მოხუცი იქ გაჩნდებოდა.

და სასყიდელი იმისი იყო
ხმელი პური და ზედ წმინდა წყალი;
არვის უნახავს ის მოწყვნილი.
არც მხიარული და არც გამწყვარილი.
ერთ გუნებაზე იდგა და იდგა
ყველას უყვარდა, ყველა იცნობდა,
მაგრამ ის მაინც არვის იცოდა,
თუ რას ჰფიქრობდა და ან რას ჰგონობდა.
იცოდენ მხოლოდ, რომ ბერი იყო,
ცხოვრობდა კლდეში, სოფლიდან ახლოს.
და დიდი ხნიდან მათი მამებიც
მას ეძახოდენ „გაბრიელ-სალოსს“.
როდესაც მეფემ არ შეინყნარა
თორნიკეს ძღვენი, თხოვნა, ვედრება
და გაკვირვებულ ამოდენ ჯარში
სირაზე იყო და მდუმარება,
ეს გაბრიელი წარსდგა იმათ წინ,
ამოიდგა რა პირველად ენა,
და გააკვირვა ყოველი სული,
როდესაც ბატონს ეს მოახსენა:

— „მეფევე! სიმდიდრე და ეს საუნჯე
არც შენ გეკუთვნის და არც თორნიკეს!
ეს ნახევარი სხვებისა არის
სისხლის სანაცვლოდ იმათ მოიპყეს!
რისთვის ივიწყებთ იმათ, რომელთაც
მამულის სახელს თავი შესწირეს,
და გაითხარეს სამარე ისე,
რომ შორს მშობლებამაც ვერ დაიტირეს?
რათ არ იგონებთ იმ წმინდა ადგილს,
სადაც თორნიკე იმყოფებოდა?
თუ არა იმის სასწაულს და მადლს,
ქრისტიანობა იღუპებოდა!
მთაწმინდის იყოს ეს თქვენი ძღვენი,
იქ ააშენეთ მით მონასტრები,
რომ სუყოველდენ, ნირვა-ლოცვის დროს,
იხსენებოდეს ქართველი მკვდრები.
აუგეთ ერთიც ახალი ლავრა
ყოვლად წმინდისა დედის სახელსა,
რომ მის ნილხვედრი მცირე ივერი
მსხვერპლს სწირავდეს მის მფარველს და
მხსნელსა.“

მეცნიერების და მწიგნობრობის
იქ აენთება ერთ დროს ლამპარი
და შვილიშვილთა სხივებს მიაფენს
იმათი მამა და წინაპარი!“
სოქვა და ისევე დადუმდა ბერი.
გაოცებული უმზერდენ მაშინ
დასთანხმდა მეფე და ერმაც მასთან
ერთხმად შესძახა ხმამალა: „ამინ!“
აღარავინ იყო საქართველოში
იმ დღიდან იმა ბერის მნახველი;
მხოლოდ ერთხელ კი, როცა ქვეყანას
ჩამოსწოლოდა უკუნი ბნელი,
ორი მოხუცი ენახათ გზაზე
ხელყავარჯნებით შორს მიმავალი,
ათონისაკენ მიემართათ მათ
პირდაპირი გზა და სწორი კვალი.
ისე ვიდოდენ, ვით ბნელ ღამეში
თითქო უძლოდათ რალაც ნათელი
ერთი მათგანი იყო თორნიკე
და მეორე კი ის გაბრიელი.

IV
ერთხელ ათონში ასტეხეს რეკა
და უჩვეულო იწყეს ღაღადი.
ასე ამბობდენ, რომ სასწაული
სუყველამ ერთად ენახეთო ცხადი:
მოსცურა ახლოს ღვთისმშობლის ხატმა
და დაიყენა თავს ნათელი.
გამოსვენება გვინდოდა, მაგრამ
არ მოიკიდა ჩვენი ხელიო.
ყველა ვერ ჰხედავს: ღამით ნათელი
და დღისით რალაც ნისლი ჰბურავსო;
ჩვენ როცა ნავით ვუახლოვდებით,
ის არ გვიკარებს, შორს მისცურავსო.
მისი სინამდის შეხების ღირსი
აღარ აღმოჩნდა არცა ერთიო.
სჩანს, ჩვენი ცოდვა დიდი ყოფილა
და გვირისხდება მაღლით ღმერთიო!
ასე სტირიან წმინდა მამები,
მარხვას და ლოცვას იორკეცებენ;
აღთქმებასაც სდებენ საკანონოდა
და ღირსს მათსავე გუნდში ეძებენ.
მაგრამ არ იქნა, სანამდის ძილში
არ ნახა ერთმა ბერმა ჩვენება:
გამოეცხადა მას დედაღვთისა
და განუცხადა მაღალი ნება:
— „ამაოდ შფოთავთ, წმინდა მამებო,
არაფერი გაქეთ ღმერთთან ბრალიო.
არც ჩვენთანა ხართ თქვენ დამნაშავე,
არა ვარ თქვენზე მე გამწყვარიო.
მაგრამ მე თქვენთვის აქ არ მოვსულვარ,
სხვა არის ჩემი წმინდა ნებაო,
და თქვენგან არვის არ შეუძლია
ჩემი აქედან წასვენებაო.
ჩემ სადიდებლად რომ აუგიათ
ივერიელთა აქ ტაძარიო
და ყველასათვის შიგ შესასვლელად
მათ გაუღიათ მისი კარიო,
იქ სცხოვრობს ერთი მოხუცი ბერი,
ივერიელი გაბრიელიო,
და ნათლით მოსილს იმ ჩემ ძლიერ ხატს
იმან შეახოს მხოლოდ ხელიო,
რომ მიიტანოს და დაასვენოს
შესავალ კართან საკვირველიო,
და იმ დღიდანვე სასწაულმოქმედს
დაერქვას: „კარის ღვთისმშობელიო!“
გამხიარულდენ წმინდა მამები,
იწყეს შესხმითი წმინდა გალობა;
უვლიდენ ტაძრებს კელაპტრებითა,
გახშირდა საღმრთო ლიტანიობა;
წინ მიუძღვოდა იმათ თორნიკე
და იოვანე მცირე კრებითა,
და იესებოდა იმათი გული
მომეტებულის ნეტარებითა.
მიიღეს ხატი და დაასვენეს
დანიშნულს ადგილს სიხარულითა
და იესებოდა წმინდა ტაძარი
იმავე დღიდან სასწაულითა.
მაგრამ ყველაზე შესანიშნავი
იხილეს მაშინ ერთი ჩვენება,
რომლისაც მსგავსი ვერ არ ენახათ
და არც ყოფილა სადმე სხენება:
გამოიხატა ცაზე გვირგვინი,
ვარსკვლავებისგან გამოქედილი,
დაადგა თავზე ივერთ მონასტერს
და გაანათა წმინდა ადგილი,
და ნათლის სხივებს აელვარებდა
დიდხანს, სანამდის არ დადგა დილა!
შემდეგაც თურმე არა ერთგზისა
იმავე ადგილს გამოქედილა.
დღეს ის ნიშანი კი აღარა სჩანს:
დიდი ხანია, რაც რომ გამქარალა
უეჭველია, ჩვენს გულგრილობას
გაპრისხებია! ჩვენზე გამწყვარა!
მაგრამ სულმნათსა საქართველოსას,

აკაკი წერეთელი
თორნიკე
პრისტოვაძი
ისტორიული პოემა



ღვთისმშობლობა დღეს, ერთი სიზმარი
ენახა: ქვეყნად ჩამოსულიყვენ
წინო, ქეთევან და თვით თამარი.
თამარს თავს ედგა ძღვევის გვირგვინი
და ქეთევანსა — წმინდა მონაზობის,
წინოს ხელთ ეყრა ჯვარი ვაზისა,
წმინდა დიდი ქრისტიანობის.
ზეცად აეპყრათ სამთავეს თვალნი,
საქართველოსკენ აშვერდენ ხელსა
და ქეთევანსა — წმინდა მონაზობისად,
ჰგალობდენ ტკბილსა საგალობელსა:
— „დედაო ღვთისავე! შენი ხვედრია
ეს საქართველო დიდჭირნახული,
შეუნდევ ცოდვა!.. ნუ ჯალღებ ხელს,
ღმობიერებით იბრუნე გული!
მოეც კურთხევა ზეცით, მაღალო,

და გადმოსახე ძლიერად ჯვარი,
რომ აღადგინო ქართველთა ერი,
დღეს დაცემული და ცოცხალ-მკვდარი!
მისსა მხნეობას, მისსა ზნეობას
განუშტკიცებდე აღმადგინებასა
და შენს საქებრად, სადიდებლად
ნუ დაავინყებ ამ ტკბილ ენასა,
რომლითაც თამარ ბრძანებას სცემდა
ქეთევან მარად შენ გადიდებდა
და წინო ძისა შენისა მცნებას
შენგან რჩეულ ერს უქადაგებდა!“
რომ გაათავეს თურმე ეს ლოცვა,
ზეცას შეჰხედეს სამთავემ ნელა
და დაინახეს, რომ ძველ ადგილზე
გამოესახათ მათ ცისარტყელა.

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშენიერებაც სომეხთა იტყვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“

კარენ ჯორჯიანი



საქართველო
საქართველო
საქართველო

პროზა

ოთახში ფანჯრების დასაკეტად შემოვიდა. მე ჯერ კიდევ ვინეტი და დავინახე, ავადმყოფურად გამოიყურებოდა: თრთოდა, სახე გაფითრებოდა და ნაბიჯებს ისე ადგამდა, თითქოს მოძრაობისას რაღაც ტკივაო.

– რა მოგივიდა, Schatz (ძვირფასო)?

– თავი მტკიავს.

– უკეთესი იქნება, თუ წახვალ და ჩანწები.

– არა, ყველაფერი რიგზეა.

– დანეჭი, ჩავიცვამ და გნახავ. ქვემოთ ჩასულს ჩაცმული და მხვდა. ცეცხლს ეფიცებოდა და კიდევ უფრო ავადმყოფურად გამოიყურებოდა.

საბრალო ცხრა წლის ბავშვი.

ხელი შუბლზე მივადე თუ არა, მივხვდი, სიცხე ჰქონდა.

– დანეჭი, ავად ხარ, – ვუთხარი მე.

– ყველაფერი რიგზეა, – თქვა მან.

ექიმმა მოყვანისთანავე სიცხე გაუზომა.

– რამდენი აქვს? – შევეკითხე ექიმს.

– 102 (38,9)...

მისაღებში ექიმს სხვადასხვა ფერის კაფსულაში სამი სხვადასხვა წამალი დაეტოვებინა. ეტყობოდა, გრაბზე ყველაფერი იცოდა.

„სანერვიულო არაფერი იქნება, – მითხრა მან, – თუ სიცხე ასორსა და ოთხ გრადუსს არ გადააჭარბებს. მსუბუქი გრიპია და არანაირ საშიშროებას არ წარმოადგენს, პნევმონიას თუ თავიდან აიცილებთ“.

ოთახში დაბრუნებულმა ბიჭის ტემპერატურა ჩავინერე და დრო ჩავინიშნე, რათა სხვადასხვა წამალი დროულად მიმეცა.

– გინდა, რამე წაგიკითხო?

– წამიკითხეთ, თუ გსურთ, – თქვა ბიჭმა. სახე კიდევ უფრო გათეთრებოდა და თვალები ჩაშაფებოდა. ლოგინში გაუნძრევლად იწვა და ჩანდა, ძალზე შორს იყო იქიდან, რაც ხდებოდა.

პოვარდ პილის „მეკობრეთა ცხოვრებას“ ვუკითხავდი, თუმცა ვხედავდი, რომ არ მისმენდა.

– თავს როგორ გრძნობ, შტატზე?

– როგორც აქამდე, – თქვა მან.

ლოგინის თავთან ვიჯექი, ჩემთვის ვკითხულობდი და ველოდი, როდის დადგებოდა მეორე წამლის მიცემის დრო.

მისთვის უკეთესი იქნებოდა, დაწოლილიყო, თუმცა იჯდა და ლოგინის ფეხს უყურებდა.

– რატომ არ შეეცდებით, დაიძინოთ? გაგაღვიძებთ, როცა წამლის მიღების დრო დადგება.

– მირჩევნია, ვიფხიზლო.

რამდენიმე ხნის შემდეგ მეუბნება:

– თქვენ არ უნდა დარჩეთ აქ, მამიკო, თუ განუხებთ.

– არ მანუხებთ.

– მინდოდა მეთქვა, არ უნდა დარჩეთ, თუ შეგანუხებთ.

გავიფიქრე, რომ ცოტა ქარაფ-შუტაა...

11 საათისთვის დანიშნული

წამალი მივეცი და ცოტა ხნით გარეთ გავედი

სახლში თქვეს, რომ ბიჭი მის ოთახში შესვლას ყველას უკრძალავს.

– თქვენ არ შეგიძლიათ, შემოხვიდეთ, – თქვა მან, – თქვენ არ უნდა გადაგედოთ ის, რაც მაქვს.

ასლოს მივედი. იგი ზუსტად ისე იწვა, როგორც დავტოვე – გაფითრებული, მაგრამ სიცხისგან ლოყების ზემოთა მხარეგანითლებული. მაშინაც ლოგინის ფეხებს უყურებდა.

სიცხე გავუზომე.

– რამდენია?

– სადღაც ასი, – ვუთხარი მე.

102 და 4 ჰქონდა.

– 102 იყო, – თქვა მან.

– ვინ გითხრა? ნორმალური ტემპერატურაა, ნუ ღელავ.

– არ ვღელავ, მაგრამ ფიქრები მომეძალნენ.

– ნუ ფიქრობ, უბრალოდ, დაწინარდი.

– ადვილი სათქმელია, – თქვა და ჩაფიქრდა.

ეტყობოდა, რაღაცის გამო თავს ძლივს იკავებდა.

– წყალთან ერთად დალიე.

– გგონიათ, წამადგება?

– რა თქმა უნდა.

დავჯექი, „ბრაკონიერების ცხოვრება“ გადავშალე და კითხვა დავინწყე. ვხედავდი, არ მისმენდა და ამიტომ აღარ გავაგრძელებდი.

– როგორ ფიქრობთ, მოგვედები?

– რა?

– რამდენი დამრჩა სიკვდილმდე-მეთქი?

– რა დროს სიკვდილია, რა გჭირს?

– გავიგონე, ას ორი თქვა.

– ადამიანები 102 გრადუსი სიცხით არ კვდებიან, რა სისულელეა ამაზე საუბარი?!

– ვიცი, რაც არის. საფრანგეთში სწავლისას, ბიჭები მეუბნებოდნენ – ორმოცდაოთხ გრადუსს ველარავინ უძლებს. მე კი, 102 მაქვს.

წარმოგიდგენიათ, დილის ცხრა საათიდან, მთელი დღე სიკვდილის ელოდა.

– ცუდი ბიჭი ხარ, Schatz, – ვუთხარი მე, – ეს სომეხი იგივეა, რაც მილი და კილომეტრი. რა დროს შენი სიკვდილია. აქ და იქ სიცხეს სხვადასხვაგვარად ზომავენ. იმ თერმომეტრზე 37 გრადუსი ნორმალურია, ამაზე კი, – ოთხმოცდათვრამეტი.

– დარწმუნებული ხართ?

– აბსოლუტურად. სომეხი, ზუსტად ისეა, როგორც მილი და კილომეტრი. სომეხი, რამდენ კილომეტრს გავდივართ, როცა მანქანა 70 მილით მოძრაობს?

– უფ, – შევბოთ ამოისუნთქა მან.


ლოგინის ფეხებისკენ მიმართული დაჟინებული მზერა თანდათანობით შესუსტდა, საკუთარ თავზე დაკვირვებაც შეასუსტა, ბოლოს სულ შეწყვიტა.

მეორე დღეს ძალზე სუსტად იყო და უმნიშვნელო რაღაცებზეც კი ტიროდა.

მოლოდინის დღე

ერნესტ ჰემინგუეი





წიგნი წიგნი წიგნი...
წიგნი წიგნი წიგნი...
წიგნი წიგნი წიგნი...

„შენ — უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელი — ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“
კვიციანი

ახალი ლექსები

ქიქინო ბიჭობიძე

● სულს მივანიჭე თავისუფლებას, სხვა სიმდიდრეზე არც მიფიქრია და თან დამყვება გაზაფხულის ყუყუნა წვიმა, დაბერილი კვირტების გუნდი. სულს მივანიჭე თავისუფლებას, სხვა სიმდიდრეზე არც მიფიქრია და ვიცი ახლა საით მივდივარ — თავისუფლება არის ჩემი ავლა-დიდება...

● სულში შემოდის ბილიკ-ბილიკ სიცივის განცდა, დელგმა ასკდება დაუნდობლად ბალის ჯვებზე, ქარის წივილი ღამეების თენებით მზაფრავს, დედაბუნებამ ნისლიანი დაუშვა ფარდა. და მერე ისევ: დილა თენდება საოცნებო, ლურჯი ქიმერა, ტალღა მშვიდდება და მზე პეშვით წყალს ამოხაბავს, ზვირთთა ჩქერალი ვერცხლის თასმებს ფერხთ ამოისხამს და ნეტარების ღვინით სავსეს გვასმევს ფილას. თენდება დილა საოცნებო, ლურჯი ქიმერა...

● აღმართულია სახლი ჩემი სამების ახლოს, ღრუბლებთან, ქართან, ჭექა-ქუხილთან და ცასთან ახლოს. აქედან ვხედავ: სერებს, ზეგანს და მწვანე ჭალებს. აქედან ვხედავ: ძონისფერი ყაყაჩოს ფერი მოსდებია ჯეჯილის ყანებს. აქედან მოჩანს: მზის მწველი ცეცხლი მინას ეფრქვევა და გლეხის ოფლი ბალახს ვერცხლის ცვარად ედება. აქედან მესმის: სამრეკლოდან ზეციერი ღმერთს ვეგდრება — სამწყსოზე ზრუნავს, ანაზღეულად წამი დგება საბედისწერო, ამოუხსნელად აღსრულდება განგების ნება, სამების ახლოს აღმართულია სახლი ჩემი: ჭექა-ქუხილთან, ქარიშხლებთან და ცასთან ახლოს...

● ჩემი ბავშვობა, ჩემი ოცნების კოშკი, წვიმიანი ზაფხულები, ნისლიანი მთები, სიყვარული, სიხარული, აღმაფრენა ზეცის, დაკარგული და ნაპოვნი ეკლიანი გზები. ცის ვარსკვლავი მოციმციმე და კაშკაშა მზენი, მოგონება, მოგონება, ამ ბავშვობის წლების, ნატყფალეებს მოჰყოლია აღსასრულის დღემდის: ლაჟვარდ ცაზე აელვარდა ეს ზმანება მწველი, სული ზეცას შეუერთდა, სხეული კი — მინას, ჩემი სისხლის წვეთებია, ყაყაჩო რომ იცვამს... დაინისლა მოგონება სხვა სამყაროს მიღმა და აღსრულდა იქ სიცოცხლე, საიდანაც იშვა...

● მოდის ღვარცოფი, დელგმა, წამილებს, არ ვიცი, საით? მოვსულვარ, არ ვიცი, რატომ, მივდივარ, არ ვიცი, საით... იმედებს წაღეკავს ქარი და მომავალზე ვდარდობ... მივდივარ, არ ვიცი, საით. ვფიქრობ, არ ვიცი, რატომ?!

● ზღვის ბილიკებს მოსდებია სისხლის ცვარი, გული სევდას ველარ იტევს; — რატომ ხარ ჩემზე მწყრალი?! ზღვის ბილიკებს მოსდებია სისხლის ცვარი... მთებმაც ნისლი გადიყარა, მძლავრობს დარი: — ისევე ხარ ჩემზე მწყრალი?! ზღვის ბილიკებს მოსდებია სისხლის ცვარი...

● ხავსმოდებულ უტყვო ქვებო, მუნჯო ლოდებო, მამცნეთ, ქვეშეთში რა იმალება, რა იბადება, ხავსში ჩაქსოვილ იღუმალებით, ისიც მითხარით, რაც თვით ბუნებამ მიძინებულმა ვერა და ვერ თქვა. ფიქრმა წარსულზე, უიმედო დარდმა მომავლის გააქრო ყველა გრძობები და ოცნების განცდა და შორეული იმედის შუქის აშრიალებაც გოლგოთად მექცა, ქრისტეს ჯვრის მსგავსად. უტყვო ქვებო: მამცნეთ, ქვეშეთში რა იმალება?! და ჩემს ცხოვრებას იარებად დანანვერებულს, სავსეს ზათქებით, გრიგალებით, უამინდობით, ცეცხლნაკიდებულ და გაცვეთილ დრო-ჟამს გავატან...

● სმაურობს ზეცა, მარცვლებმა სეტყვის იავარყო ნაყოფი მინის; ცამ მოგვივლინა ავბედითი სასნაული და მეყსეულად წამომართა თავზარდამცემი სილამაზე. ქარით დევნილმა, მოქუფრულმა, შავმა ღრუბელმა, ნათელს მზისას შუქი ჩაუქრო... არა — შიშით, არა — სიხარბით, არა — თვითგვემით, ღვინის სურნელით დამთვრალ ფიალებს შეავსებს კაცი — ბუნების მძვინვარებას გადარჩენილი... წყლის სილაჟვარდეს შორს ნათელი მოეფინება და ლერწმის ჩრდილში დაიბუდებს სიგიჟე მთვრალი... ქარი კი, მართავს გზაბნეულ ხომალდების ბედს და ზღვის სივრცეში გამოჩნდება კოცონი მკრთალი — იმედის მაცნე...

● ვიყავი ფიქრი, ვიყავი ლოცვა, ვიყავი: ცეცხლი, წყალი, ჰაერი, მინა და ლექსი. გარდავიცვალე... გარდავიცვალე ადამიანად, სიცოცხლე — სიცოცხლე... გარდავიცვალე და ახლა ვფიქრობ: — რა ვიქნები სიკვდილის შემდეგ? ვილაღ მპაუსობს: — ის, რაც იყავ გაჩენის დღემდე. ვიყავი ლოცვა — გარდავიცვალე...

კვიციანი

აპრილი
ათქვირებულა თეთრად აპრილი, მკერდგაღელილი აკვირებულა, მზემონატრებული, ზამთარს გაყრილი, ზღვა სიყვარულად აზვირთებულა. როგორ გელოდი, როგორ მინდოდი და თუ გავწამდი უსიხარულოდ, მაინც, მჯეროდა, რომ მოხვიდოდი, რომ ვერ გაძლებდი უსიყვარულოდ. მოდი, დავინწყოთ ისევ თავიდან, რადგან სიცოცხლეს ჯვარი სწვრია, ბევრი აპრილი ისე გავიდა, რომ სიყვარულით არ მიმღერია. ეს გაუმარჯოს შენს გაღიმებას, როგორც განთიადს გაზაფხულისა, ეს გაუმარჯოს აპრილის ვნებას, როგორც ტკივილს და ტრფობას გულისა. როგორ გნატრობდი, როგორ მინდოდი, გელოდი ჩუმად, უსიხარულოდ, მაინც მჯეროდა, რომ მოხვიდოდი, ვერც შენ გაძლებდი უსიყვარულოდ. მკერდგაღელილი თეთრი აპრილი, აკვირებულა, ათქვირებულა, მზედაკოცნილი, ცვარნამდაყრილი, ლამაზის ცრემლად ატირებულა. შენი ეშხია, მე რომ მამღერებს და ეს ტრფიალი არ მინელდება, რა დაამღერებს გულს, ანამღერებს, ჩემი აპრილიც არ დაბერდება. ისე ქათქათა პატარძალია, ზამთრისთვის როგორ გამეშეტება, მისი ბრაღია, მისი ბრაღია, თუ სიყვარულად დამებედება.

მომხარებას მტარსა ვუფრთხი უბედურება ჩვენი ის არი, მოყვარე მტერი ჩვენი ვინც არი, ვინც არი ჩვენგან დასამინარი, ლამის გაგვიხდეს დასაფიცარი!

შენი მზე გადადებია თუ მოგეფერა ჩემი „აპრილი“, მე შემეყარა შენი მშვენიერება, დავდივარ გულში ისარგაყრილი და არც კი ვიცი, რა მეშველება. აპრილი, მართლაც, გადამდებია, ვის არ შეყვრია აპრილის დარდი, მე კი, შენი მზე გადადებია, ახია ჩემზე, თუ შემეყვარდი...

არ მომანატროს სიყვარულისთვის მუდამ მცალია, ეს ნიჭი დამყვა ბედად, მაინც, სამშობლოს ტრფობა მეძალა სხვა სიყვარულზე მეტად. გულისტკივილი ბევრი მინახავს, ბევრი ძირმწარეც შევსვი და რაც სიცოცხლის ხალისს მინახავს, სიმღერა და ლექსი. არც მეგობართა სიტბო მკლებია, არც — ეშხი ლამაზ ქალთა, მაგრამ იყო დრო, მომნატრებია ჩემი მთანმინდის კალთა! თუ ის დრო მორჩა, რა ხდება ამ დროს, რად ვევედრები ღმერთსა — აღარ გამწიროს, არ მომანატროს ქართული მზე და ზეცა.

ირმა ბიბანსი
დამილოცინა შენი ნიჭი, შენი უნარი და ჩვენი გენი მარადი და გაუხუნარი!

აფსუსი
აფსუს, ძველი ტფილისობა, აფსუს, ძველი თბილი სიო, აფსუს, ძველი თბილისლობა, აფსუს, ძველი თბილისიო!

სიმღერა თბილისა
თბილისო, დღეს ყვე-ყორნების მხარეო, ასეთი, სიცოცხლეს არ მინდა, გამოჩნდეს ნეტავ, დავითის სადარი, გადარჩეს გაყიდვას მთანმინდა!

ნავის ურნასთან ხალხის რიგია, მსგავსი რამ არსად არ გამოგია, შემირცხვენია თავისუფლება, როცა სიცოცხლის არ გაქვს უფლება!

ვინც ცალ-ცალი კალოში ჩამოსული იყავით. ნეტავ, სულაც არ ჩამოსულიყავით!

ცოტაც კიდევ და...
მინდა, იმედით ვუცქერდე მერმისს, მაგრამ გული რომ დადაგულია, დაკარგულია? — ვკითხულობ ჩემთვის და გული მიგრძნობს, დაკარგულია. თუმცა კი სათქმელს ხმამაღლა ვბედავ, მაგრამ ჩაკლული რაღა გულია, აღარც ვკითხულობ, ისედაც ვხედავ, ცოტაც კიდევ და... დაკარგულია!

იყიდება „ხელი-ხელში“ საფიცავი მთა-ბარი, გადებრუნდნენ სამარეში დავითი და თამარი.





საქართველო
საქართველო
საქართველო

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშენებელი ხარ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“
კარგე ლექსი

„მისილის ციხის აგებში“ ღმერთი საკანში



ვზივარ და ვფიქრობ: სად იყო ღმერთი უფრო ახლოს – აქ, გარეთ თუ იქ, საკანში? ამიტომ გადავწყვიტე, დავწერო...
ნარზე წამონოლილი უხმო ბუტბუტით, ჩუმად ნათქვამი ნაწყენი ხმით, გისმენს და შენთან ერთად ტირის...
ტირის იმიტომ, რომ შეგქმნა, მოგავლი-
ნა და უნდა, რომ გიშველოს...
მაგრამ, რომ გიშველოს, შენთან უნდა იყოს სულ მუდამ და შენც მას უნდა დაჰყვებოდე თან...
სადაც უნდა ექებდე – ეკლესიაში, სას-
ნაულში... უნდა ჩაიხედო სარკმლის ანარ-
ეკლში, შენს თავს დააკვირდე და მიხვდე, შენ სასნაული ხარ, სასნაული, რომელიც მოგავლინა...
უნდა მოიხედო უკან და გაიხსენო, თუ როგორია ქვეყანა – ბოროტებით სავსე და მაინც, სიკეთე იმარჯვებს...
მაგრამ, ღმერთი არ არის ბოლომდე და-
მთმობი...
და აი, გაბრაზდები...
გაბრაზდები და მიხვდები, რომ მან გაგ-
წირა და აქ მოგყვანა!
გაებუტები...
განურისხდები...
აიყრი გულს მასზე...
დაწვები ნარზე გაბრაზებული და გადა-
ბრუნდები კედლისკენ...
უცებ, ეშმაკიც მოვა და გეტყვის:
– რა გინდა მოგცე? – ქვეყანა? თავისუ-
ფლება? რის სანაცვლოდ, მითხარი და მოგ-
ცემ! შენ? შენ რას მომცემ?
სანაცვლოდ გაიღე რამე, ჩაიღინე რამე
ვერაგი და შენ ყველაფერი გექნება...
მერე, იძინებ და გრძობ, რომ მარტო არ ხარ...
საკანში კიდევ ერთი უჩინარია, დაგყ-
ურებს, გეფერება და გაგრძობინებს, რომ მარტო არ ხარ...
იცის, რომ ნუგეში გწყურია.
ის ღმერთია...
ღმერთია საკანში, რომელსაც გაებუტე,
განურისხდი, მაგრამ არ მიგატოვა, დარჩა
შენთან სამარადისოდ...
ღმერთი მხოლოდ საკანში გაბატობს
ყველაფერს, რადგან იქ შენსავით იტანჯე-
ბა...
იტანჯება, რადგან თავისი საყვარელი
არსება დასაჯა...
იტანჯება იმაზე მეტად, ვიდრე შენ ბრა-
ზობ მასზე...
ასე დაგყვება ახლად ფეხდაგმული ბავშ-
ვივით და გეფერება...
გებუნება... რომ მასთან იყო, არ მიატ-
ოვო...
არ უნდა მას შენი ლოცვა, უნდა, რომ მისი
გესმოდეს და ხვდებოდე, რომ ასე იყო
საჭირო და ამიტომ დაგასაჯა...

● გაბრაზებულმა, რაღაცაზე განწყენებულმა, ერთხელ, ვიჩხუბე, ვიჩხუბე ბოლომდე – ერთი ქალი ვცემე. სახეში შემოვარტყი და დავუბარე, რომ საკნიდან არ გამოსულ-
იყო...
მერე კი, მთელი დღე, ეზოში ვიჯექი და ნიშნისმოგებით ვუყურებდი ყველას: მეც შემოძლია ჩხუბი, რაც მე მინდა, იმას გაე-
კეთებ...
მერე, რა, რომ „კარცერი“ არ ამცდებდა?! გამოვალ და ისევ გავაგრძელებ...
ასე ამყავდა და მედიდურად ვიჯექი და ვბობოქრობდი...
ვიღაცები მიწონებდნენ, ვიღაცები მარ-
იდებდნენ თვალს.
მორიგე დაიყვირა:
– მოსიაშვილი, გარეთ, პაემანზე!
წავედი...
არ ვიცოდი, ვინ იყო...
ნატული დამხვდა... ჩემი და!
ჩემი იდეალი...
პირველად მნახა 5 წლის მერე...
მითხრა, რომ არ შეეძლო, არ ვენახე...
და იტირა...
ვეკითხებოდი:
– რა გატირებს, კუტა?
– ხომ ხარ კარგად?
– კარგად ვარ! ყველაფერი კარგადაა?
ის კი, ტიროდა და ტიროდა... ლამაზ, თხელ თითებს სახეზე მისვამდა და მეფერ-
ებოდა...
ნასვლისას მთხოვა:
– მაკა, სითავხედე თავმდაბლობით უნ-
და შეცვალო და გახსოვდეს, ღმერთი შენ-
თანაა. უბრალოდ, ღმერთს თავხედები არ უყვარს!
წავიდა...
მე კი, დავექეცი და დავინყე ფიქრი, თუ რა მითხრა და რატომ...
მერე, მეორე სართულზე ავედი და იმ ქალს ვთხოვე პატიება, რომელსაც დილით სახეში გავარტყი...
ქალმა იტირა... და მითხრა, რომ ჩემზე ორი დიდი შვილი ჰყავდა, ბიჭები და მათი დანახვის რცხვენოდა, ახლა კი, უკვე თავი-
სუფალი იყო... შეეძლო, მათთვის შეეხედა...
ასეთია ღმერთი საკანში...
იქ ღმერთი კეთილია და მოსიყვარული! აქ კი, – ცოტა ბრაზიანი და პრინციპუ-
ლი!
**P.S. რამდენიმე დღის წინ, მამა ალექს-
ანდრე ძამუკაშვილს შევხვდი... მამაოები არ მიზიდავს, მაგრამ ის სხვა მამაა, სულ სხვანაირი... მეჭორავა, ჩაით გამიმასპინძ-
ლდა და როცა შინ ვბრუნდებოდი, გამასხე-
ნდა, თუ რა კეთილია ღმერთი საკანში!
აღდგომას გილოცავთ ყველას! განსაკ-
უთრებით თქვენ, ვინც „ოსმალეში“ ხართ, ანუ პატიმრებს!**

აბა მუსიაშვილი

საზოგადოება

– გვანცა, შენი და შპს „თავისუფალი პი-
არ-აკადემიის“ თანამშრომლობა როგორ და-
ინყო?
– ერთ-ერთ საიტზე კომპანიის შესახებ განაცხადი ვნახე, დავინტერესდი და, მეგობარ-
თან ერთად, საბურთალოზე, კერძოდ, ბრო-
ლოსანის 31-ში მივედი, ჩვეულებრივი ბინა
იყო, არანაირი ოფისი (ილიმის). თავიდან ვინ-
მე ლელა გაგვესაუბრა და ე.წ. კომპანიაზე
გვიამბო, რომელიც, თურმე, 5 წელია, არსებ-
ობს. ზოგადი შეკითხვები დაგვისვა და შემდ-
გ, რეზიუმე შეგვაგვსებინა. წარმოიდგინეთ,
შინ არ ვიყავი მისული, სმ-ი რომ მომწერეს,
რეზიუმე დამაკმაყოფილებელია და მეორე
დღისთვის ისევ ოფისში დავგიბარეს. მე და
ჩემი მეგობარი, რა თქმა უნდა, მივედით. ამჯ-
ერად გვითხრეს, რომ 3-დღიანი სტაჟირება
უნდა გაგვევლო, რადგან საქმის სპეციფიკას
გაცნობოდი.
– საქმის სპეციფიკა რას მოიცავდა?
– ვაკანტური ადგილები პიარ-მენეჯერ-
ის, ოპერატორისა და კიდევ რაღაც თანამდ-
ებობაზე ვაკანსია ჰქონდათ და რომელსაც ჩვე-
ნი რეზიუმე დაემთხვეოდა, სამუშაოდ იქ გა-
ვიშვებდნენ.

„შენ ჟურნალისტი ხარ თუ გამოძიებელი?“

„მას მერე, რაც კომპანია შპს „თავისუფალი პიარ-აკადემიის“ შესახებ ხმამაღლა
განაცხადი ვნახე, ამას ინტერნეტში საკმაოდ დიდი გამოსმაურება მოჰყვა. დაშინების
მცდელობაც იყო – ჩემი აზრით, სწორედ ამ კომპანიის თანამშრომელისაგან“, –
აცხადებს სეუს-ს სტუდენტი გვანცა ბენდელიანი.

– შენ კონკრეტულად რა შემოგთავაზეს?
– გვითხრეს, რომ რეკლამა რომელიმე
პარფიუმერული ნაწარმისთვის უნდა გაგვეკ-
ეთებინა, მაგრამ ვიდრე ნაწარმის რეკლამას
გავუკეთებდით, სტაჟირება უნდა გაგვევლო,
რომელიც 35 ლარი ღირდა. გამიკვირდა, თა-
ნხა რომ ასხენეს. ქალბატონ ლელას ვკითხე,
ფული რატომ უნდა გადაგვეხადა. ამაზე ქალ-
ბატონი განერვიულდა და ახსნა დაიწყო, მაგ-
რამ მაღვევ ოთახიდან გავიდა... თანხის გად-
არიცხვავ და დავთანხმდით... მესამე დღეს ოფ-
ისში ვინმე ბატონი გიორგი დაგვხვდა, რომე-
ლიც ძალიან დამაჯერებლად გვესაუბრებო-
და, მაგრამ მისი ჩაცმულობა ცოტა მეუცხოვა
– მოკლე, ბრეტელბიანი „მაიკა“ ეცვა (იცინ-
ის...) გიორგიმაც გაგვიმეორა, რომ ვიდრე
სტაჟირებას გავივლიდით, „რესპუბლიკა ბან-
კში“ ანგარიში უნდა გაგვეხსნა და 35 ლარი
ჩაგვერიცხა. ბანკში ანგარიშის გახსნა რატო-
მაც ყურმი მომხვდა და დამამახსოვრდა.
ამ საუბრის შემდეგ, ბანკში წავედი და ან-
გარიშის გახსნა ვითხოვე, რაც ბანკის თანამ-
შრომლებს ძალიან გაუკვირდათ და მითხრეს,
ანგარიში ასე არ იხსნება... მოკლედ, 35 ლა-
რი მოცემულ კოდზე ჩავრიცხე, ბანკის თანამ-
შრომელს ქვითარი გამოვართვი და ისევ ოფ-
ისში დავბრუნდი. მაშინვე სტაჟირების ხელ-
შეკრულება გამიფორმეს, ხელშეკრულებაში
ენერა, რომ 3 დღე სტაჟირებას გავივლიდი,
სტაჟირების შემდეგ კი, უკვე ჩემზე იქნებოდა
დამოკიდებული, კომპანიაში დავრჩებოდი
თუ არა.
სტაჟირებაზე სამი დღე ვიარე, ტრენერს,
კარგად მახსოვს, შორენა ერქვა... გაითვალის-
წინეთ, ყველა, ვინც იქ იყო, 35 ლარი ჰქონდა
ჩარიცხული.
– გვანცა, ტრენინგზე რას გასწავლიდ-
ნენ?
– მაგალითად, რა არის მარკეტინგი, რას
ნიშნავს მცირე მენარმობა... ტრენერს ვკით-
ხე, 35 ლარი რაში გადამახდევინეს-მეთქი. ამ
შეკითხვამ აშკარად გააბრაზა და ძალიან უხ-
ეშმად მომიგო, რომ ვალდებული არ იყო, ჩვე-
ნთვის ტრენინგები უფასოდ ჩაეტარებინა.
– ამის მერე რა მოხდა?
– შინ დაბრუნებული შევეცადე, ინტერნე-
ტში ამ კომპანიაზე ინფორმაცია მომეძიებინ-
ა, მაგრამ ვერაფერი ვნახე და მიხვდი, რომ
რალაცას გვატყუებდნენ... გაბრაზდი, მაგ-
რამ ტრენინგზე, ინტერესის გამო, მაინც დავე-
დი. პოდა, ამ შორენას წამოსცდა, რაც შე-
იძლება, მეტი ხალხი მოგვიყვანეთო, იმ, მაშინ
კი ვეღარ მოვითმინე და სიცოცხლე, ხმამაღლა
ვთქვი, როგორც ჩვენ მოგვატყუეს და გადაგ-
ვახდევინეს ფული, ამ ხალხსაც, ალბათ, ისე
მოგვაყვანებნენ, ქალბატონო შორენა-მეთ-
ქი? შორენა გაბრაზდა... 130 ლარის პარფიუ-
მერია ჰქონდა მოტანილი, რომელიც აუცილ-
ებლად უნდა გაგვეყიდა, თუ არადა, ეს ფული
ჩვენ უნდა გადაგვეხადა.

ვინაა ბატონი გიორგი და რაში ახდევინებენ საშუალოს გამძიებლებს 35 ლარს

– თქვენს გარდა სხვა ჯგუფებიც ჰყავდ-
ათ?
– კი, როგორც ვიცი, კიდევ სამი ჯგუფი
ჰყავდა. ჯგუფში ოცი ადამიანი ვიყავით, წა-
რმოიდგინეთ, სამოცი ადამიანი, საითთაოდ,
35 ლარს რომ მოგიტანს (ილიმის). ავედქი და
წამოვედი – კონტრაქტიც არ გავაფორმე.
როგორც წამოვედი, მაშინვე გადავწყვიტე,
რომ სტატია დამეწერა, რომელიც „აქცენტი-
გე“-ზე გამოვაქვეყნე... სხვათა შორის, აქციის
მონყოლასაც ვგეგმავდით, მაგრამ შეგვეშინ-
და...
– რატომ?
– ფარული ნომრიდან გამომძიებელმა, ვი-
ნე გიორგიმ დამირეკა და მითხრა, რომ ჩემს
სახელზე საჩივარი იყო შესული და ინტერნ-
ეტ-პორტალიდან შენი სტატია დროზე წაშა-
ლეთ. ეჭვი მაქვს, რომ ეს გამომძიებელი, სინ-
ამდვილეში, თაღლითური კომპანიის თანამშ-

რომელი, ბატონი გიორგი იყო.
თეონასთან საუბრის შემდეგ, „ქართული
სიტყვა“ შპს „თავისუფალ პიარაკადემიას“
დაუკავშირდა:
– შპს „თავისუფალი პიარაკადემია“?
– (ქალბატონმა უხეშად მიპასუხა) დიახ...
ვინ ხართ?
– ჟურნალისტი ვარ, გაზეთ „ქართული
სიტყვიდან“...
– დიახ... რა გინდათ?
– თქვენ ხელმძღვანელთან მსურს გასაუბ-
რება...
– ვისთან, ლელა ბოშუანთან?
– დიახ, ან გიორგისთან...
– და გიორგი ვინაა?
– როგორც ვიცი, დირექტორის მოვალე-
ობას ასრულებს...
– აუ, მომისმინე, თუ რამე გაინტერესებს,
მოდი ოფისში და აქ ილაპარაკე, მე კითხვებს
ნუ მისვამ (ხმას აუწია...)
– კარგი, მისამართი მითხარი და მოვალ...
– ისე, ჩვენმა კომპანიამ სახელი შეიცვა-
ლა... ჩვენი კომპანია შარტავაზეა.
– კონკრეტულად?
– დიცა მისამართს გეტყვი...
ქალბატონმა გიორგის ნომერი მომცა,
რომელთან დაკავშირებასაც ნახევარი საათი
ვცდილობდი. მერე, დაფარული ნომრიდან
დამირეკეს: ვილაცამ დამირეკა.
– გისვენო...
– იცი, რა მაინტერესებს? – შენ ჟურნალი-
სტი ხარ თუ გამომძიებელი (უცნობი მამაკაცი
ხმამაღლა ლაპარაკობს)?
– ჟურნალისტი...
– და ჩვენი კომპანიით რატომ დაინტერე-
სდით?
– ერთ-ერთ ინტერნეტპორტალზე სტატ-
ია ვნახე, სადაც თქვენ კომპანიას გვანცა ბენ-
დელიანი ბრალს თაღლითობაში სდებს.
თქვენი კომპანია კანონიერია?
– ვილაცამ რალაც მობოდა და თქვენც და-
იჯერეთ? ამ ქვეყანაში უსამართლო არაფერ-
ია!
– შეგიძლიათ თქვენი კომპანიის ამჟამინ-
დელი მისამართი მითხრათ?
– არა...
– კარგი. სტატიას აუცილებლად დავწ-
ერ...
– სადაც გინდათ, იქ დანერეთ.
– კარგი, ბატონო გიორგი, კარგად ბრძან-
დებოდეთ...
– კარგად იყავი.
„ქართული სიტყვა“ შეფასებისგან,
როგორც იტყვიან, თავს იკავებს. კომენტარი
თქვენთვის მოგვინდვია...

სალომე ხუნაშვილი



საქართველო
საქართველო
საქართველო

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშენებელი ხარ სომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“
კარგო ლექსი

ქველი სახე



მე-10 გვერდიდან

ოუტანია და არც ვინმეს უყვია. აი, ამ ქონების დაკარგვის გვეშინია. უწმინდესი და ედუარდ შევარდნაძე გვაფრთხილებდნენ, რომ ფრთხილად ვყოფილიყავით.

– ეს ქონება როდის დაიკარგა?
– უგულავა-დექსუსის“ პერიოდში. ბევრი ქონება სახელმწიფომ ბალანსზე გადაიბარა, გასაყიდად მოამზადა, მაგრამ გაყიდა ვერ მოასწრო, ან მყიდველისათვის ფული ჯერაც არ გამოურთმევია. თელავში, წვენი სასტუმრო „ნაციონალებმა“ ბიზნესმენს ერთ ლარად მიჰყიდეს, იმედი ჰქონდათ, ინვესტიციებს ჩადებდნენ. კეთილსინდისიერ მყიდველს თუ შეედავებოდა, შეიძლება, მოგკლას. ჩვენ სასამართლო გარიგებას უნდა მივალნიოთ, ან კეთილსინდისიერ მყიდველთან მოვილაპარაკოთ.

– „ქართულმა ოცნებამ“ მთავარ პროკურატურაში ე.წ. სამართლიანობის აღდგენის დეპარტამენტი კომისია შექმნა. დაკარგული ქონების დასაბრუნებლად მიმართეთ?
– კი, მივმართე, მერე, რა? მაგ კომისიის გვერათ? ნახევარი პროკურატურა „ნაცია“, რამეს ვინ დამიბრუნებს?! ვეცდებით, ის ქონება დავიბრუნოთ, რომელიც გასხვისებული არაა, სხვა შემთხვევაში, საწადელს მოლაპარაკების გზით მივალნიოთ. ვისაც ფული ლომის ხაზიდან აქვს ამოღებული, არავის შეარჩენს – 10 ათას დოლარად მკველელს დაიქირავეს. მოსკოველი სნაიპერი კი, სულაც, 3 ათასი დოლარი ღირს.

– ბატონო ვახტანგ, ქვეყანაში დაუსჯელობის სინდრომი გააფრთხილებული?
– მიშა ძალადობრივ მეთოდებს სახელმწიფოს მშენებლობისთვის იყენებდა, მერე, მისიანებმა, ბიზნესზე ძალადობა საკუთარი მიზნებისთვის დაიწყეს... საქართველოს ბიუჯეტის ივსებოდა და „ნაციონალთა“ ჯიბეებშიც. მიშას ხელისუფლების დროს, მშენებლობებზე ისეთი წესრიგი იყო, მიმიქარავს საბჭოთა წყობა – ერთი ვადაგადაცილებული დღე სამშენებლო კომპანიებს ისეთი ჯარიმები უჯდებოდათ, რომ ლოცულობდნენ, როგორმე ვადაში ჩატეულიყვნენ და თავი საპატიმროში არ ამოეყოთ.

კომუნისტებისდროინდელი საქართველოს უშიშროების უფროსი ალექსი ინაური ცნობილი სიმკაცრითა და შეუვალობით იყო – მისი სახელის ხსენებაზე ყველა შიშით თრთოდა. უწყებისთვის წყნეთში აგარაკებს აშენებდნენ. მშენებლობის მწარმოებელი ისე გაღორდა, რომ სახლის ერთი სართული „ჩაუნვა“. ამას მიშას ვერავინ გაუბედავდა. ბევრი ადამიანი გაამწარეს, მათ შორის, – მეც, მაგრამ „ნაციონალთა“ ხელნაწი-საკრავი ძალა არაა. ერთი სიტყვით, მოქალ-

აქეები არჩევანის წინაშე მალე დადგებიან: ან ქარიზმატული მიშა სააკაშვილი, ან დემოკრატი ბიძინა ივანიშვილი, რომელიც გეუბნება, თქვენი სასამართლო, არჩევანი და რაც გინდათ, ის აკეთეთო!

გაოცებული პროკურატურა მეკითხება: ნეტა, ზევიდან არ გვეტყვიან, თუ როგორ მოვიქცეთ?
– პროკურატურაში კიდევ არ იციან, თუ როგორ უნდა მოიქცნენ?

– იციან, რაც ბიძინას მოჰპარეს, უნდა მიუტანონ, დანარჩენ საქმეებზე ჭოჭმანობენ, ფიქრობენ. ხალხმა არჩევანის გაკეთება უნდა ისწავლოს.

– მომავალ არჩევნებში ხმას ვის მისცემთ?
– მაინც, არ ვიცი, ბოროტი ჯობს თუ საქმის არგამკეთებელი. თუ კრიმინალი გამკვირვარდა, წავალ და ხმას მიშას მივცემ. მიჩვენია, ქონება წამართვან, ვიდრე ჩემი ცხოვრება „ქურდულ გარჩევებს“ გადავაყოლო!

– ბატონო ვახტანგ, პრემიერს წერილი მისწერეთ, სადაც ეკითხებით: „საინტერესოა, ბრიუსელშიც ასე ექცევიან დიდ ბიზნესს? იქაც აყარალებენ ხოლმე“?
– ამ შეკითხვაში სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესმენის საქმიანობაში ჩარევას ვგულისხმობდი. ბატონ ბიძინაზე ამას ვერ ვიტყვი, ბიზნესში პასიურობას იჩენს. თბილისის ტერიტორიაზე ბევრი შენობა და ობიექტი შეიძინა, მაგრამ მისი აშენებული არაფერი მინახავს.

– ვერ ვხვდები, რისი თქმა გინდათ...
– საქართველოში გვყავს დიდი ფინანსისტი ბიძინა ივანიშვილი და დიდი მშენებელი მაია რჩეულიშვილი. გურამ რჩეულიშვილს გავიხსენებდი, რომელიც წერს: „ვენების სიმძაფრე შენებაშია და აშენებული ტკბობაში“.

– მემარცხენეობა და სოციალისტური იდეები ისტორიას ჩააბარეთ, ბატონო ვახტანგ?
– რალაცნაირი გაყოფა მოხდა: ეკონომიკის სფეროში მემარჯვენე ვარ, მორალის საკითხში – მემარცხენე. ერთხელ ვთქვი, ყველას თავისი უკანალი აქვს და ვისაც უნდა, იმას მისცემს-მეთქი, მაგრამ ალბათ, არ უნდა მეთქვა. დასავლეთმა ჰომოსექსუალიზმის დეკრიმინალიზაცია მას მერე მოახდინა, რაც ამ თემით პოლიტიკური და სხვა ფორმის შანტაჟმა მასიური სახე მიიღო. ჩვენი ქვეყანაც ამ გზით უნდა წავიდეს. გვიყვარს თქმა, რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ თაობებს ისტორიაში შესული სამასი ჰომოსექსუალი სპარტანელის გმირობა და ვაჟკაცობა დღესაც ალაფრთოვანებს.

საუბრა ნათია ზომბიძე

„გასო ხარკიანი გადასარევი კაცი იყო. სვანები აზგობდნენ, ყველაზე კარგი სვანიაო. ხარკიანის სიკვდილი „ქურდული რაზმ-ორკა“ და ეს გაშინ ხდება, როცა სამართალი არ მუშაობს... ჩვენ ბიზნეს-ბარჩივის კი არა, სხვა რამის გვეშინია. 100 მილიონის მონება ისაა გამძვინვარე, რომ გაზარდა არაპრინციპული და არც ვინმეს უყვია. აი, ამ ქონების დაკარგვის გვეშინია. უწმინდესი და ედუარდ შევარდნაძე გვაფრთხილებდნენ, რომ ფრთხილად ვყოფილიყავით.“

სადამარკაციო საზი

უკანასკნელი ცნობები ოკუპირებული პირვიდან

ფართო საზოგადოებამ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ გაიგო, რომ საჩხერის რაიონში ერთი სოფელი არსებობს, რომელსაც პერევი ჰქვია... დღეს სოფელი რუსი სამხედროების მიერაა ოკუპირებული. ისე, გაერო-ს წარმომადგენლები და სხვა უცხოელები „პერევი“-ს დღემდე „შეშფოთებით“ ამბობენ – არაქართველთათვის „პერევი“ რთული სათქმელია...

ცნობა რუსული სამხედრო აკომპანიებით

მიუხედავად იმისა, რომ რუსები საზღვარგარეთის პასპორტს სთხოვენ და ავინოვებენ, სოფელი არც 2008 წელს და არც მერე ერთ მოსახლესაც არ დაუტოვებია.

პერევი საკმაოდ მრავალრიცხოვანი სოფელია – 175 კომლი ცხოვრობს. ადგილობრივთა შემოსავლის ძირითადი წყარო სეზონური ვაჭრობაა – ნაბლს, ჯონჯოლს, სოკოს ყიდნიან, თუმცა 2008 წლის მოვლენების შემდეგ, ხალხი ტყეში წასვლას ვეღარ ახერხებს. ოკუპაციის ზონაშია მოქცეული სახნავ-სათესი, სათიბი და სავარგულეებიც. ხალხის თქმით, ნაკვეთები მიღება-ჩაბარების აქტივობა მიღებული, მაგრამ სამწუხაროდ, საშუალება აღარ აქვთ, რომ კუთვნილი მიწა გამოიყენონ.

ადრე მოსახლეობა თავს მეცხოველეობითაც ირჩენდა, მაგრამ საძოვრების დაკარგვის გამო, იძულებული გახდა, საქონლის რაოდენობა შეამციროს – თუკი პირუტყვი საზღვარი „უკანონოდ“ გადაკვეთა, ოკუპანტები ისაკუთრებენ.

ერთ-ერთი პერეველის თქმით, საზღვრის „უკანონო“ გადაკვეთის გამო, მოსახლეობასაც ხშირად აპატიმრებენ, ცხინვალში მიჰყავთ, სადაც, ბოლო ერთი წელია, 2 000 რუბლით აჯარიმებენ და ჯარიმის გადახდის შემდეგ, სოფელ ერგნეთში, ქართულ მხარეს გადმოსცემენ ხოლმე.

პერეველთა თქმით, როგორც ოკუპირებული სოფლის მოსახლეებს, 2008 წლიდან გარკვეულ დახმარებას აძლევენ. ასე, მაგალითად, მარტოხელა დედებს 500-500 ლარი გადასცემს... ორი წლის წინ კი, როცა ოკუპ-

ანტებმა პერევი დატოვეს (სინამდვილეში, უკან მხოლოდ რამდენიმე მეტრით დაიხიეს) პირველადი მოხმარების პროდუქტები დაურიგეს. წელს კი, შინაგან საქმეთა სამინისტრომ 50-55 გაჭირვებული ოჯახი შეარჩია და 150 ლარის სურსათ-სანოვავე გადასცა.

სამწუხაროდ, ბევრს, რომელსაც სოციალურად დაუცველის სტატუსი ჰქონდა, დახმარება მოუხსნეს. ამის მიზეზი კი, ისეთი პირველადი გამოყენების ნივთების ქონა გახდა, მაგალითად, როგორცაა ტელევიზორი, ან მაცივარი.

პერევის ყველაზე დიდი პრობლემა უგზოობა და ხიდების გაუმართაობაა: წვიმის დროს, მდინარე ყვირილა დიდდება და გადმოდის, რის გამოც მოსახლეობის კუთვნილი მიწები, ეზოები, სახლები იტბორება. სანიავრე სისტემის არქონის გამო, ხალხი შეწუხებულია. ადგილობრივი ხელისუფლება ხალხს არსებული პრობლემის გადაჭრას ჰპირდება, მაგრამ დაპირება ჯერჯერობით დაპირებად რჩება.

პერევის მოსახლეობა აღდგომას ე.წ. ადმინისტრაციული საზღვრის მიღმა წელს მერვედ შეხვდა. ადგილობრივებს უფლება არ აქვთ, საფლავზე გავიდნენ.

– ასე ვართ, შვილო. ამ ეშმაკის მოციქულებმა ცხვირნი მავთულხლართები გაგვიბეს და საშუალებას არ გვაძლევენ, საფლავზე გავიდეთ და ჩვენი მიცვალებულების სული მოვიხსენიოთ, – უთხრა „ქართულ სიტყვას“ ერთ-ერთმა პერეველმა...

ბელა ჭულუხაძე





საქართველო
საქართველო. ქოლონია

სოციალური გარემო, გამომდინარეობს

„შენ — უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერება სომ შინით ითქვა; დიდება შენდა, ჩემო ნათელი — ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“

კონსტანტინე

განმარტებული საქმე

„გია გვიჩიანი ენერგომეაფიის გვარებს დაასახელებს!“

2006 წლის 7 მარტს, „თბილგაზის“ იმჟამინდელი დირექტორი, გია გვიჩიანი „თელასის“ ფინანსური მენეჯერის, ნიკა ლომინაძის მკვლელობის ბრალდებით დააკავეს (ლომინაძის ცხედარი 2002 წლის 13 აგვისტოს, საკუთარ სახლში იპოვეს). მიუხედავად იმისა, რომ მკვლელობის მხოლოდ ერთი მოწმე არსებობდა, გვიჩიანს უვადო პატიმრობა მიუსაჯეს, რომელიც, მოგვიანებით, 15 წლით შეუცვალეს... „დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო გია გვიჩიანის უდანაშაულობას მალე დაამტკიცებს“, — ამბობს „ქართული სიტყვასთან“ საუბრისას „თბილგაზის“ ყოფილი დირექტორის ადვოკატი ირმა ჭკადუა:



— ამ ქვეყანაში კანონი, ერთხელ და სამუდამოდ, ყველაზე მაღლა უნდა დადგეს. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ადამიანმა შეიძლება, დანაშაული ჩაიდინოს, მაგრამ ამ დანაშაულის მიზეზების დადგენა პროცედურების დარღვევით არ უნდა ხდებოდეს. გია გვიჩიანი, ნიკა ჩემიას მსგავსად, რომელსაც მკვლელობის შესრულება დააბრალეს, აბსოლუტურად უდანაშაულოა. ლომინაძის მკვლელობის დღეს, ნიკა ჩემია თბილისში არ იმყოფებოდა.

— აბა, სად იყო?
— ჩემიას უტყუარი ალიბი აქვს — მკვლელობის მომენტში, ოჯახთან ერთად, რკინიგზის სადგურზე იმყოფებოდა და ბათუმისკენ მიემგზავრებოდა, რაც დადასტურებულია. მკვლელობის მოწმე არ არსებობს და გია გვიჩიანი მხოლოდ ერთი კაცის, ნოდარ გვიჩიანის ბრალეულობის საფუძველზე დააკავეს, რომლის ჩვენების მიხედვითაც, ლომინაძის მკვლელობა ჩადენილია „მაკაროვის“ ტიპის იარაღით, თუმცა მოკლულს თავზე მიყენებული ჭრილობის ზომა „მაკაროვის“ ტყვიის კალიბრზე ვიწროა. მოსამართლე ნაირა გიგიტაშვილმა გია გვიჩიანი დაცვის გარეშე გაასამართლა და ბრალი ექსპერტებს დასდო, არაკომპეტენტურები იყვნენო. მოსამართლის თქმით, ძვალი, თურმე, ინელბოდა და იკუმშებოდა, ანუ მისი აზრით, ძვალი ელასტიურია და ტყვიამ მცირე ჭრილობაც, თურმე, ამიტომ დატოვა. ასეთი დასკვნა, მგონი, ფანტასტიკის სფეროსაც სცდება. საერთოდ, ამ საქმეში იმდენი ხარვეზია, რომ ყველას ჩამოთვლა ძნელია. ყველამ ძალიან კარგად ვიცით, რომ გვიჩიანის დაკავება პოლიტიკური მოტივით მოხდა.

— ქალბატონო ირმა, რას გულისხმობთ?
— გირგვლიანის მკვლელობამ დიდი აუცილობით გამოიწვია — შსს-ს მაღალჩინოსნები დააკავეს და უცებ თვალში გია გვიჩიანი ამოიღეს, რომელიც საინფორმაციო გადაცემების მთავარი პერსონაჟი გახდა — გადაცემ-

ები ამ თემით იწყებოდა, რადგან უნდოდათ, ხალხში ვნებთაღელვა ჩაეცხროთ და გირგვლიანის თემა გადაეფარათ. როცა დააკავეს, მაშინდელი პრეზიდენტი და პრემიერი აკეთებდნენ განცხადებას, გვიჩიანი დამნაშავეა და საკადრისად უნდა დაისჯოსო. ნინა ხელისუფლების დროს, ბუნებრივია, უდანაშაულობის პრეზუმფციას არ იცავდნენ და ამიტომ ისეთი საქმეები იკერძოდა, რომლებიც სახელმწიფოს ინტერესში შედიოდა. მაგალითად, გავისხენებ ჟენიას გარდაცვალების დღე, როცა დილაადრიან ბრიფინგი ჩაატარეს და ბატონებმა — მერაბიშვილმა და ადეიშვილმა საზოგადოებას ამცნეს, რომ ჟენია თითქოს გაზის გაჟონვით გარდაიცვალა. მოკლედ, ყველაფერი ეს კანონიერმა სასამართლომ უნდა გამოასწოროს, რადგან არ შეიძლება, უდანაშაულო ადამიანს უვადო პატიმრობა უქონდეს მისჯილი. გია გვიჩიანის პატიმრობის გამო, მამამისი გულის შეტევით გარდაიცვალა, ასევე, გარდაიცვალა ნიკა ჩემიას დედა. ამ ადამიანების ცოდვა ნინა ხელისუფლების კისერზეა.

— გია გვიჩიანი თვალში რატომ ამოიღეს?
— გია გვიჩიანის იზოლირება ენერგომეფიამ შეუკვეთა და ამ ადამიანების გვარებს ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი საპატიმროდან გამოსვლის შემდეგ დაასახელებს და იმასაც განმარტავს, თუ რატომ იყო საქართველო წლების განმავლობაში ჩაბნელებული.

— მოკლული ნიკა ლომინაძის ოჯახი რას ფიქრობს?
— პირველ რიგში, სახელმწიფომ უნდა აიღოს ვალდებულება და დაზარალებულთა ოჯახები შეცდომაში არ უნდა შეიყვანოს. ნინა ხელისუფლების დროს, დაზარალებულები, პრაქტიკულად, დაზოგბირებულები ჰყავდათ. როგორც ვიცი, მათი ინტერესები ადვოკატ ლალი აფთიაურს უნდა დაეცვა, მაგრამ ადვოკატის მომსახურებაზე უარი თქვეს. იმის გამო ხომ არა, რომ სისხ-

„თელასის“ ფინანსური მენეჯერის მკვლელობის 13-წლიანი საიდუმლო — რა ელის სამ მოსამართლეს

ლის სამართლის საქმეში სიღრმისეულად არ ჩაეხედათ? მინდა, ნიკა ლომინაძის ოჯახს ვუთხრა: გია გვიჩიანი ყველაფერს აკეთებს, რომ ეს დანაშაული გამოიხეილოს იქნას, ხომ უნდა იცოდეთ, სინამდვილეში, თქვენი შვილი ვინ მოკლა?! ნამდვილი მკვლეელი ქუჩაში დადის და ქართულ მართლმსაჯულებას, ასევე, ნიკა ჩემიასა და გია გვიჩიანს, რომლებიც სასჯელს მის მაგივრად იხდიან, დასცინის! აღნიშნული საქმე რომ თეთრი ძაფითაა ნაკერი, ეს უკვე ყველამ იცის. დღეს გადაწყვეტი სიტყვა სასამართლოსა და პროკურატურას ეკუთვნის.

— გია გვიჩიანის ადვოკატებმა უზენაეს სასამართლოს თხოვნით მიმართეთ...
— დიას, ჩვენ, ნიკა ჩემიასა და გია გვიჩიანის ადვოკატები იუსტიციის უმაღლეს საბჭოს უზენაესი სასამართლოს სამი მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების მოთხოვნით მივმართეთ. საქმე ისაა, რომ გიორგი შავლიაშვილმა, მაია ოშხარელმა და პაატა სილაგაძემ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, დაქარბული წესით, ძალაში დატოვეს, რომლის მიხედვითაც, გვიჩიანი და ჩემია გამტყუნდნენ და უვადო პატიმრობა 15-წლიანი სასჯელით შეეცვალათ. ხსენებულმა მოსამართლეებმა აღნიშნული განჩინების თარიღი გააყალბეს და 13 მარტით დაათარიღეს, სინამდვილეში კი, განჩინი 25 მარტის შემდეგ იქნა გამოტანილი, როცა ადვოკატებმა ჯერ უზენაეს სასამართლოს მივმართეთ განცხადებით და საქმის დიდი პალატის პირობებში განხილვა მოვითხოვეთ.

— განჩინების გაყალბება ვისი მითითებით მოხდა?
— მე, გელა ნიკოლაიშვილმა და მალხაზ ჯანგირაშვილმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გასული წლის ზაფხულში გავასაჩივრეთ. მიუხედავად ამისა, უზენაესი სასამართლო ჩვენს საჩივარს კარგახანი არ იხილავდა. 25 მარტს, უზენაეს სას-

ამართლოს საჩივრის განხილვის თაობაზე კიდევ ერთხელ მივმართეთ და საზოგადოების ცნობილი სახეების ხელმოწერებიც წარვადგინეთ. პასუხმა არ დააყოვნა და მეორე დღეს მივიღეთ გადაწყვეტილება, სადაც მოსამართლეებმა — მაია ოშხარელმა, გიორგი შავლიაშვილმა და პაატა სილაგაძემ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვეს. ყველაფერი ეს კი, კოტე კუბლაშვილის ინტერესებში უსდოდა — ამით კუდი ბოლოჯერ მოიქნია. უნდა აღვნიშნო, რომ მოსამართლე გიორგი შავლიაშვილი გია გვიჩიანის უვადო პატიმრობის მისჯის დროს საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე იყო და ნინა ხელისუფლების დაკვეთას ასრულებდა.

— ყველაფერი ეს წარსულში მოხდა. უზენაეს სასამართლოს ახალი თავმჯდომარე ჰყავს. ნინო გვენეტაძის იმედი გაქვთ?
— ჩემს მიერ დასახელებულმა სამმა მოსამართლემ ეს სამარცხვინო გადაწყვეტილება ნინო გვენეტაძის მოსვლამდე მიიღეს, ახლა კი, შავლიაშვილი თავის გადარჩენას ყოველნაირად ცდილობს. იმედი მაქვს, ქალბატონი ნინო მომხდარს სწორ და სამართლებრივ შეფასებას მისცემს, თან განაცხადა, რომ რიგი საქმეების ზეპირი განხილვა მოხდება. 9 წლის განმავლობაში, უზენაესი სასამართლო, პრაქტიკულად, უმოქმედოდ იყო და ერთი სისხლის სამართლის საქმეც არ განუხილავს.

მოვითხოვთ, რომ ჩემიასა და გვიჩიანის საქმე დიდმა პალატამ განიხილოს. დიდი პალატის შემადგენლობაში შესაძლოა, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და 8 მოსამართლეც შევიდეს. ამიტომ, იმედი მაქვს, რომ უზენაესი სასამართლო გვიჩიანისა და ჩემიას მიმართ, ბოლოს და ბოლოს, გამამართლებელ გადაწყვეტილებას მიიღებს.

ესაუბრა ნათია ლუბანიძე

სტოპკადრი

სოლომონ პავლიაშვილმა ლონდონის კომერციის სკოლაში შეხვედრები გააერთიანა



თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი სოლომონ პავლიაშვილი ლონდონში იმყოფებოდა, სადაც ლონდონის კომერციის სკოლის (London School of Commerce) მარკეტინგის სამსახურის უფროსი, სამეჩი ზომლოტს შეხვდა.

შეხვედრაზე გადაწყდა, რომ თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში ამ სკოლის წარმომადგენელი იქნება და აღნიშნული სკოლის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე, შესაბამისი საშუალებით პირობებით, ქართველი და რეგიონის სხვა ქვეყნების სტუდენტების გაგზავნის ორგანიზებას მოახდენს.

მხარეები, ასევე, შეთანხმდნენ, რომ ლონდონის კომერციის სკოლის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე წასვლის მსურველებისთვის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში შესაბამისი მოსამზადებელი პროგრამები განხორციელდება.

აღსანიშნავია, რომ ლონდონის კომერციის სკოლას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში 170 ათასი სტუდენტი ჰყავს.

„სასამაგისტრო, რომ შეხვედრის ორგანიზატორები თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები — თამუნა კვანტალიანი და მიხეილ ბუღალავა იყვნენ, რომლებიც ლონდონის კომერციის სკოლის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე სწავლობენ“, — განაცხადა თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა სოლომონ პავლიაშვილმა.

„მინდა, ნიკა ლომინაძის ოჯახს ვუთხრა: გია გვიჩიანი ყველაფერს აკეთებს, რომ ეს დანაშაული გამოიხეილოს იქნას, ხომ უნდა იცოდეთ, სინამდვილეში, თქვენი შვილი ვინ მოკლა?! ნამდვილი მკვლეელი ქუჩაში დადის და ქართულ მართლმსაჯულებას, ასევე, ნიკა ჩემიასა და გია გვიჩიანს, რომლებიც სასჯელს მის მაგივრად იხდიან, დასცინის!“



სარაბაულში გე-11 კლასელმა გე-3 კლასელი ბიჭი ბააუპატიურა?



რამდენიმე დღის წინ, უცნობმა ცხელ ხაზზე, ანუ 112-ზე დარეკა და შეატყობინა: ხარაგაულის რაიონის ერთ-ერთ სასწავლო დაწესებულებაში („ქართული სიტყვა“, ეთიკური მოსაზრებით, სასწავლებელს არ ასახელებს) მესამე კლასელი ბიჭი გააუპატიურეს. ეს ის ბრალდებაა, რომელსაც ბავშვის ოჯახის წევრებიც იზიარებენ. რა მოხდა იმ დღეს ხარაგაულის ერთ-ერთ სასწავლებელში, დაიწყო თუ არა საქმის გამოძიება და, საერთოდ, ეს პირველი შემთხვევაა თუ არა? „ქართული სიტყვა“ სავარაუდოდ დაზარალებულის ბიძას, სასწავლებლის დირექტორსა და იმ სასწავლებელს ესაუბრა, რომელმაც იმ დღეს ბიჭები ერთად დაინახა.

სავარაუდოდ დაზარალებულის ბიძა: „— სკოლაში სექსუალური ძალადობა, დაახლოებით, 7 საათზე ჩემს მესამეკლასელ დისშვილსა და მის მეთერთმეტე კლასელ თანასკოლელს შორის მოხდა. დირექტორმა ეს ამბავი დამალა... ათი დღის მერე გავიგე — როცა უკვე პოლიცია ჩაერია, მანამდე არავინ გამაგებინა. დირექტორმა მითხრა, სკოლის ერთ-ერთმა მასწავლებელმა დამირეკა, სახლიდან ჩამოვედი და ეს ამბავი გავარკვიე, მაგრამ არაფერი გითხარი, რადგან არც არაფერი მომხდარა და შენი ბავშვი იტყუებო. ჩემს დისშვილს ბრალს იმაშიც დებენ, ფსიქიკურად დაავადებულიაო. ბავშვი ამბობს, იმ ბიჭმა მესამე სართულზე ამოყვანა და ძალა იქ იხმარაო. იმასაც ამბობს, რომ ასეთი ფაქტი მეორედაც განმეორდა — რამდენიმე დღის შემდეგ... გავიგე, რომ ამ სკოლაში ასეთი შემთხვევა პირველი არაა.“

ცხელ ხაზზე განხორციელებული ზარის შემდეგ, პოლიციაში დამიბარეს და მითხრეს, რომ ბავშვი ექსპერტიზაზე წამყვანა... ექსპერტიზის ჩატარებას, როგორც მითხრეს, 175 ლარი სჭირდება და ოჯახს ამის საშუალება არ ჰქონდა. ამიტომ, ხარაგაულის გამგეობის განათლების განყოფილები უფროსთან, დათო კიკნაძესთან მივედი, რომელმაც პოლიციის უფროსთან დარეკა და განუცხადა, რომ ჩემს ოჯახს იცნობდა და იცოდა, ექსპერტიზის ფული არ გვექონდა. ამიტომაც, უთხრა პოლიციის უფროსს, რომ მათი ხარჯებით წაყვანათ ბავშვი ქუთაისში, ექსპერტიზაზე. დაიწყო გამოძიება... სკოლიდან დაიკითხნენ ბავშვები, დამრიგებელი, აღმზრდელი... ჩემი დისშვილი ქუთაისში წაიყვანეს. მეც წავეყვი. იქ გვიან მოგვიხდა ჩასვლა და 3 დღის შემდეგ დაგვიბარეს... პარასკევი იყო და მე არ მეცალა. ამიტომაც ბავშვი დედამ წაიყვანა. უთხრეს, რომ 1 კვირაში იქნებოდა პასუხი და დაგვირეკავდნენ. მას შემდეგ არავინ დაგვკავშირებია... მესამე დღეს, თავად წავედი პასუხის გასაგებად და მითხრეს, რომ დასვენების დღეებია და პასუხი არ მოსულაო... მხოლოდ იმას ვითხოვ, რომ საქმე არ მიავუჩქონ, არ მიჩქმალონ, ყურადღება მოგვაქციონ, გაირკვეს სიმართლე და, ბოლოს და ბოლოს, ან დადებითი პასუხი გვითხრან, ან უარყოფითი!“

„ქართული სიტყვა“ სკოლის დირექტორს დაუკავშირდა, რომელმაც გაიგო თუ არა, რასთან დაკავშირებით ვურეკავდით, გვითხრა:

„ასეთ ფაქტს ადგილი არ ჰქონია. უბრალოდ, პოლიციაში გამოძიება 112-ზე შესული ანონიმური ზარიდან გამომდინარე დაიწყო. მიმდინარეობს გამოძიება. ბავშვი ექსპერტიზაზე ჰყავდათ და პასუხი მალე

გვეცოდინება. — ქალბატონო, ბავშვის ბიძის თქმით, მისთვის გითქვამთ, რომ დაგირეკათ მასწავლებელმა, რომელმაც ბავშვები დაინახა...“

— ასეთი არაფერი მომხდარა, გენაცვალე. ასეთ ფაქტს ადგილი არ ჰქონია. უბრალოდ, ალბათ, რაღაც სხვას უკეთებთ ინტერპრეტაციას. მათ შორის იყო მხოლოდ სიტყვიერი შეურაცხყოფა.

— ანუ, მასწავლებელს არ დაურეკავს და ამის შემდეგ, სკოლაში არ მისულხართ?

— მეტს ვერაფერს გეტყვით აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით.

— როგორ? არ იცით, მასწავლებელმა დაგირეკათ თუ არა და სკოლაში მიხვედით თუ არა?

— გეუბნებით, გენაცვალე, რომ მიმდინარეობს გამოძიება, აღნიშნულ ფაქტს ადგილი არ ჰქონია. მასწავლებელმა, შეიძლება, მრავალჯერ დამირეკოს და ჩავიდე სკოლაში. იმას, რაზეც გამოძიება მიმდინარეობს, ადგილი არ ჰქონია“.

სასწავლებლის დირექტორს იმ მასწავლებლის ტელეფონის ნომერი ვთხოვე, ვინც ბიჭები, ბიძისა და დაზარალებულის თქმით, სექსუალური ძალადობისას, დირექტორის თქმით კი, სიტყვიერი შეურაცხყოფისას დაინახა.

ენახოთ, რას იტყვის, პედაგოგი:

— გამარჯობა, ქალბატონი ეს და ეს (ეთიკური მოსაზრებით, არც პედაგოგის გვარსახელი ვასახელებთ), ბრძანდებით?

— დიახ, ვინ ბრძანდებით?

— გითხრეს, რომ დაგირეკავდით?

— ბატონო?... ააა... თქვენ ხართ? ხო... კი... კი... გითხრეს... — რა გითხრეს?

— ისაო... არ ვიცი... ვილაც ჟურნალისტი დაგირეკავსო... და ტელეფონი გქონდეს ჩართულიო... — დირექტორმა გითხრათ?

— ხო, ხო... დავინახე, როგორ აყენებდნენ ერთმანეთს სიტყვიერ შეურაცხყოფას და უწმინდურ სიტყვებს ეუბნებოდნენ... სხვა რა უნდა დამენახა, სხვა არაფერი ყოფილა?! ისე იყვნენ ერთმანეთისთვის ამ სიტყვების ძახილით გართულნი, რომ ჩემი იქ ყოფნა ვერც კი შეამჩნიეს. მეც დავეუბნე დირექტორს, რომელიც მოვიდა და მიიღო ზომები... გაესაუბრა ამ ბავშვებს, მოახდინა რეაგირება. არ დავსწრებივარ მათ საუბარს... სხვა არაფერი ვიცი... რასაც ამბობენ და თქვენც გაიგებდით, მე ეგ ფაქტი არ მინახია და არც ნაკნრებივარ და არც შემომჩნევია... სულ კუდში დავსდევ მგაბათ, ერთი წუთით არ ვტოვებ. სხვა მეტი არაფერი ვიცი, არაფერი შემომჩნევია და არაფერი მინახავს. ისე, ეს

ბავშვი (ვინც, სავარაუდოდ, ძალადობის მსხვერპლია) კი იძახის ხოლმე ხშირად უზრდელ სიტყვებს და მოსწავლეები მოდიან ჩემთან საყვედურით. მასეთ სიტყვებს ახლანდელ დროში არავინ მოგიტომენს, გენაცვალე. ახლანდელ ბავშვებს გული გარედან ახატი-ათ, ასე რომ ვოქვით... შვილებს ამოვიწყვიტავ, თუ ეგ ფაქტი მენახოს ან რაღაცა... რა ვიცი... მე რატო უნდა შევცვალო ჩვენება, ყველგან ამას ვამბობ და ვიტყვი. ასე რომ არ იყოს, ოჯახს ხომ არ ამოვიწყვიტავდი... არაფერს წავსწრებივარ მე მასეთს და საიდან გავარდა ეგ ხმა ან ვინ თქვა, აზრზე არა ვარ“.

მოკლედ, რა მოხდა ხარაგაულის რაიონის ერთ-ერთ სასწავლებელში — რეალურად დაფიქსირდა მესამეკლასელ ბიჭზე ძალადობის ფაქტი თუ ბავშვი იტყუება? — გამოძიება მიმდინარეობს და იმედი, სიმართლე დადგინდება...

პაპა ლიზრაძე

სტოკპადრი

საქართველოს ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი კვიციანიამ სკოლაში „ანაკლისის განვითარების კონსორციუმის“, კომპანია „ჩინდაო პორტ ინტერნეიშენალისა“ და ბანკის ბანკის დელეგაცია მიიღო.

შეხვედრას ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილეები ირმა ქავთარაძე და ქეთევან ბოჭორიშვილი, სს „საქართველოს რკინიგზის“ გენერალური დირექტორი მამუკა ბახტაძე და სხვა ოფიციალური პირები, ასევე, ჩინეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში იუე ბინი დაესწრნენ.

სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნული კონსორციუმი, რომელიც აერთიანებს „თიბისი ჰოლდინგს“ და „კონტი ჯგუფს“, მონაწილეობს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ, საქართველოს მთავრობის სახელით, გამოცხადებულ მონვევის პროექტში ანაკლისის ღრმანწყლოვანი ნავსადგურის მშენებლობისა და განვითარების პროექტზე ინტერესთა გამოხატვის შესახებ. ის ერთ-ერთ

ჩინური კომპანია შესაძლოა, ანაკლისის პორტის პროექტში ჩაეთოს

თია იმ შვიდი კონსორციუმიდან, რომლებიც ე.წ. „მოკლე სიაში“ შევიდნენ

ჩინური კომპანია „ჩინდაო პორტ ინტერნეიშენალი“, რომელიც ჩინეთის ერთ-ერთი უმსხვილესი ნავსადგურის, ჩინდაოს პორტის ოპერატორია, გამოთქვამს დაინტერესებას, მონაწილეობა მიიღოს ანაკლისის ღრმანწყლოვანი პორტის პროექტში, ანაკლისის განვითარების კონსორციუმთან ერთად.

კონსორციუმის წარმომადგენლებთან განმარტებითი ხასიათის შეხვედრა გაიმართა, რომლის დროსაც სამინისტროს ხელმძღვანელმა პირებმა უპასუხეს „ანაკლისის განვითარების კონსორციუმის“ წარმომადგენელთა დასმულ ყველა შეკითხვას.

„ინფო“

დეს, მაგრამ დაუშვებელია, რომ ის კრიმინალად გამოცხადდეს.

„ფიქრობ, რომ პროპაგანდის სახე აქვს ამ ყველაფერს, ვინაიდან ნეპოტიზმის ზღვარი სად გადის. მაგალითად, თინა ხიდაშელს პარლამენტში პოსტი უკავია, ისევე როგორც დავით უსუფაშვილს და ახლა რომელი უნდა დავიჭიროთ, ხიდაშელი თუ უსუფაშვილი“, — დასძინა სანიკიძემ.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ ნეპოტიზმთან დაკავშირებით, პარლამენტს შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივით მიმართა, რომელსაც საკანონმდებლო ორგანო უახლოეს მომავალში განიხილავს.

„ინფო“

გუბაზ სანიკიძე ნეპოტიზმზე საუბარს პროპაგანდას უწოდებს

ვიცე-სპიკერის გუბაზ სანიკიძის მოსაზრებით, პროპაგანდა არის დანაშაულები, რომ თითქოს საქართველოში ნეპოტიზმი არსებობს.

როგორც ჟურნალისტებს „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ საკანონმდებლო ინიციატივასთან დაკავშირებით სანიკიძემ განუცხადა, შესაძლოა, ნეპოტიზმის სულ რამდენიმე ფაქტი არსებობ-

„სამართალდამცავები ცდილობენ, დაზარალებული დაარწმუნონ, რომ ის, ვინც მათ, აბაგალითად, ბინა გაუყიდა, თავისი უნაშუსო ქცევით ოჯახს ჭერი თავზე ჩამოაგდო და ცივ ქვაზე დასახლებული დატოვა, ანუ არაკეთილსინდისიერად მოქცა, დანაშაუმი არ არის!“

„თაღლითობა საქართველოში წახალისებული და გამხარავებული ადამიანები ერთმანეთს გაუსწორდებიან!“



თაღლითური სქემა, როგორც ნოტარიუსებიც არიან ჩართულნი!

საქართველოში თაღლითობის მსხვერპლი არაერთია... თაღლითობა კანონით დასჯადია, მაგრამ თაღლითობის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება, რეალურად, იშვიათად ხდება. ამის მიზეზი კი ისაა, რომ თაღლითები ძალიან დახვეწილი მეთოდებით „მუშაობენ“, ანუ კარგად იციან, კანონი სრულიად უსაფრთხოდ როგორ დაარღვიონ. რა უნდა ვიცოდეთ, თაღლითობის მსხვერპლი რომ არ გავხდეთ, როგორ სავსაშუალოდ ვიზიტირებთ „აბეზარი“ დაზარალებულების თავიდან მოცილება, ამასთან, საქმის „მოუსაველი“ გადასროლა, რატომ არ სჯიან პროფესიონალ თაღლითებს და რატომ არ უნდა ვენდოთ მათ, ვინც გარიგებებს, ქონებრივი გარანტიების გარეშე, „საკუთარი“ ნოტარიუსების დახმარებით გვთავაზობენ და სად არის გამოსავალი? – „ქართული სიტყვა“ აგრძელებს ტრადიციულ საუბარს ადვოკატ ელზა ჯემუხაძესთან, რომელიც აცხადებს, რომ თაღლითობა ეროვნული უბედურებაა. „ეს მძიმე დანაშაული საქართველოში წახალისებულია, რაც საფუძველს ქმნის, რომ გამწარებული ადამიანები ერთმანეთს გაუსწორდნენ“, – ირწმუნება ყოფილი ურუნალისტი ელზა ჯემუხაძე, რომელიც წლებია, საადვოკატო საქმიანობას ეწევა.

– ელზა, თაღლითობის ეროვნულ უბედურებად გამოცხადებულა გვაკლდა... რა ხდება?

– თაღლითობა დანაშაული – სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის დეფინიციაში პირდაპირაა მითითებული: იმისთვის, რომ პირის ქმედება თაღლითობად დაკვალიფიცირდეს, აუცილებელია, დაზარალებული მოტყუებული იყოს. ჩვენი უბედურება ისაა, რომ თაღლითობა, როგორც წესი, ძალიან განათლებული, ან გამოცდილია, გულუბრყვილო, დაუდარი მსხვერპლი კი სწორედ იქ ტყუვდება, სადაც, წესით, არ უნდა ტყუვდებოდეს. საქმის წარმოების პროცესში სწორედ ამ ფაქტორები გარემოებების გამოკვეთა და მტკიცებულებების მოპოვება, რადგან ყველაფერი, ერთი შეხედვით, კანონის დაცვითაა მომხდარი...

– იმის მტკიცება, რომ ერთმა ადამიანმა მეორე მოატყუა, რატომ ჭირს? ყველაფერი ეს ხომ ძალიან მარტივად მისახვედრია?

– მიხედვით ადვილია, მაგრამ დანაშაულის დამტკიცება სულ სხვა, არცთუ ადვილი პროცესია, განსაკუთრებით იმ დროს, როცა საქმეში თუნდაც ერთი წერილობითი დოკუმენტი ფიგურირებს, რომელიც მხარეთა შორის ამა თუ იმ შინაარსის გარიგების (მხარეთა შორის სამოქალაქო ურთიერთობის) ფაქტზე მიუთითებს.

– მაგალითად?

– მაგალითად, თუ მომჩივანი და მოპასუხე ხელს აწერენ ხელშეკრულებზე ან, თუნდაც, მარტივ გარიგებაზე, ეს სამართალდამცავებს კანონიერ საშუალებას აძლევს, საქმე თავიდან მოიშორონ, ანუ საქმეში არსებული მტკიცებულებები ისე კი არ შეაფასონ, როგორც ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაულის მამტკიცებელი ფაქტობრივი გარემოებები, არამედ, – ჩვეულებრივი, სამოქალაქო ბრუნვის მონაწილე მხარის არაკეთილსინდისიერების დამადასტურებელი ფაქტები, რაც, ბუნებრივია, დასჯადი არაა. თუ ასე გავაგრძელებთ, საბოლოოდ გამოვა, რომ თაღლითობა ქვეყანაში ერთ-ერთ სარფიან საქმიანობად იქნება აღიარებული, რასაც ზურგს უტყუარი საკანონმდებლო გარანტია გაუმაგრებს. მოკლედ, „ჭეშმარიტი თაღლითები“ ალესილი დენის პირზე ან და მარადის ისე ივლიან, სამართალდამცავთა მხრიდან ნიავიც არ დაუბრავთ, მსხვერპლადქცეულ ადამიანებს კი, სამართლის ნიშნის აღდგენაზე იცნება ოცნებადვე დარჩებათ. ამიტომ იძულებული გახდებიან, თაღლითები დახოცონ და ჯავრი ასე იყარონ!

– არაკეთილსინდისიერი ქცევა დასჯადი რატომ არაა?

– ცნება „არაკეთილსინდისიერი“ სამოქალაქო კანონმდებლობაში შინაარსით იგივეა, რაც სისხლის სამართლებრივ კანონმდებლობაში – „დამნაშავე“. კანონდამრღვევი პირის ქცევის ამ ორგვარად კვალიფიცირების დროს განსხვავება დამდგარ შედეგია: თუ პირის ქმედება დანაშაულად კი არა, არაკეთილსინდისიერებად შეფასდა, ამისთვის არ და ვერ დაიჭერენ. კანონმდებლობა პირდაპირ გვეუბნება, რომ ის საქმე, სადაც სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის ნიშნები არ იკვეთება, სამოქალაქო სასამართლოს განსჯადია. სწორედ ამიტომ, ზარმაცი, უგულისყურო თუ არაკვალიფიციური სამართალდამცავები იმას კი არ ცდილობენ, თაღლითების მიერ წინასწარი განზრახვით ჩახლართულ სიტუაციებში სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის მამტკიცებელი ფაქტები გამოავლინონ და გამოკვეთონ, არამედ, საქმეს ზერეულად, გულგრილად ეკიდებიან და იმ მოთხოვნას „ეფარებიან“, რასაც კანონმდებლობა აყენებს. ამ მოთხოვნით კი, დანაშაული უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობით და ალბათობის მაღალის სტანდარტით უნდა მტკიცდებოდეს. ეს გასაგებია და ძალიანაც კარგია, მაგრამ როცა ხედავ, რომ ერთი და იმავე პირს ერთი და იმავე მეთოდით, ასევე, ერთი და იმავე ნოტარიუსის დახმარებით ათობით, ასობით ადამიანი ჰყავს გაუბედურებული, ძნელი სამტკიცებელი აღარ უნდა იყოს, რომ ეს პირი გაქნილი თაღლითია და პასუხიც კანონის წინაშე უნდა აგოს!

– ანუ, სამართალდამცავები დაზარალებულებს თაღლითების დასჯაზე უარს ეუბნებიან?

– ცდილობენ, დაზარალებულები დაარწმუნონ, რომ ის, ვინც მათ, მაგალითად, ბინა გაუყიდა, თავისი უნაშუსო ქცევით ოჯახს ჭერი თავზე ჩამოაგდო და ცივ ქვაზე დასახლებული დატოვა, ანუ არაკეთილსინდისიერად მოქცა, დამნაშავე არ არის!

– ამ, რბილად რომ ვთქვათ, ზერეულ პასუხის გასაჩივრება არ შეიძლება?

– მას შემდეგ, რაც ჩვენი კანონები განსწავლული და „ჭკუით დაქმედილი“ სამართალდამცავები საქმეში სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის კვალს „ვერ აღმოაჩენენ“, თავიანთ ძვირადღირებულ კომპიუტერებს გახსნიან და „კოპი-ფეისტი“-ით, ორ წუთში შექმნიან გამწარებული მომჩივნებისთვის გასა-

გზავნ სტანდარტულ „პასუხებს“, სადაც მხოლოდ გვარ-სახელები და თარიღი იცვლება. მოკლედ, მომჩივანს, ერთ მშვენიერ დღეს, ფოსტით ეცნობება, თქვენი საჩივარი შევისწავლეთ, დანაშაულის ნიშნები არ გამოიკვეთა და სამოქალაქო სასამართლოს მიმართეთო. გამწარებული მომჩივანი ამ სტანდარტულ პასუხს ზემდგომ პროკურორთან გაასაჩივრებს, რომლის კომპიუტერშიც, ასევე, ინახება სამწინადადებიანი, დაუსაბუთებელი პასუხის „კლიშე“, რომელიც მთავრდება „რჩევით“, სამოქალაქო სასამართლოს მიმართეთო და სწორედ აქედან იწყება თაღლითობით დაზარალებულისთვის ნერვების წყვეტისა და ტანჯვის მეორე სერია!

– რატომ?

– როგორც გითხარით, სამოქალაქო კანონმდებლობაში არ არსებობს დამნაშავის ცნება. შესაბამისად, დავის სამოქალაქო წესით განხილვის შემთხვევაში, პირის დაკავება გამოორიცხებულია. თუკი თავს ზევით ძალა აღარ გვეყოფა და სამართლიანობის აღსადგენად სამოქალაქო სასამართლოს მივადგებით, ეს სასამართლო საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილებას, ბუნებრივია, სამოქალაქო კანონმდებლობიდან გამომდინარე გამოაცხადებს, ანუ არავის დაიჭერს. მოკლედ, თუ პროკურატურამ დაზარალებული სამოქალაქო სასამართლოსკენ გადაამისამართა, ეს პირდაპირ ნიშნავს, რომ პერსპექტივაში, არც ზიანი ანაზღაურდება და დამნაშავეც დაუსჯელი რჩება. მეტიც, დამნაშავე, რომელიც სამოქალაქო სასამართლოში საქმის განხილვის პროცესში კარგადაა განაფული, კანონის ლაბირინთებში ისე შეგირეფს, რომ თუ წესიერი დაცვა არ გყავს, უკან გამოსასვლელ გზასაც ვეღარ იპოვი და საქმეს წააგებ!

– არ მჯერა, რომ დაზარალებულმა თაღლითთან, ან მასთან, ვინც არაკეთილსინდისიერად მოექცა, საქმე წააგოს...

– რა თქმა უნდა, შესაძლებელია, რომ დავა მოიგოს, მაგრამ მთავარია, დაზარალებულისთვის სასურველი შედეგი დადგება თუ არა, ანუ მოხდება თუ არა ზიანის ანაზღაურება. გარდა ამისა, ასეთი დავების დროს უმეტესწილად ჭრის და ხშირად შეუძლებელია სასამართლოს წინაშე იმის მტკიცება, სად და როგორ მოტყუვდა დაზარალებული, რომელსაც საკუთარი ნებით აქვს ხელი მოწერილი იმ დოკუმენტზე, რომელმაც დალუპა!

– როგორ ახერხებენ თაღლითები, რომ მსხვერპლს ხელი დოკუმენტებზე მოაწერიონ? – აჯადოებენ თუ პიპინობით ზემოქმედებენ?

– სხვათა შორის, არც მსგავსი რამის გამოცხადება შეიძლება, მაგრამ მთავარი მაინც ერთი ნიუანსია: ნოტარიუსთან შედგენილ ყოველგვარ აქტში, როგორც წესი, ხაზგასმითაა მითითებული, რომ ამა თუ იმ ნებას სრულიად ქმედუნარიანი მხარეები ყოველგვარი ძალდატანებისა და მოტყუების გარეშე გამოხატავენ და ამას ადასტურებს ნოტარიუსის ბეჭედი. ამიტომაც, პროფესიონალი თაღლითები ხშირად ცდილობენ, მსხვერპლთან ურთიერთობა (რომლის საბოლოო და ფარული მიზანი მოტყუებაა) აუცილებლად დოკუმენტურად, ნოტარიუსის თანდასწრებით გააფორმონ. ასეთი დოკუმენტი მომავალში თაღლითების სამარ-

თლებრივი დაცვის გარანტია ხდება, რადგან სწორედ ამ დოკუმენტის გამო ჭირს ხოლმე იმის მტკიცება, რომ მსხვერპლი, რომელიც საკუთარი ნებით აწერს ხელს დოკუმენტს, მოტყუებულია. ნოტარიუსთან მისვლის შეთავაზებით, თაღლითები ახერხებენ, მსხვერპლის უფრო ნდობა მოიპოვონ. მოკლედ, ადამიანი სწორედ მაშინ ტყუვდება, როდესაც არ ამონებს, ვისთან აქვს საქმე და გარიგების დასადავად ისეთ ნოტარიუსთან მიდის, რომელიც თავს არ იწუხებს, პოტენციურ მსხვერპლს ის სამართლებრივი შედეგები აუხსნას, რაც ამა თუ იმ სანოტარო აქტზე ხელმოწერის შედეგადაა მოსალოდნელი.

– ნოტარიუსებს კანონი არ ავალდებულებს, ადამიანს აუხსნან, ხელს რაზე აწერიან?

– წესიერი ნოტარიუსი, რა თქმა უნდა, ვალდებულია, მხარეებს მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგები განუმარტოს, მაგრამ არიან ნოტარიუსები, რომლებიც ამას ან გულგრილობით, ან გარკვეული დაინტერესების გამო არ აკეთებენ! სწორედ ასეთ „ნაძრახს“, ნოტარიუსებთან თანამშრომლობენ პროფესიონალი თაღლითები და სამართალდამცავებმა შევირად იციან, რომელი ნოტარიუსი რისი მკადრებელია, რადგან საჩივრებს, მტკიცებულებების სახით, ის სანოტარო აქტებზე ერთვის, რომლებმაც მომჩივანები დააზარალა. დაკვირვებული თვალი აუცილებლად შეინიშნავს, რომ რომელიც კონკრეტული თაღლითი აუცილებლად რომელიც კონკრეტულ ნოტარიუსთან „თანამშრომლობს“ და, რეალურად, საქმე გვაქვს ჯგუფურ დანაშაულთან. მიუხედავად ამისა, პრაქტიკა ადასტურებს, რომ თაღლითობის თანამშრომელი ნოტარიუსები მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტების მტკიცებაც ძალიან ჭირს, რადგან გამოკითხვაზე მოწინასწარებით გამოცხადებული ნოტარიუსები აცხადებენ, მხარეებს ყველაფერი დეტალურად განვუმარტე, რასაც ხელისმოწერით ადასტურებენო. იგივეს აცხადებენ გამოკითხვაზე დაზარალებული თაღლითებიც და დაზარალებულს საპირისპირო ფაქტის მტკიცება არ შეუძლია. საბოლოოდ, გამოდის, რომ მხარე, რომელმაც არ წაიკითხა, რაზე მოაწერა ხელი ან წაიკითხა და ვერაფერი გავიგო, რჩება მხარედ, რომლისთვისაც მიყენებული ზიანი სახეზეა, მაგრამ ამისთვის არავინ ისჯება!

– როცა ნოტარიუსი და თაღლითი „ერთ ხმაში მღერიან“ და ერთმანეთის მიერ ჩადენილ დანაშაულს ფარავენ, ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ განზრახ დანაშაულს ჯგუფურად ჩადიან?

– ასეთ დროს, წესიერი გამოძიების პირობებში, რა თქმა უნდა, გამოიკვეთება განზრახი დანაშაულის ჯგუფურად ჩადენის ფაქტი, მაგრამ სადაა ეს წესიერი გამოძიება? როდესაც ათი საჩივრიდან ცხრაში ყველაფერი ერთი და იგივე თაღლითისა და „მისი“, ნოტარიუსის ხელითაა „გაპრავებული“, მაგრამ ეს არ გინდა, დაინახო, პირიქით, ერთი სული გაქვს, დაზარალებული სამოქალაქო სასამართლოსკენ გადაამისამართო, სამართალდამცავის ასეთ ქმედებას სამსახურებრივ გულგრილობად ვაფასებ და ხმაძალა ვაცხადებ: ისინი თანა-



ქვეყნის მდინარეები
საქართველოს პარლამენტი

„შენ – უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერებას ხომ შენით ითქვა;
დადებდა შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“

კარგო ლექსი

იურისტის რჩევა

მე-14 გვირგვინი

ლიტოტობის თანამონაწილენი თუ არა, დანაშაულის ხელშემწყობნი და წამხალისებლები არიან!

– ადამიანს შეიძლება გული გაუსკდეს, თუ არ ეცოდინება, რომ გამოსავალი არსებობს!

ჩემი აზრით, ერთ-ერთი გამოსავალი ის იქნება, რომ ნოტარიუსები დავავალდებულოთ, ნებისმიერი საწარმოო აქტის შედგენაში ვიდუო-ფირზე ჩაწერონ და ეს ჩანაწერი საარქივო მასალის შენახვის ვადით შეინახონ. სხვათა შორის, საწარმოო მოქმედება „სკაიპის“ საშუალებით უკვე ხორციელდება. თუ ნოტარიუსს ეცოდინება, რომ ჩანაწერს ვერ გააყალბებს, იძულებული გახდება, თავისი მოვალეობა პირნათლად შეასრულოს და აქტზე ხელისმონერამდე მხარეებს გარიგების მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგები კარგად განუმარტოს.

გარდა ამისა, მოქალაქეებმა ერთხელ და სამუდამოდ უნდა გააცნობიერონ, რომ აუცილებელია, ნებისმიერი გარიგების დადების პროცედურა კვალიფიციურმა იურისტმა გააკონტროლოს. დოკუმენტზე ხელისმონერამდე შესაძლებელია, ადამიანმა ამ დოკუმენტის პროექტი (ხელმოწერული ეგზემპლარი) მოითხოვოს, რათა ექსპერტიზა სპეციალისტთან გაიაროს. ცნობილია, რომ ეშპაკი დეტალებშია და სამართლებრივ ქვეტექსტებში მიმალული საფრთხეების გამოფერა მხოლოდ კვალიფიციურ იურისტს შეუძლია. სამწუხაროდ, ჩვენში მიჩნიათ, რომ ადვოკატთან მაშინ უნდა მივიდნენ, როდესაც უჭირთ. რეალურად კი, ადვოკატი ადამიანს, პირველ რიგში, იმისთვის სჭირდება, რომ მისგან კვალიფიციური რჩევა მიიღოს და გასაჭირში არ ჩავარდეს!

– მას შემდეგ, როცა აღმოვაჩინეთ, რომ ნოტარიუსის ბეჭედადამსული ქალაქი გვიჭირავს, მაგრამ რიგზე ყველაფერი კი არა, არაფერია, რა ხდება?

– ყველაზე მარტივ შემთხვევას გეტყვით, როდესაც სასამართლოს გვერდის ავლითაა შესაძლებელი, თავი დავიზღვიოთ: კანონით, ნოტარიუსთან შესაძლებელია ვალის აღიარების ხელწერილის დადება, მაგრამ მანამდე კარგად უნდა ვიცოდეთ, ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მოსალოდნელი ზიანის ასანაზღაურებლად რა საშუალება არსებობს. ინფორმაცია იმის შესახებ, პოტენციურ მოვალეს რამე სახის ქონება აქვს თუ არა, საჯაროა და მისი მოპოვება პრობლემა არაა. იმ შემთხვევაში, თუ მოვალე ვალს არ დააბრუნებს, გამსესხებელს (კრედიტორს) უფლება აქვს, იგივე ნოტარიუსს მიმართოს და ყოველგვარი სასამართლო ინსტანციების გავლის გარეშე, ათ წუთში 120 ლარად აიღოს აღსრულების ფურცელი, რაც სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების, ანუ პრაქტიკულად, მოგებულის პროცედურის ტოლფასია. ამ აღსრულების ფურცლით კრედიტორი მოვალის წინააღმდეგ იწყებს სააღსრულებო წარმოებას და ვალდებულია, სააღსრულებო ფურცლის ღირებულების გარდა, სააღსრულებო წარმოების ხარჯებიც გაიღოს. თუ არსებობს ვალის აღიარების ხელწერილი, მაგრამ არ არსებობს ამ ვალის ამოღების საშუალება ქონების ან ოფიციალური შემოსავლის სახით, შედეგი ნოლის ტოლფასია, ანუ სააღსრულებო საქმის წამოწყება და დამატებითი ხარჯების განკარგვა არ ღირს!

არის შემთხვევები, როდესაც ქონება ან შემოსავალი სახეზეა, მაგრამ ღირებულებით იმდენად მცირეა, შესაძლებელია, ვალის მხოლოდ მცირეოდენი ნაწილის ამოღება, ან ვალის პატარა-პატარა, უბრალოდ დივიდენდების დაბრუნება.

– ვინც გარიგების დადებისას მიმდებარე მსესხებელს დაუშალავს, რომ ვალის დაბრუნების პერსპექტივა არ აქვს, ანუ რეალურად, იტყუება, რა ელის?

– სწორედ ესაა თალღობა. ამ დროს მსესხებელი სწორედ იმ ნიშნითაა შერჩეული, რომ თალღობისგან განსხვავებით, მიმდებარე და იურიდიულად უმეცარია. თუ დასტურდება, რომ ადამიანი ვინმესთან ისეთ გარიგებაშია შესული, რომელშიც საღად მოაზროვნე კაცი კვალიფიციური კონსულტაციის შემდეგ არ შევიდოდა, სწორედ ასეთ დროსაა შესაძლებელი, იმ პირის ქმედება, ვინც ადამიანს სისულელის ჩადენისკენ უბიძგა, დანაშაულად შევაფასოთ.

როგორც გითხარით, ასეთი „სასწაულები“ ჩვენში არ ხდება და მომხდარში თალღობის კვალს ვერ აღმოაჩენენ ხოლმე, რაც პირდაპირ იმას ნიშნავს, რომ კლასიკური დამნაშავე დაუსჯელი რჩება და სამოქალაქო წესით საქმის განხილვის შედეგად, მხოლოდ მოპასუ-

ხის „ცივილური სტატუსი“ ექნება... საუკეთესო შემთხვევაში, მოპასუხე დარეგისტრირდება მოვალეთა რეესტრში და, თუ ათი წლის განმავლობაში, მის სახელზე არ გამოჩნდება არც ქონება და არც რაიმე სახის ფულადი შემოსავალი, ათი წლის გასვლის შემდეგ, ვალი ჩამოინერება.

მოკლედ, უქონელ მოვალეს რაც გინდა, ის დააკისრე, მოყენებულ ზიანს მაინც ვერსაიდან აინაზღაურებ – შეგრჩება მხოლოდ ფულის, დროის და ნერვების ხარჯვის ფასად მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება, სადაც, მართალია, წერია, რომ პროცესი მოგებული გაქვს, მაგრამ ასეთი გადაწყვეტილება შეგიძლია, მხოლოდ გადაამრავლო და „სხვადასხვა ალაგას შეინახო“, რადგან მაინც ვერაფერში გამოიყენებ. თალღობით, რომელმაც ყველაფერი ეს თავიდანვე მშვენიერად იცის, ნაგებული ნამდვილად არ რჩება და სწორედ ეს ახალისებს ჩვენში თალღობას, როგორც დანაშაულს!

– ეს პროკურატურამ არ იცის?

– მერე, რა, რომ იცის?! სამწუხაროდ, ჩვენში ჯერ კიდევ მყარად აქვს გადგმული ფესვი შერჩევითი სამართალს და ორმაგ სტანდარტებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთი და იმავე ტიპის ქმედებას ერთს დანაშაულად უთვლიან, მეორეს – არა! „ქართული სიტყვის“ მკითხველმა თითქმის ზეპირად ისწავლა ერთი საქმე, სადაც „ნაციონალები“ დროს ბიზნესმენს თალღობითა დაბრალდა, მიუხედავად იმისა, რომ სახეზე იყო მხოლოდ სახელშეკრულებო ურთიერთობები. დღეს ასეთ კაცს პროკურატურაში ეუბნებიან, რითი ასეთი კაცს პროკურატურაში მიმართ ბრალის წარდგენისას კანონი დაირღვა და უკანონო განაჩენიც დადგაო. პარალელურად, იგივე პროკურატურას ერთი სული აქვს, გაქანებული თალღობის საქმეებში მოდავე პირებს შორის გაფორმებული რამე სახის წერილობითი შეთანხმება აღმოაჩინოს და დაუყოვნებლივ გამოიტანოს სისხლის სამართლის საქმის არაღძვრის დადგენილება!

სამართალდამცავთა მხრიდან გამოვლენილი გულგრილობების გარდა, პრობლემა მაინც ჩვენში მოქმედ კანონმდებლობის მოუქნელობაშია, რასაც მშვენივრად იყენებთ თალღობით. ამ კანონმდებლობის ისე დახვეწა და გენება, გამკაცრება, რომ დამნაშავეებს პარპაზის საშუალება მოეპოვოს, რა თქმა უნდა, შესაძლებელია, მაგრამ ჩვენს კანონმდებლებს ამაზე საფიქრელად, ეტყობა, ან არ სცალიათ, ან პრობლემად არ მიიჩნიათ, რომ საქართველო თალღობითაა დატყვევებული!

სტატისტიკურად, ეს დანაშაული ყველა სხვა დანაშაულს უსწრებს და საამისოდ სამართალდამცავ სტრუქტურებში სპეციალური ჯგუფებიცაა შექმნილი, რომელთაც, მხოლოდ და მხოლოდ, თალღობის ფაქტების შესახებ საჩივრებზე რეაგირება ევალებათ, მაგრამ როგორც გითხარით, ისინი მაქსიმალურად ცდილობენ, საქმე სამოქალაქო სამართალწარმოების სფეროში გადაისროლონ და ამის საშუალებას სწორედ მოუქნელი კანონმდებლობა იძლევა!

– მაინც, როგორი უნდა იყოს მოქნილი კანონმდებლობა, რომელსაც ვერც თალღობით დაუჭვრებინან და გვერდს ვერც სამართალდამცავი აუვლიან?

– ეს კომპლექსურადაა დასამუშავებელი, პირველ რიგში კი, იმ პრაქტიკული დეტალების გათვალისწინებით, რაც სახეზეა. ჩემი ნება რომ იყოს, სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლში ცვლილებას შევიტანდი და თალღობის ჩადენაში ბრალდებული პირისთვის სანქციას მით უფრო გავამკაცრებდი, თალღობითა რაც უფრო დახვეწილი მეთოდებითა და კანონის ცოდნით იქნებოდა ჩადენილი.

– მაინც, რა უნდა ვქნათ, რომ თალღობის მსხვერპლი არ გაგვხდეთ?

– უქონელ ადამიანთან დადებული ნებისმიერი სახის გარიგებით უკვე იმდენი ადამიანი დაზარალდა, ბავშვმაც კი იცის: სესხის ხელშეკრულებას ათი ნოტარიუსიც რომ ამოწმებდეს, თუ სესხი უზრუნველყოფილი არაა სესხის რაოდენობაზე მნიშვნელოვნად ძვირი უძრავი, ან მოძრავი ქონებით, ეს ხელშეკრულება მხოლოდ ხარჯი და ფარატინა ქალაქია.

ნუ გვერინია, რომ ადამიანის მოტყუება მხოლოდ ფულის გასესხების დროსაა შესაძლებელი. თალღობის ფანტაზიას და უსაიდუმლოს საზღვარი არ აქვს. ამიტომ, მუდმივად იქონიეთ კონტაქტი პატიოსან, კვალიფიციურ იურისტებთან და ვიდრე რაიმე სახის გარიგებაში შესვლის გადაწყვეტილებას მიიღებთ, დეტალები შეუთანხმეთ!

ესაუბრა მერიამ კახაძე

სტოკადრი



ჰილარი კლინტონი: „ჩემი პირველი პიქნები“

ოფიციალურად დადასტურდა, რომ ჰილარი კლინტონი 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას, – ამის შესახებ სახელმწიფო დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელის მიერ გამოქვეყნებული საარჩევნო კლიპიდან გახდა ცნობილი.

ვიდეოში კლინტონი აცხადებს, რომ სურს, იყოს რიგითი ამერიკელების უფლებების დამცველი.

„ყოველდღიურად ამერიკელებს სჭირდებათ ჩემი პიქნები და მე მინდა ვიყო ეს ჩემი პიქნები“, – ამბობს ჰილარი კლინტონი.

პარალელურად, გავრცელდა სხვა კანდიდატთა საარჩევნო ვიდეო-რგოლებიც.

თავიანთ მიმართებებში რენდ პოლი, ტედ კრუზი და ჯეი ბუში მკაცრად აკრიტიკებენ ჰილარი კლინტონის კანდიდატურას.

„პი-იპი-იპი“

51-ე ბატალიონის პირველი ნაკადი საქართველოში დაბრუნდა

საქართველოს შეიარაღებული ძალების მე-5 ქვეითი ბრიგადის 51-ე ბატალიონის პირველი ნაკადი ავღანეთიდან სამშობლოში დაბრუნდა. 150 სამხედრო მოსამსახურეს თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე გონა რატიანი და გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე, პოლკოვნიკი რომან ჯოხაძე ალექსეევსკის სამხედრო აეროდრომზე დახვდნენ. მათ ქართველ სამხედროებს სამშობლოში მშვილობით დაბრუნება მიულოცეს და „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიის წარმატებით შესრულებისთვის მადლობა გადაუხადეს.

მე-5 ქვეითი ბრიგადის 51-ე ბატალიონის სამხედრო მოსამსახურეები 6 თვის განმავლობაში, ბაგრამის საავიაციო ბაზაზე მსახურობდნენ. ქართველი სამხედროები „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიაში ამერიკელ საზღვაო ქვეითთთან ერთად, სრული სპექტრის ოპერაციებს ახორციელებდნენ.

მათი მთავარი ამოცანა ბაგრამის საავიაციო ბაზის უსაფრთხოების უზრუნველყოფა იყო. ბაგრამის საავიაციო ბაზაზე 51-ე ბატალიონი, რომაციის წესით, IV მექანიზირებული ბრიგადის 43-ე ბატალიონმა ჩაანაცვლა.

51-ე ბატალიონის სამხედროები საქართველოში უდანაკარგოდ დაბრუნდნენ. რამდენიმე კვირაში 51-ე ბატალიონის სრული პირადი შემადგენლობა სამშობლოში იქნება.

„პი-იპი-იპი“

მაცხოვრის საფლავზე ღვთაებრივი ცეცხლის გარდამოსვლა გეგმიურად შეისწავლეს

ის საფლავის კელიაში... მორწმუნეები საოცრებას ელოდნენ. გადმოცემის თანახმად, თუკი არ გარდამოვლენებოდა ზეციური ცეცხლი, ეს იქნებოდა ნიშანი სამყაროს აღსასრულის.


იმის შესახებ, რომ სასწაული მოხდა, ტაძარში მყოფთაგან ყველაზე ადრე ვოლკოვმა გაიგო: მისმა აპარატურამ დადაფიქსირა ელექტრო ველის მკვეთრი აწევა.

„ეკლესიაში ელექტრომაგნიტურ ველზე ექვსსაათიანი დაკვირვების შემდეგ მონაცემები ელველის ორჯერ გაზრდაზე უკმა დაფიქსირდა. ახლა უკვე ნათელია, რომ ღვთაებრივი ცეცხლი არაა ადამიანური წარმოშობის. ეს არც სიცრუეა, არც – მისტიფიკაცია: ცეცხლის მატერიალური „კვალის“ ნახვაც კი შეიძლება“, – ამბობს მეცნიერი.

შეკითხვაზე, შეიძლება თუ არა ამოუხსნელი ენერჯის ზრდა ღვთის გზავნილად მივიჩნიოთ, რუსი მეცნიერი პასუხობს:

„ეს ღვთაებრივის მატერიალური ნახვაცაა, სხვა სახეზე ამ მოვლენას ვერ დარქმევთ. ღვთის ნახვრევს ვერ ჩავერთოთ ფორმულებით, მაგრამ უფალი ამ საოცრებით ყოველწელს გვაძლევს მინიშნებას.“

„თაილისოკა“



„შენ — უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა; დიდება შენდა, ჩემო ნათელი — ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“

კონსტანტინე

საქართველო

საქართველო

კულტურა

ამ დღეებში საქართველოში ევროპის რჩეულ თეატრალთა ათეულში შეყვანილი ლატვიელი რეჟისორი, ალვის ჰერმანის იმყოფებოდა, რომელიც მსახიობიცაა, სცენოგრაფი და დრამატურგიც. 1997 წლიდან, ალვის ჰერმანის „ახალი რიგის თეატრში“ მუშაობს. დღემდე ავსტრიის, გერმანიის, რუსეთის, შვეიცარიის და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. 2003 წელს, ზალცბურგის ფესტივალზე, საუკეთესო ახალგაზრდა რეჟისორის პრიზი მიიღო. ვიდრე ალვის ჰერმანისის სპექტაკლს — „ხანგრძლივი ცხოვრება“ თბილისში, გრიბოედოვის თეატრის სცენაზე უჩვენებდნენ, მან მთელი ევროპა, რუსეთი მოიარა... მიიღო საერთაშორისო პრიზები და მინველ იქნა ყველაზე პრესტიჟულ ფორუმებზე.

2012 წლიდან, ალვის ჰერმანისი ზალცბურგის ფესტივალზე საოპერო წარმოდგენებს დგამს. 2014 წელს „ტრუბადური“ დადგა, სადაც მონაწილეობდნენ პლასიდო დომინგო, ფრანჩესკო მელი, ანა ნეტრებკო... მსოფლიოში აღიარებული მომღერლები. ამ სპექტაკლში ჰერმანისმა დიდი საფესტივალო სივრცე გადააქცია გიგანტურ მუზეუმად, სადაც კედლები მოძრაობდნენ.

რეჟისორის პრემიერები ოთხი წლით ადრე დაგეგმილი. ამ ხნის განმავლობაში, მსოფლიოს სხვადასხვა სცენაზე 10 სპექტაკლი უნდა განახორციელოს. 2014 წელს, თბილისის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე, რუსეთის ხალხთა სახელმწიფო თეატრმა ალვის ჰერმანისის სპექტაკლი „შუკშინის მოთხრობები“ ითამაშა, მაგრამ საქართველოში რეჟისორი პირველად აპრილში ჩამოვიდა. „როცა ჩემს ცოლში ვიყავი შეყვარებული და მინდოდა, მეჩვენებინა, თუ რა დახვეწილი შინაგანი სამყარო მაქვს, ოთარ იოსელიანის ფილმების ყურებას ვაძიებდები. ქართული კულტურის ერთ-ერთი წესი ხომ ლირიკული იუმორია... მეც ასე აღვიქვამ ცხოვრებას“, — ჩვეული იუმორით გვითხრა ლატვიელმა რეჟისორმა, ალვის ჰერმანისმა.

„ხანგრძლივი ცხოვრებას“ ლიტერატურული საფუძველი არ აქვს, თავიდან ბოლომდე ცხოვრებაზე ადამიანებზე დაკვირვებების ზნითაა შექმნილი. რამდენიმე წლის წინ, რეჟისორი ამბობდა, რომ აინტერესებდა მხოლოდ ის თეატრი, სადაც იშლება ზღვარი დოკუმენტურსა და ხელოვნურს შორის. საბჭოთა კავშირისდროინდელ კომუნალურ სახლში ხუთი მოხუცი ცხოვრობს: ორი ცოლ-ქმარი და ერთი უცოლო მამაკაცი. ჩვენ ერთდროულად ვაკვირდებით მათ ცხოვრებას, რომელიც ვითარდებოდა პარალელურად განლაგებულ სამ ოთახში, რომლებსაც საერთო საბარჯული და აბაზანა ჰქონდათ. ოთახებში უამრავი ნივთია, რომელიც გაცილებით მეტს მოგიტოვრობთ ამ პერსონაჟებზე, ვიდრე — სიტყვა ან დიალოგი, თუმცა დიალოგი ნამდვილად მიმდინარეობს: ეს არის ცხოვრებით, მოძრაობით, ფსიქოლოგიური შესტებით სავსე საუბარი, სადაც მოხუცებულის სხეულში შეღწეული ხუთი ახალგაზრდა მსახიობი, გრიმის გარეშე, ჩემთვის არნახული ოსტატობით გვიყვებიან ამ სამყაროში მარტოობის, განწირულობისა და დაძაბუნებული მოხუცების გამოუვალ მდგომარეობაზე, მაგრამ ამ დანაწინაკებულ ადამიანებს თავიანთი ცხოვრება აქვთ — მშვიდი და განონსანორებული, რომელიც თავისი თავშეკავებულობით ბერ-მონაზონთა შინაგან რიტმს მიაგავს.

ალბათ, ასეთი ბენდინერი და, ამავე დროს, დათრგუნული და შემოწუნებული ერთი სპექტაკლიდანაც არ გამოვლენილი, თუმცა მსახიობთა ოსტატობით გამოწვეულ სიხარულსაც ვერ ვმაღავდი, მაგრამ აბსურდულობის გაუსაძლისმა გრძობამ დიდ ხანს არ დამტოვცა და დამაფიქრა იმ მომავლზე, რომელიც ყველა ადამიანს ელის — მდიდარი ის თუ ღარიბი, მკვრივი თუ მსახიობი, ხელოსანი თუ რეჟისორი. სპექტაკლის პროცესში, ნელ-ნელა, თანდათანობით მაყურებლის ყველა ყოფითი პრობლემა: ჩასაცმელი, საჭმელი, კეთილმოწყობილი სახლი, ფული და ა. შ. და ა. შ. კარგავს თავის მნიშვნელობას და ჩვენს ცნობიერებაში გრძელულის მაგიური ჯოხის მსუბუქი შეხებით ამოტივტივდა დაუჭირი ყოფისაგან მიჩქალული ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები — სიყვარული, ერთგულება, თანადგომა, მეგობრობა... ვინაიდან ოთხმოცს თუ ოთხმოცდაათს, ან იქნებ ასსაც და შესაძლოა, ასზე მეტსაც თუ მიუვკაცუნებთ და „ვიდაც“, ანუ „ახალი რიგის თეატრის“ რეჟისორი ალვის ჰერმანისი და მისი მსახიობები დაგვანახებენ, თუ როგორი ვიქნებით ამ დროს — ჩვენს ფიზიონომიას რა დამართება და პერსონაჟებთან ერთად ცხოვრებას გვაძიებდნენ, თითქმის ორ საათში მივხვდებით, რა აბსურდული ყოფილა ყოფითი პრობლემების აღმოფხვრისთვის ბრძოლა, ვინაიდან ყველა

ადამიანი გაჩენის დღიდან სიკვდილს ელოდება.

ასე ელოდებიან სიკვდილს „ახალი რიგის თეატრის“ სპექტაკლის გმირები, რომლებიც თავიანთი ხანგრძლივი ცხოვრების ზურგზე წამოკიდებულ ტვირთს, მსახიობების საშუალებით, მსუბუქად დაატარებენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, რათა ყველას უამბონ იმ „ხანგრძლივი ცხოვრების“ შესახებ, რომელიც დასმა 2003 წელს დადგა. ამ სპექტაკლს სხვადასხვა მაყურებელი ჰყავს — საბჭოთა ეპოქაში გამოწონილი და ევროპულ ცივილიზაციაში შედარებით მყუდროდ მცხოვრები ხალხი, მაგრამ ყველა: სამშობლოში, რუსეთსა თუ ევროპაში, თითოეული თავისთვის მნიშვნელოვან აღმოჩენებს გადაკეთებს: რა არის ცხოვრება — ამაო ჯაფა! რა არის ყოფა — უბრალო ნატურალიზმი და გზა, რომელიც საკვების მიღებიდან იწყება...


როცა აპრილის პირველ რიცხვებში, ქართველი მაყურებელი გრიბოედოვის რუსული თეატრის დიდ სცენაზე განთავსებული დეკორაციის კარს მიადგა, ვერც წარმოიდგენდა, რომ რიგელი რეჟისორი, ალვის ჰერმანისი წარმოდგენის თანამონაწილე გადააქცევდა, ოღონდ ისე, როგორც ეს ზღაპრებში ხდება ხოლმე. განძარცვული კარების მიღმა, უამრავი ძველმანია და თოკებზე გადაფენილი ძონძებით ძლივს თავდაღწეულები, დერეფნის ბოლოში მდგარი ქალბატონი, ალბათ, დასის გამგე, გამამხნეველები, ღიმილიანი შეძახილით გვეგებებოდა: „მობრძანდით!“ და სახელდახელოდ დადგმულ და დანომრილ სკამებზე მიგვითითებდა.

სპექტაკლის დაწყების წინ მაყურებლის ბუბუნს, ტანსაცმლის შრიალი, ბილეთების შარიშურის ხმა, ყოველთვის მაგიურ ატმოსფეროს ქმნის, მაგრამ ეს მაგია ხშირად ქრება წარმოდგენის მსვლელობის დროს, ხოლო ფინალში უკვე კუდამოძუებული გარბიხარ იმ სიყალბიდან, რასაც მკვდარი თეატრი წარმოშობს. ცოცხალი სხეული ხშირად შობს მკვდარს, ყალბ სცენურ ცხოვრებას, სადაც ახალი სიცოცხლე არ იბადება. „ახალი რიგის თეატრის“ წარმოდგენა ცოცხალი ადამიანების, ანუ ოსტატი მსახიობების მიერ დაბადებული სიცოცხლის პირველი ნიშნებით დაიწყო და ბოლომდე ფეთქავდა. ალვის ჰერმანისის „ხანგრძლივი ცხოვრება“ „მოკვდა“ მაშინ, როცა დარბაზში შუქი ჩაქრა და წარმოდგენის პერსონაჟები — ღრმა, თითქმის მიხრწნილი მოხუცები, ახალგაზრდა ადამიანებად (მსახიობები: გუნა ზარინა, ბაიბა ბროკა, კასპარს ზნოტინში, გილტე კრუშინში, ვილის დაუძინსი.) გადაიქცნენ, რომლებიც მოკრძალებულად უკრავდნენ თავს „ბრავოს“ ყვირით ალღევებულ დარბაზს, სადაც შემოქმედის ვერ ვერ გაეცნობიერებინა, სად იყო ორი საათის განმავლობაში — მოხუცებულთა თავშესაფარში, საბჭოთა ეპოქის კომუნალურ სახლში, თუ თეატრში.

წინა საუკუნეების ევროპისთვის რომ ეჩვენებინათ „ხანგრძლივი ცხოვრება“, მის მონაწილე მსახიობებს და რეჟისორს, მაყურებლებზე ჯადოქრული ზემოქმედების გამო, ალბათ, აგიზგიზებული კოცონი არ ასცდებოდათ, მაგრამ 21-ე საუკუნის მსოფლიო გულმხურვალედ მიიღო ალვის ჰერმანისის ჯადოქრობა და აგერ, უკვე თორმეტი წელია, რაც ტაშს უკრავს ლატვიელ მსახიობებს.

მაყურებლის ტაშები განსხვავებულია: არსებობს ნათესავ-მეგობრების გამახალისებელი ტაში; არსებობს ტაში, როცა ვერ მიხვდი, რა ხდებოდა სცენაზე, მაგრამ ვინაიდან მთელმა მსოფლიომ აღიარა, შენც უნდა აამუშაო ხელის მტევნები. არის პერსონალური ტაშები, რომელიც კონკრეტულ მსახიობს ეკუთვნის, წარმოდგენის რომელიმე ეპიზოდის კარგად გათამაშების გამო; არის კომედიური პასაჟით გამოწვეული ტაში და ა. შ. და ა. შ. მაგრამ არის ისეთი ტაში, რომლის მოსმენაც განუწყვეტელი გინდა — ეს ნამდვილი, ცოცხალი შემოქმედებით გამოწვეული აღფ-

როცა სიბერე დგება



როცა სიბერე დგება და მსახიობებისადმი მადლიერებით გამსჭვალული ტაშია, რომელსაც იშვიათად მოისმენენ, მაგრამ ამ ბევრათა შარბონიის შესაგრძობად ღირს თეატრში სიარული. აი, ამგვარი მაგიური ტაშით დააჯილდოვა ქართველი მაყურებელმა ლატვიელების „ხანგრძლივი ცხოვრება“ და სპექტაკლის შემდეგ დაბრძენებული, ცხოვრების ამბობაზე დააფიქრა. ეკლესიასტეს სიტყვების — „ამაოება ამაოთა“ — სიბრძნე თვალწინ გადაუშალა, ხოლო ამ სიბრძნის გააზრებით, ქართველების დღევანდელ გაუსაძლის ცხოვრებას, რაოდენ პარადოქსულადაც უნდა მოგჩვენოთ, იმედი ჩაუსახა.

ასევე დაუძღვრებული, ძლივს მოსიარულე ცოლი არ უჩვენებს სახელს „მისამართს“. აგერ, ყოფილი კვლუცი ქალბატონი პატარა შუშის ბოთლს ამზადებს და კარში მიიმალეობა, მერე, იქიდან გამოსული, დიდხანს ათვალერებს შარდით სავსე ბოთლს და ცდილობს, ჩანვდეს ლაბორატორიული ანალიზის ამოხსნის საიდუმლოს, ვინაიდან გამოცდილება უკვე დიდი აქვს. პირველი ცოლ-ქმარი „სადაც“ აპირებს წასვლას. ჩაცმის რიტუალისგან ძალაგამოცლილი, უბრალო რძის ბოთლში ჩანყობილ თეთრ მიხაკებს ამოიღებენ და ოთახიდან გადიან, ალბათ, სასაფლაოზე მიიჩქარიან და ვინაიდან მათ ოთახში ახლობლების ფოტოებს შეამჩნევთ, გაიფიქრებთ, იქნებ, შვილის სამუდამო განსასვენებლის მონახულებასაც აპირებენ, მაგრამ გასაღები დარჩებათ შინ და უკან ბრუნდებიან. ხელმეორედ ვედარ გადიან, ძალა აღარ ჰყოფნით. იქნებ, ყოველდღე ასე ხდება, — ფიქრობს შენ უხერხული და გინდა, რომ რამენაირად დაეხმარო და მიიყვანო იქ, სადაც ყვავილების მიტანა უნდათ, მაგრამ ამის უფლება არა გაქვს, ვინაიდან სპექტაკლია და მსახიობები თამაშობენ, მაგრამ ეს თამაში იმდენად ნამდვილია, რომ შენც მონაწილე ხდები და ბუნებრივად დაბადებული ნათელი გრძობები სიკეთეს გიღვივებს.

სპექტაკლი ტექსტს ვერ მოისმენთ — ეს პერსონაჟები არ ლაპარაკობენ. ხანგრძლივმა ცხოვრებამ მათ სიტყვები, ფრაზები დაავიწყა. ყველა ოთახი სავსეა ნივთებით, რომელიც ამ ხუთი პერსონაჟის ისტორიაზე მოგითხრობთ, ამიტომ სიტყვებს აქ ძალა არ აქვთ და არც არის საჭირო. აი, უცხედლოთ მეორე წყვილს, რომელიც ყოფილი კვლუცი ცოლისა და მასზე ყოველთვის მზრუნველი ქმრის სახით წარმოგვიდგებიან. ქალს თმის დასახვევი რგოლებით სძინავს — ალბათ, მთელი ცხოვრება ასე გაინაშა თავი და ახლა, ძველრბილში გამჯდარ ჩვეულებას ვედარ ლალატობს. მელიის ბენვი მისი ყოფილი დიდებულებისა და ქალურობის ნიშანია და უფროსი დედა, რომელსაც ბოლოს, „სალამოზე“ მხრებზე მოიგდებს. მისი ოცნების მამაკაცი ერნესტ ჰემინგუეია, რომელსაც ალბათ, მთელი ცხოვრება ქმარს ადარებდა და ვერაფრით ეგუებოდა ამ ხელისაწინა ცხოვრებას, რომელიც სიბერეშიც ცდილობს ცოლის გულის მოგებას. ქალს, თავანისცემის ნიშნად, ამერიკელი მწერლის ფოტოს ჩარჩოზე ფრთხილად შემოუგრანია საახალწლო ნათურების წვრილი გირზინანდა, რომელიც მთელი წარმოდგენის განმავლობაში ცაში ატყორცნილი თანავარსკვლავედის დარად ბრწყინავს.

მოხუცებულობით დაუძღვრებული ქმარი, რაინდის მსგავსად, საგმირო საქმეების ჩასადენად, სკამიდან მაგიდაზე, მაგიდიდან

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“

კარგე ღონისძიება



საქართველოს პარლამენტი

კულტურა

მე-16 გვირგვინი

კარადაზე და კარადიდან ჭერს მიადგება – სათლით და საღებავით ხელში. ეს ეტიუდი ხარხარში მიმდინარეობს, ვინაიდან საცირკო ნომერს ემსგავსება – მოხუცი ვერა და ვერ ადის ზევით, რათა ჭუჭყიანი ჭერი შეალამაზოს და ცოლის გულიც მოიგოს. ჭერამდე ძლივს მისული პერსონაჟი ახლა გაზეთს დაიჭერს ხელში და შემდეგი მოძრაობის გასაკეთებლად იმდენი დრო სჭირდება, რომ გგონია, დაავინყდა, სად უნდა წაითხოვოს პრესა – იატაკზე დადგმულ სკამზე თუ კარადის თავზე, რომელიც სკამი ჰგონია, მაგრამ როცა ივანე კრამსკოის ფოტორეპროდუქციას – „უცნობი ქალის პორტრეტს“ ააფარებს, ხვდება, რომ ცოლის მიერ ჩამოკიდებულ საყვარელ სურათს უფრთხილდება, მაგრამ რა სასტიკად ჟღერს ახალგაზრდობის, სიამაყისა და ქალური იდუმალების გადაფარვა გაზეთის გახუნებული ფურცლით, რომელიც ალბათ, საბჭოთა ეპოქიდან შემორჩა და იქ, შესაძლოა, კომუნისტური პარტიის რომელიღაც ყრილობის მასალები იყო გამოქვეყნებული, ან რომელიმე სოციალისტური შრომის გმირის ხოტბა მიმართული მთავრობისადმი, ან სხვა რამ ამდაგვარი. ლარსაკში ჩანსოხილი ფარშევანგის ჯერ არ გახუნებული ბუმბული, მისი მეუღლის პოეტურ სულზე მეტყველებს და, საბოლოოდ, დავასკვნით, რომ ამ წევრში დომინანტი მაინც ქალია ისევე, როგორც – პირველ წყვილში, სადაც მიუხედავად მსახიობ გუნა ზარინას მიერ ბრწყინვალედ და უზადოდ შესრულებული მოხუცებულის უძღურებისა, მისი ფესტებისა და სიბერის გამოხატულებისა, მაინც მედრად დგას ფეხზე და ძლივს მოსიარულე ქმარს უხილავი, შინაგანი იუმორითაც უყურებს.

ბერბიჭა მეზობელი, ძველისძველ, საბჭოთა პერიოდის ელექტრომუსიკის კლავიატურას ამოიღებს, სადენებს გადაადგილებს და მოულოდნელად სევდიან სიმღერას იწყებს. ის მეზობელი ოთახიდან შემოსულ მოხუც ქალბატონს, გუნა ზარინას გმირს უმღერის და ბოლოს, მისი ცდუნების ნიშნად, წითელი ვაშლის ნაჭრებითაც უმასპინძლებს. ქალი უარს არ ამბობს თავიანთი მცემელზე. ეროტიკა და სექსი ამ ასაკში ფიზიოლოგიური ნიშნით იშვიათია, მაგრამ გმირებს შორის ისეთი სევდიანი სასიყვარულო და იუმორით აღსავსე ლირიკა ჩნდება, რომ გავიწყდებათ მათი ასაკი და უყურებთ ეტიუდს, რომელიც ლოგიკურ ჯაჭვს დაფუძნებული ფანტაზიის ფიქტურეკვივით ფეთქდება და, საბოლოოდ, პოეტურ ნიშნულზე გვესახება.

პოეტური სული არც მეორე წყვილის ქმარს აკლია. ის განაგრძობს მეუღლის გულის-მოგების მცდელობას. მაცურების გასაკვირვად და სამხიარულოდ, გაზის ბალონს რეზინის მილს მიუერთებს და კუსტარული შემადუღებლით ხელში შეიარაღებული, ცისფერი ალით დაფას მიუახლოვდება საქმიანად. გგონია, რომ ისევე რაღაც საოჯახო საქმეს ეჭიდება, მაგრამ როგორ გამხიარულდა მაცურებელი, როცა დაინახა მისი წარმოსახვითა და ფანტაზიით შექმნილი საოცნებო ქალის სხეული – „ცეცხლით მხატვრობის“ ნიმუში, ანუ კუსტარულად ასახული სინინოზი, რომელსაც კრამსკოის „უცნობი ქალის“ პორტრეტის ერთ-ერთი შტრიხით – ამაყი გაუცხოებით უყურებს მისი ცოლი, რომლის ქვეტექსტის გაუფლერებელი ფრაზა, ალბათ, ასე ჟღერს: „დაიწყო ძველი სიმღერა, ნეტა არ მოგზურდა?“

საქვეყნის ყველა დეტალი ცხოვრებიდანაა აღებული. „ახალი რიგის თეატრის“ მსახიობები ამ წარმოდგენისათვის ერთი წელი ემზადებოდნენ, დადიოდნენ მოხუცებულთა თავშესაფრებში, აკვირდებოდნენ მათ მოძრაობებს, ტექსტებს, ამბებს, ფესტებს და ამ რეალურ-დოკუმენტური მასალის საშუალებებით, ეტიუდების სხვადასხვა თემის გაშლითა და ამ ეტიუდების ერთ სიუჟეტურ ქარგაში მოქცევით შექმნეს მხატვრული სახეები, განუმეორებელი პერსონაჟები, რომლებიც თავიანთი არსით მოგაგონებდათ ჯონათან სვიფტის „გულივერის მოგზაურობის“ მარად მოხუცი სტრუდლბურგების ტანჯვას და ხან სემუელ ბექეტის „კრეპის უკანასკნელი ფირის“ ერთადერთი მოხუცი პერსონაჟის, კრეპის ბოლო დაბადების დღეს. იმ განსხვავებით, რომ თუ კრეპის წარსულ ცხოვრებას ფირებზე ჩანაწერებით ვარკვევთ, „ახალი რიგის თეატრის“ პერსონაჟების წარსულს, რომელ-

იც საბჭოთა პერიოდის კუთვნილებაა, თითოეული გმირის ოთახში დახუნძლული ნივთებით ვხვდებით, სადაც არაფერია ბუტაფორიული, ყველაფერი ერთ დროს, რეალურ ადამიანებს ეკუთვნოდათ. გარდაცვლილი მოხუცის ნივთებს, მათი პატრონები მსახიობებს აძლევდნენ და ასე შეგროვდა საქვეყნის დეკორაციის უმარაგი დეტალი: თუნდაც კეკელუცი ქალბატონის დეზოდორანტი, რომელიც მოხუცი ქალის თაროებზე იყო განლაგებული ან სხვადასხვა ძველისძველი სამკერდე ნივთების კოლექცია, რომელიც კედელზე სათუთად იყო დამაგრებული... თუნდაც საბჭოთა კავშირისდროინდელი მტკვრისასრუტი, ტელევიზორები; სამზარეულოს გაჭურვზე შემდგარი სარეცხის სახარში უზარმაზარი ქვაბი, სადაც საქვეყნის მსველელობის დროს ქალი თავის საცვლებს ხარშავდა; ტაფა, სადაც ერთ-ერთ ეპიზოდში იაფასიან თევზს წვავდა „ხანგრძლივი ცხოვრების“ გმირი და შესაძლოა ტანსაცმელიც, ვინაიდან ყველა პერსონაჟის სცენური სამოსი „ნამდვილი“ იყო, ძველმოდური და გაცვეთილი.

კეკელუცი ქალი ძველებურად სიგარეტს ვეღარ აბოლებს და მორიგ მცდელობაზე, ნერვებშიშლილი უხეშად ჩააქრობს. ცოლი, ქმარს სააბაზანო ოთახში მიჰყვება და ნელ-ნელა დასაბანად გამზადებული, დანაჩანაკებული კაცი თავს ვეღარ იჭერს და ისეთი რეალობით ჩავარდება აბაზანაში, რომ შეშინებულ მაცურებულს ჰგონია: რაღაც დაიზიანდა... და სასწრაფო დახმარების დასაძახებლად მობილურ ტელეფონსაც წააჭრის ალბათ ხელი. ამ საქვეყნალო ყველაფერი ნამდვილი და რეალური იყო – არაფერი გამოგონილი, არაფერი ბუტაფორიული, დაწყებული დეკორაციით, დამთავრებული მსახიობების თამაშით, რომელიც უდიდეს ფიზიკურ დატვირთვის უძლებდნენ, ვინაიდან ორი საათის განმავლობაში უნდა გამოეხატათ მოხუცებულობის ყველა ექსტი, მოძრაობა და შინაგანი ქმედება... ამავდროულად ჩვენს თვალწინ უნდა შეექმნათ თითოეული პერსონაჟის ისტორიები, შინაგანი მოძრაობებით გასაუბრებოდნენ ერთმანეთს, რათა მერე თავისუფლად შეგვეძლებოდა მოგვეთხრო „ხანგრძლივი ცხოვრების“ შესახებ იმ ადამიანებისათვის, ვინც ვერ მოვიდა გრიბოედოვის თეატრში, ან ბილეთის ფული არ ჰქონდა, ან ვერ გაიგო ამ საქვეყნალოს ჩამოსვლის შესახებ და ბოლოს, ვერ ნახა ის სასწაული, რაც იშვიათად იბადება ფიცარნაზე, რომელიც ლატვიელი მსახიობებისათვის სასიკვდილო ეშაფოტიც იყო. ამ სიკვდილისათვის მზადება, მოგაგონებდათ პეპელას დაბადებას – მის ხანმოკლე და გრძელხელ ცხოვრებას, რომლის მსუბუქ, მოფარფატე ფრთების ყურებისას ფიქრობ – რა მშვენიერია ბუნებრიობა. ჩვენ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ლატვიელი მსახიობების თამაში ადამიანის ბუნებრიობის უმაღლესი გამოხატულება იყო.

ფინალურ სცენაში ყველა პერსონაჟი მოიკაშმება და ერთად ატარებენ საღამოს, სადაც პირველი ცოლ-ქმრის მიერ შეკერილი კოსტიუმი, პატრიონს – ბერბიჭა მეზობელს უნდა მოარგონ. იქნებ მისი დაბადების დღეა! ეს წყვილი დიდი ხანი ამზადებდა ამ პიჯაკს და ორ-ორი სათვალთ შეიარაღებულმა ძლივს დაავაგორისტა დეტალები, თუმცა სახელოების მიკერება ვეღარ შეძლო. კუერვის ეპიზოდში გამოირჩეოდა ქმარი, რომელიც თერძი აღმოჩნდა და როცა ის ფეხის საკერავ მანქანას ცელოფანს გადაადრობს და სკამზე ძლივს ჩამოჯდება, მასში ახალგაზრდული სული და

ენერჯია გაიღვიძებს, თუმც ფეხი სწრაფ მოძრაობას ვეღარ უძლებს და გაშეშდება, დიას, – ფიქრობს მაცურებელი, – მაინც რა საშინელება ეს სიბერე! ტრაგიკომიკური და შემზარავი იყო ამ პიჯაკის შემოტრიალება და მისი ზურგის დანახვა – შავ პრიალა ქსოვილზე ალაპლაპებული ყვავილები, ამ პიჯაკს გამოუსადეგარ სამოსად გადააქცევდა, მაგრამ საღამოზე შეკრებილმა მოხუცებმა კარგად იცოდნენ მისი დანიშნულება – ეს იუბილარის საჩუქარი იყო, იმ დღისათვის, როცა მას კუბოში ჩაასვენებენ და უკანასკნელ გზაზე გააცილებენ. მარადიულად ზურგზე გასწორებულ ამ პიჯაკის პატრონს, ადგომა აღარ დასჭირდებოდა და ამიტომ ვერავინ დაინახავდა სამხრებზე გავლებულ თეთრი ძაფების კვალს, რომელსაც საკერავი მანქანის გვირის სტის დადება აღარ უნდა, ვინაიდან იქ, საიქიოში, მისი სხეული ვეღარ იმორავებდა. პიჯაკის თემის გაშლის იმპროვიზაციულ სიუჟეტს, რომელსაც „სიკვდილის რეპეტიციას“ დავარქმევით, შეძრწუნებულები ვუყურებდით. პერსონაჟებთან ერთად ჩვენც სიკვდილს ჩაცვქროდით თვალებში. ლოგინზე ნამონოლილ პიჯაკის პატრონს, თეთრ, დაქარგულ ფარდას გადააფარებენ სახელდახელოდ და შორიდან აკვირდებიან, როგორი სახით იწვევდა კუბოში. ეს სცენა შესაზარაპოთეოსს აღწევს მაშინ, როცა სარკეს მიუტანენ მას და ხვდები, რომ მოხუცების გართობა, რომელიც თავიდან ჩვეულებრივი, თვითნაკეთი ლიქიორით ამსუბუქებულ თავყრილობას ჰგავდა, სიკვდილის შესაგებებელი ნადიმი ყოფილა. უცებ მთელი სიციხადი წარმოვიდგებთ წინა ეპიზოდებს „გაბნეული“, ამ პერსონაჟების უცარი შეყოვნებები, წამიერი სიჩუმე და უმოძრაობა, სადაც გეგონათ, რომ აი, უკვე წავიდა იქ, სამუდამო განსასვენებელში. თურმე ეს ნელ-ნელა ილექებოდა, თურმე ამ სცენისთვის თანდათანობით გვამზადებდა რეჟისორი ალის პერმანისი და მისი ოსტატია მსახიობები. ახლა სარკეში, საწოლზე გასწორებულ საკუბოე პიჯაკის პატრონთან კიდევ ორი სახე აიტუზა, ახლა ისინი ამომშებენ თავგადასუფილი და გასწორებულები, როგორი იქნებიან კუბოში. ამ სცენაში თითქოს მაცურებლის წინაშე კაცობრიობის უდიდესი გამოცანა დადგა – რა არის სიკვდილი, საიდან მოვდევართ და სად მივდივართ? ჩვენ პასუხი ვერ მოვძებნეთ, თუმც უნებურად ჩეხოვის „ძია ვანია“ გავგახსენდა და მისი პერსონაჟი სონია, შეუმდგარი ცხოვრების წინასწარი შეგონებით, ფინალურ სცენაში რომ მაინც ამბობს: „მე მწამს...“, თუმცა როგორც ემოციით უნდა წარმოგვეთქვა ეს ფრაზა, ჩვენ არ ვიცოდით – რწმენით თუ ტანჯვით?

ალვის პერმანისის გმირებს ეს საკითხი გადანაცვლები ჰქონდათ, ვინაიდან ისინი იმდენად რეალურად უყურებდნენ სიკვდილს, რომ მათი მოხუცი ცხოვრების დიდი ნაწილი გახდა და ისე შეესისხლბორცა, რომ არც ახსოვდათ და არც სჭირდებოდათ ბიბლიური სიბრძნის შესუნება: იცხოვრე ყოველი დღით, ვინაიდან არ იცო რა მოგეგის ყოველ წუთს, ყოველ წამს; ვინაიდან არ იცი, როდის ნახვალ იქ, შორს, საიდანაც არავინ დაბრუნებულა. შენ მარტო ხარ ამ სამყაროში – გეუბნებიან თავის ცხოვრების ჩვენებით ალის პერმანისის პერსონაჟები და ნურავის დაეყრდნობი, შენი თავის გარდა... ვინაიდან სასტიკია ცხოვრება და არავინ დაგინდობს, არავინ შეგიფარებს, არავინ გაგიხსენებს... მაცურებლის სასიხარვევოთა ისიც ემატ-

ებოდა, რომ მთელი საქვეყნის განმავლობაში ელოდებოდი სიტყვის გაგონებას, თუმც ვიცოდით რომ საქვეყნალო ტექსტს არ იყენებდნენ, მაგრამ მაინც ველოდით ე. წ. სიბერეში ხმის გამცემის სტატუსით – ან შვილებს, ან შვილიშვილებს, ან ახლო ნათესავს, მაგრამ არა, ეს საყვარელი მოხუცები, რომლებიც დაძაბუნებული მუხლებით „დამალობანას“ თამაშით ერთობოდნენ საღამოს თავყრილობებზე, სამუდამოდ დაემაღლენ ყველას ან დამალეს, ჩაიკეტნენ ან ჩაკეტეს თავის წარსულ ნივთებთან ერთად და უდრტყინველად ელოდებოდნენ სიკვდილს. და როცა მათი მოშიშვლებული სხეულები ხელოვნურმა განათებამ, როგორც ცოცხალი მონუმენტი, ერთად ასახა, ამ მოძრავ სხეულებზე მაინც შეამჩნევდით ახალგაზრდობის კვალს, მყარ კუნთებს და სახე სხეულის ფორმებს. და მაინც რატომ? ცისფერ შუქში განათებული ხორცის მასას სიბერიდან წამით გადაყვავით ახალგაზრდობაში და გვეუბნებოდნენ: ძალიან ახლოს არის სიბერის წუთები და არ იფიქრო, რომ ეს არ დადგება! ან იქნებ, უბრალოდ, ხელოვნური მზის აბაზანებს ლებულობდნენ სიკვდილის ვაკანალიაში მონანილ „ხანგრძლივი ცხოვრების“ პერსონაჟები.

დღის ბოლოს მოხუცებმა ტელევიზორები ჩართეს. ყველა ოთახში ერთსა და იმავე კადრებს ვხვდებით – ვილაცა ჩინოვნიკები, რომელიც სიუჟეტში, რაღაცას ამტკიცებდნენ, რაღაცას მიუთითებდნენ. მათ არ აინტერესებდათ ამ ხუთი პერსონაჟის ცხოვრება – უჭირდათ თუ უღებდათ, ვინაიდან ისინი და მათ უკან მდგომი მოხუცებულთა მთელი არმია, მაინც გამოუსადეგარ ობიექტებად ესახებოდათ.


ყველაფერი ჩუმდება, ყველაფერი ბნელდება და სამსახიობო ოსტატობის იმპროვიზაციის ფეიერვერკი ჩაქრა, სიბნელეში ჩანავლდა და იმ დღეს მოკვდა, მაგრამ მათი ძალა გადავიდა მაცურებელში – აანთი იმგვარი არტისტიზმის უძლიერესი მოქმედებით, რომელიც ყველანაირ შტამპებს ანგრევს, შორის სუნს სდევნის ფიცარნაგიდან და სიყალბეს ბრძოლას უცხადებს. ხელოვნების ძალა მთელი სიძლიერით აინთო მაცურებლების სულში, ლატვიელების მიერ ერთ საღამოში შექმნილი ახალი, ნამდვილი სიციხელე გამირავლდა და ყველა მაცურებელში გადაიღვარა მზურვალე სულიერების მოთხოვნის ძალით. ამ სულიერებამ დაინყო ახალი სიციხელე, რომელსაც სიკვდილი არ უნერია.

იმდენად შემაძრწუნებელი იყო ამ მოხუცებულების ყურება, რომ მიუხედავად დიდი იუმორისა გაურკვევლობის უფსკრულის წინ აღმოგნდით, შიშის მცხუნვარებისაგან გათანგულნი, სადაც შექსპირი ყურში გიჩურჩულებდა: „ყოფნა-არყოფნა“-ს. ამ კითხვაზე პასუხი არც ალის პერმანისს ჰქონდა... თუმცა, იქნებ მაინც იცოდა, რომ ქვეშაირი ხელოვნების ძალამ, რომელმაც ძრწოლის გზით გვატარა, წვრილმანი და მსხვილმანი ვნებებისაგან გავვათავისუფლა და მშვიდად დაგვაყენა იმ გზაზე, სადაც ია-ვარდები და ეკალბარდები ერთად ხარობენ.

P. S. როცა საქვეყნის შემდეგ, კულისებში, რეჟისორ ალის პერმანისთან საუბარი დავამთავრე, ვითხვ: „მსახიობები სად არიან?“ მიპასუხა: „აგერ, თქვენს გვერდით...“ ეს ადამიანები ადრე შევამჩნიე, მაგრამ ვერ ვიცანი. „ხანგრძლივი ცხოვრების“ მსახიობების ოსტატობით მოხიბლულმა გავიფიქრე – ალბათ, შესაძლებელია სრული გარდასახვა.

მანანა ტურიაშვილი





27 წლის ინდოელმა ცოლად გველი შეირთო

27 წლის სადი პატელი, რომელიც ინდოეთში, კერძოდ, უთარ-პრადეშის შტატში ცხოვრობს – არც მეტი, არც ნაკლები – გველზე დაქორწინებას აპირებს.

„დარწმუნებული ვარ, წინა ცხოვრებაში კობრა ულამაზესი გოგონა იყო. ღამ-ღამობით, ღრმა ტრანსში შევიდევარ, რა დროსაც გველად ვიქცევი და ჩემს საყვარელ არსებასთან ურთიერთობას ვამყარებ ხოლმე“, – აცხადებს ვაჟი, რომელმაც გველზე დაქორწინების ცერემონია ერთ-ერთ ტაძარში გამართა.

ქორწილში 12 ათასი სტუმარი იმყოფებოდა, თუმცა მოულოდნელად, ტაძარში პოლიცია გამოჩნდა, რომელმაც სასიძო და სამამამთილო საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ბრალდებით დააკავა.

სამართალდამცავთა ქმედებას სტუმრების უმეტესობა მოჰყვა...

სხვათა შორის, ეს პირველი შემთხვევა არაა, როცა ინდოელი გველზე დაქორწინა. ასე, მაგალითად, 2006 წელს, ორისის შტატში, 30 წლის ბიბალა დასი ცოლად გველს გაჰყვა. საქორწინო ცერემონიალი მაშინაც ტაძარში გაიმართა, თუმცა საქმრო გველი ტაძარში არ გამოჩენილა.

მართლა დაკანონდა თუ არა საუდის არაბეთში ქმრების მიერ ცოლების შეჭმა

მსოფლიო შოკშია – საუდის არაბეთში ქმრებს ცოლების შეჭმის უფლება მისცეს, თუმცა მუფთი აბდულ აზიზ ბინ აბდულაჰი აცხადებს, რომ ცოლების შეჭმაზე ფაქტა, ანუ ბრძანება არ გაუცდია და ეს ხმა ანტიარაბულმა ძალებმა მიზანმიმართულად გაავრცელეს.

„ეს გამოგონილი ამბავია და სიმართლეს არ შეესაბამება. ასეთი ავადმყოფური აზრები ერთ მაჰმადიანსაც არ მოუვა. ყველაფერი იმისთვის გაკეთდა, რომ არეულობა მოხდეს“, – აცხადებს ნატო-ს გენერალური მდივნის თანაშემწის ასისტენტი ხალიდ ბენ აბდელ-რაჰმან ელ შაიმი.

რატომ არ ღაბიან მუსულმანები და იუდეველები ღორის ხორცს

ადრე, ანუ ძვ. წ. აღ-ით პირველ ათასწლეულამდე, ახლო აღმოსავლეთში ღორის ხორცი ისეთივე პოპულარული გახლდათ, როგორც პოპულარულიც დღეს ჩვენშია. რამ აიძულა ახლო აღმოსავლეთის მოსახლეობა, რომ ღორის ხორცზე უარი ეთქვა? – გავრცელებული მოსაზრებით, ყველაფერში „დამნაშავე“ მომთაბარე ცხოველების წესია – ღორი საკმაოდ პრეტენზიული ცხოველია და საცხოვრებელი ადგილის მუდმივი ცვლის დროს, მისი ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანა ძნელია. ამიტომ, ამერიკელი ანთროპოლოგის, რიჩარდ რედდინგის თქმით, ღორს კონკურენცია ქათამმა გაუწია: გარდა იმისა, რომ ქათამი ხორცსა და კვერცხს იძლევა, ერთი ქათამი პატარა ოჯახს სრულად ანაყრებს. ღორის ხორცის შენახვა კი, შებოღვისა თუ დამარილების რთულ პროცედურასთანაა დაკავშირებული.

პროფესორ რედდინგის აზრით, ყველაფერ ამის გამო, ღორის ხორცის ჭამა კულტურულ და რელიგიურ აკრძალვაში გადაიზარდა...

გერმანიის ფინანსთა მინისტრი პინისტრი სამსახურში ველოსიპედით დადის

გერმანიის ფინანსთა მინისტრი პინისტრი შტაინბრიუკი, როგორც დასავლური მედია იუწყება, სამსახურში ველოსიპედით დადის. საერთოდ, ველოსიპედით არაერთი ევროპელი მაღალჩინოსანი სარგებლობს – ამით ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციას და გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ მიმართულ პროპაგანდას ეწევიან.



29 წლის ირინა შეიკი გემრიელ კერძებზე უარს არ ამბობს

„ყოველ დღე სპორტდარბაზში ვვარჯიშობ და უარს არც გემრიელ კერძებზე ვამბობ“, – ამბობს 29 წლის რუსი მოდელი ირინა შეიკი, – საჭიროა, სხეული გიყვარდეს, პატივს სცემდე და მოუარო. ისე, ისეთ ვარჯიშს, რომელიც კუნთს აჩენს, თავს ვარიდებ. უპირატესობას სირბილსა და ველოსიპედს ვანიჭებ. ხშირად მე-კითხებიან, თუ რა უფრო უპირატესია: სამსახური თუ პირადი ცხოვრება. ვეთანხმები მოსაზრებას, რომ სამსახური მნიშვნელოვანია, მაგრამ ვფიქრობ, ბალანსია საჭირო, ანუ ცხოვრებით უნდა ტკებოდეს!“






**ლაიმა
ვაიკულა
იურმალაში „ახალი
ტალღის“ ალტერნატიულ
ფესტივალს ატარებს**

ივლისში, იურმალაში, როგორც ინტერნეტმედია იუნყება, „ახალი ტალღის“ ალტერნატიული ფესტივალი გაიმართება, რომლის ორგანიზატორიც ცნობილი ლატვიელი მომღერალი ლაიმა ვაიკულაა.

„ეს იქნება ზაფხულის სასიამოვნო საღამოები, რომელშიც მონაწილეობას ჩემი მეგობრები და ის ადამიანები მიიღებენ, რომლებმაც ჩემს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს. ჩვენ ერთად ვიმღერებთ“, – აცხადებს ლაიმა.

შეგახსენებთ: „ახალი ტალღა“, რომელშიც რუსული ესტრადის ვარსკვლავები მონაწილეობდნენ, იურმალაში 2014 წლამდე ტარდებოდა.



**ვახტანგ კიკაბიძეს
დონეცკელი
სეპარატისტები დახვრებით
ემუქმებიან**

„რომ არა ჩემი ასაკი, დონბასისთვის ვიბრძოლებდი“, – განაცხადა ქართველმა მომღერალმა ვახტანგ (ბუბა) კიკაბიძემ, რომელიც ანტირუსული განწყობით გამოირჩევა. კიკაბიძის ამ განცხადებას დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. ყოველ შემთხვევაში, მომღერალი ამბობს, რომ სეპარატისტებმა დაურეკეს და დაემუქრნენ.

„რამდენიმე დღის წინ, დამირეკეს და მითხრეს: ჩვენ დონეცკის სახალხო რესპუბლიკიდან გირეკავთო. ეს მოულოდნელი იყო, სიცილი ამიტყდა და ვუპასუხე: და რა? დაგზვრეთო, – გაისმა ყურმილში. ის, რაც ამაზე ვუპასუხე, ვერ გავიმეორებ, მაგრამ გეტყვით, რომ ყველაფერი ეს ძალიან კომიკურად გამოიყურება“, – ამბობს კიკაბიძე უკრაინულ მედიასთან საუბრისას, რომელიც იმითაც ამაყობს, რომ კრემლმა „შავ სიაში“ შეიყვანა.

**ვანუგა ბენედიქტ
კამპარატის თითები და
ცხვირი „მოატახას“**

ფანებმა ბრიტანელი მსახიობის, ბენედიქტ კამპერბეტჩის შოკოლადის ქანდაკება დააზიანეს – თითები და ცხვირი მოატყვეს. ამასთან, „ბაბოჩკაც“ „მოპარეს“.

შერლოკ ჰოლმსის როლის შემსრულებლის, კამპერბეტჩის შოკოლადის ქანდაკება მას შემდეგ შექმნეს, რაც მაცურებელმა 38 წლის მსახიობი ტელეფორიალების ყველაზე „გემრიელ“ ვარსკვლავად აღიარეს.

მსახიობის შოკოლადის ქანდაკების დამზადებას, რომელიც 40 კილოგრამს იწონიდა, 250 საათი და შოკოლადის 500 ფილა დასჭირდა.

სატანისტი პოლივუდელოვი

ადრე პოლივუდელოვა უმეტესობა საინტელიგენციო იყო გატაცებული, ახლა კი, სატანისტით დაინტერესდა. საქმეში ჩახედულნი ამბობენ, რომ ეს ცუდი ტენდენციაა, რადგან ვარსკვლავების გზას მათი ფანებიც ადგებიან და ამას ბრიტანელი ჟურნალისტის, ტელენამყვანისა და ფოტომოდელის, ცნობილი ირლანდიელი მუსიკოსის, ბობ გელდოფისა და ტელენამყვან პოლა იეტსის ქალიშვილის, 24 წლის პიჩეს გელდოფის აღიარებაც ადასტურებს.

„აღმოსავლელი ტამპლიერების ორდენის, ე.წ. ოტოს ერთგული წევრი ვარ და მარცხენა მხარზე ორდენის აღმნიშვნელი ტატუჟი მაქვს“, – დაწერა გოგონამ ერთ-ერთ სოციალურ ქსელში.

ცნობისთვის: ოტოს ორდენი ერთ-ერთმა ცნობილმა სატანისტმა, ალისტერ კროულემ დააარსა, რომელიც თავს „უდიდეს მხეც 666“-ს უწოდებდა და „მსოფლიოში ყველაზე უწმინდური ადამიანის“ სახელი ჰქონდა.

„აკეთე, რაც გინდა!“ – ეს ზემოხსენებული სატანისტური ორდენის დევიზია. ასევე, ცნობილია, რომ ამ ორდენის წევრთა უმეტესობა მხატვარი, ან მუსიკოსია.

აქვე, შეგახსენებთ: „ლედ ზეპელინის“ როკმუსიკოსი, ჯიმი პეიჯი რეგულარულად მონაწილეობდა ოკულტურ და მაგიურ რიტუალებში.

გავრცელებული ცნობით, ზემოხსენებულ ორდენთანაა დაკავშირებული რეპერი ჯეიზიც.

ოტი პოპულარული განსაკუთრებით ბრიტანეთშია. აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს ყოფილი აგენტი, რომელიც ლოს-ანჯელესის სატანისტურ საზოგადოებას იძიებდა, აცხადებს, რომ კროულის ზოგიერთი სწავლება ადამიანთა მსხვერპლად შეწირვასაც გულისხმობს.

ზოგის აზრით, პოლივუდელოვა „სატანური გატაცებული“, უბრალოდ, პიარია და მეტი არაფერი, მაგრამ ამ პიარით ბოროტი ძალების რეკლამირება ხდება, რაც თავისთავად დამაფიქრებელია.

ოდოზურ პიროვნებას!

შენა ხარ კაცი –
ოდოზური
და თვალზე ცრემლი
მოგდის ბოზური.
შენ გეზიზღება
ყველა ქართველი,
მიდი, აუნთე
შენს მტერს სანთელი.
შენს ისტორიას
არ აქვს ტირაფი,
არ მეფასება
შენი მირაფი.

სამშობლოს!

მდინარევე, დაუშრეტლო,
რა დრო გასულა? – ერიპაა,
ილიას დილო მშობელო,
შენ ხომ ილიას მკვლეელი ხარ?!

ერთ არაპაცს!

თეთრი თმები შვენით ბებრებს,
შევადარე თავი ღმერთს,
გუშინ თმები შეიღებე –
ამჯობინე შავი თეთრს.
გაქვს ბევრი დღე გამოვლილი,
„მაყუთიც“ გაქვს ბლომადა,
გიყვარს „ჟელე“, „ბრილიანი“,
გთხოვ, წაიცხო პომადა.

ასაა, პატონო!

წაირნაირ რეფრენებით
მტრის წინაშე მღერიათ,
მტერს პატივს ვცემთ,
ვეფერებით,
ძმა კი, ძმისა მტერია!

პატრონი

მტრისა აკენის გამთელელებო,
დააბიჯებთ, ამაყად,
ვაი, ჩვენს პატრონს,
ქართველებო,
თუმც პატრონი
არა გვყავს!

ახპარს!

დაბადებულა,
თურმე, ახვრადა,
ვისაც ჩავაცვი,
იმან გამხადა!



**ყველაზე
ძვირადღირებული
მოდელი მოდელიდან
მიღის**

34 წლის ჟიზელ ბიუნდჰენი, რომელიც წლებია, ყველაზე მაღალანაზღაურებად სუპერმოდელად ითვლება, პოდიუმიდან მიდის. გიზელი, რომლის ანაზღაურება 45 მილიონ დოლარს აჭარბებს, პოდიუმზე უკანასკნელად მშობლიურ ბრაზილიაში, კერძოდ, სან-პაულოში გამოვა.
გიზელი, რომელიც ორი შვილის დედაა, მსოფლიო ყურადღების ცენტრში 1998 წელს აღმოჩნდა – მაშინ „წლის სენსაციაც“ უწოდეს.



**თბილისის
პირველი
კლინიკური
საავადმყოფოს
(ყოფილი „არამიანცის“)
ემილუბი –
„ემერჯენსი“**



დიზაინის საავტორო უფლებები დაცულია



მთავარი რედაქტორი: **ჯანსუღ ჩარკვიანი**
მთ. რედაქტორის მოადგილე: **ვანო პავლიაშვილი**
სარედაქციო კოლეგია:
**ჭაჭაპა ამირეჯიანი, იმერაზ ბერძენიშვილი,
გაჩანა ბრეგვაძე, თამარ გოცაძე, ეზოარ კვიციანიშვილი,
არგაზ სანუაშვილი.**

მედია-ჯგუფი: მარიკა კახაძე,
ნათია გოგიტიძე, ნათია ვერძეული,
ნათია ლეზანიძე.
დიზაინერი და ფოტოკორექსორდენტი:
ზურა მებრეულიშვილი.

გაზეთი
რეპროდუქციული
რეზიუმე
ცენტრის
ინსტრუქციები
მომხმარებლისთვის
რეპროდუქციის №22851
მისამართი:
26 მაისის
მოედანი. №1
ტელ.: 272-63-90
E-Mail: qartulicityva@gmail.com
გაზეთი მომხმარებლისთვის რეპროდუქციის